პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, ქაშოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.

ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 54, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, კლუბების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- თურქეთ-საბჭოთა საკონსულო კონვენცია გაგრძელებულია.
- კელნში გაიხსნა ანტი-ფაშისტური გამოფენა.
- კომუნისტური პლაკატები პეკინში.
- გერმანიის კომპარტიის მოწოდება მშრომელ მასებისადმი.
- რეფორმისტებმა ჩაშალეს პარიზის ტრანსპორტის მუშების გაფიცვა.
- პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრი პარიზში.
- ნობილეს ექსპედიცია კრიტიკულ მდგომარეობაშია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხშაბათი 13 ივნისი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 135 (2178)

დღეს, ივნისის 13-ს, საღამოს 7 საათზე
შესდგება
სრ. საქ. ცაკის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა
საქ. ცაკის მდივანი შ. მათიკაშვილი.

ფუჭი იმედები

ჩვენ მშრომელ მასსების ყურადღებას მივაქცევთ ამხ. ჩუბარის სიტყვაზე, რომელსაც დღეს ვაქვეყნებთ. ეს სიტყვა პასუხია იმ ანტი-საბჭოთა გამოსვლებზე, რომლებსაც უკანასკნელ დროს ადგილი ჰქონდათ პოლონეთში.

პოლონეთის სეიმის საგარეო საქმეთა კომისიაში ამას წინად საგულისხმო კამათი გაიმართა საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების შესახებ. სხვათა შორის, გამოვიდა „უკრაინის ნაციონალურ-დემოკრატიულ საზოგადოების" („უნდო") თავმჯდომარე, სეიმის დეპუტატი დმიტრო ლევიცკი, რომელმაც განაცხადა, რომ უკრაინა მოვსწყვიტოთ რუსეთს და შევქმნათ დამოუკიდებელი უკრაინაო. „უნდო" ბურჟუაზიულ-კულაკური ორგანიზაცია, ხოლო მისი მეთაური ლევიცკი უკვე არქივს ჩაბარებულ ავანტიურისტ პეტლიურას მიმდევარია, რომელიც იარაღს წარმოადგენს პილსუდსკის ხელში როგორც პოლონეთში მოქცეულ უკრაინელთა დასაშინებლად, ისე მის იმპერიალისტურ ზრახვების განსახორციელებლად საბჭოთა კავშირის მიმართ. რომ ლევიცკი დაუძინებელი მტერია საბჭოთა რესპუბლიკების და მათ შორის საბჭოთა უკრაინის, რომ ის ოცნებობს ვითომდა რუსეთის მიერ დაჩაგრულ უკრაინის განთავისუფლების სახით აღადგინოს უკრაინაში მემამულეთა, ბურჟუაზიის და კულაკების წყობილება, იქ პილსუდსკის ხიშტების დახმარებით ხელთ იგდოს ძალაუფლება და უკრაინა დაუმორჩილოს პანების პოლონეთს,—ყველაფერი ეს ძველი ამბავია. მაგრამ საყურადღებოა, რომ ეს ვაჟბატონი ისე აშკარად და ისიც პოლონეთის პარლამენტში ამხელს თავის შავ ზრახვებს.

ესაა ანარეკლი იმ საერთო ანტი-საბჭოთა კამპანიისა, რომელიც გაჩაღებულია ევროპაში და კერძოდ პოლონეთში. ეს კამპანია ასულდგმულებს ლევიცკებისთანა ნაძირალებს. აღსანიშნავია, რომ ლევიცკის შემდეგ სეიმის საგარეო საქმეთა კომისიის იმავე სხდომაზე გამოვიდა პოლონეთის კულაკურ პარტიის ლიდერი დომბსკი, რომელმაც მხარი დაუჭირა მას: უკრაინის დამოუკიდებლობის და რიგის ხელშეკრულების რევიზიის საკითხში პოლონეთის გლეხობა ადვილად შეუთანხმდება უკრაინელებს; პოლონეთის დემოკრატიას (!) სწამს უკრაინის აღორძინება; 40 მილიონიან უკრაინელ ხალხზე ბატონობა (?) შეუძლებელიაო, — განაცხადა დომბსკიმ. მას ხმა მისცა პოლონელ სოციალისტების ორატორმა ჩაფინსკიმ: არ უნდა დაგვავიწყდეს ჩვენი სიმპატიები რუსეთის ხალხების მიმართ, რომელნიც განთავისუფლების გზას ადგანანო.

ამგვარად, ჩვენი მტრები ისეთ სურათს ხატავენ, თითქო საბჭოთა კავშირის ხალხები დამონებული იყვნენ „მოსკოვის" მიერ, რომ თითქო ისინი ბრძოლას აწარმოებდნენ განთავისუფლებისათვის. ამით მათ სურთ „საზოგადოებრივი აზრი" შექმნან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იმპერიალისტების გამოლაშქრების სასარგებლოდ და მორალურად გაამართლონ პილსუდსკების ანტისაბჭოთა პოლიტიკა, რომლის მიზანი, წარმოიდგინეთ, ამ „დაჩაგრულ" ხალხთა განთავისუფლებაში მდგომარეობს, და არა საბჭოთა კავშირის თავისუფალ ხალხებს კისერზე მონობის უღლის დადგმაში!

ლევიცკები, დომბსკები, ჩაფინსკები და მათი მსგავსნი, რა თქმა უნდა, კრინტსაც არ სძრავენ იმაზე, თუ რა გაუგონარ დევნას განიცდიან ეროვნული უმცირესობანი პოლონეთში. მაგრამ სინამდვილე თავის თავად მეტყველებს. სხვათა შორის, ბელორუსთა გრომადის ამას წინედ გამართულმა პროცესმა ყველასათვის თვალსაჩინო გახადა, თუ ეს კიდევ საჭირო იყო ვინმესთვის, ნაციონალურ უმცირესობათა სრულიად უუფლებო მდგომარეობა პოლონეთში. ამიტომაცაა, რომ მათ შორის იზრდება მოძრაობა პილსუდსკის სულთამხუთავი რეჟიმის დასამხობად. ეს მოძრაობა მით უფრო ძლიერდება, რომ პოლონეთის დაჩაგრულ ხალხებს (ისე როგორც დანარჩენ დამონებულ ერებს) თვალწინ უდგათ მაგალითი საბჭოთა კავშირისა, სადაც ოქტომბრის რევოლიუციის წყალობით დამყარებულია ყველა ერების სრული თანასწორობა და სადაც ისინი ძმურად თანამშრომლობენ და უდიდეს აღმშენებლობით მუშაობას ეწევიან საკუთარი და მთელი კაცობრიობის საუკეთესო მომავლისათვის. იმპერიალისტებისათვის ეს უეჭველად სახიფათო მაგალითია და მათი ცდა მის მოსასპობისკენაა მიმართული, ე. ი. საბჭოთა კავშირის განადგურებისაკენ.

იმპერიალისტებს იმედი აქვთ, რომ ისინი აქ მიზნით ლევიცკების, ჟორდანიების და სხვათა დახმარებით შესძლებენ საბჭოთა კავშირის ხალხთა ამხედრებას მუშურ - გლეხურ წყობილების წინააღმდეგ. ჩვენ ვიცით, რომ მუშათა და გლეხთა მიერ საბჭოთა ქვეყნებიდან გაძევებული კონტრ - რევოლიუციონერი ემიგრანტები, როგორც წინედ, ისე ეხლაც მზად არიან თავისი სული და ხორცი მიყიდონ პილსუდსკებს და ჩემბერლენებს, ოღონდ ხელი შეუწყონ მათი შავი ზრახვების განხორციელებას. მაგრამ ამაოდ. მათი ავანტიურები ყოველთვის სასტიკი მარცხით დამთავრებულა, ასე მოხდება შემდეგშიაც, თუ მათ კვლავ სცადეს ბედი, მათი ცდები კიდევ უფრო შეადუღებს საბჭოთა კავშირის მშრომელ ხალხის გარეშე თუ შინაური მტრების ხრიკების ასაკვეთად და სოციალისტური მშენებლობის გასაძლიერებლად.

პოლონეთ-ლიტვის დავა და ერთა ლიგა

ერთა ლიგამ თავისი საბჭოს უკანასკნელ სესიაზე, რომელზედაც იხილავდნენ პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტს, სავსებით ნათლად, როგორც არასოდეს, გამოაშკარავა, რომ იგი არის იმპერიალისტური ძალადობის ერთ-ერთი იარაღი. დიდი სახელმწიფოები, რომლებიც ტონს აძლევენ ლიგას, არასოდეს არ გამოსულან ასე აშკარა მუქარით იმ სახელმწიფოს ლიგის წევრის მიმართ, რომელიც ცდილობს დაიცვას თავისი უფლებანი გაცილებით უფრო ძლიერი მეზობლის წინააღმდეგ. ლიტვის მთავრობის დემონსტრატიულმა ჟესტმა, რომელმაც ვილნო გამოაცხადა ლიტვის დედა-ქალაქად, ლიგის ხელმძღვანელებს მისცა საბაბი გაელაშქრათ ლიტვის, როგორც „მშვიდობიანობის თავხედი დამრღვევლის" წინააღმდეგ.

ლიგამ უკვე დიდი ხანია გვიჩვენა, თუ როგორ ესმის მას სამხედრო კონფლიქტების აცილების ამოცანა: ერთა ლიგის საბჭო თავის, 1927 წ. 10 დეკემბერს გამოტანილ დადგენილებით უკვე შეეცადა აეძულებია ლიტვა შეეწყვიტა წინააღმდეგობა და დანებებოდა თავის მეზობელს. ეხლა ამ ზეგავლენამ უფრო უხეში ფორმები მიიღო. მისტერ ჩემბერლენმა ლიტვის მიმართ წამოისროლა ბრალდება, რომ იგი „წინასწარი განზრახვით ეწევა პროვოკაციას"-ო. არსებითად იგივე განაცხადა ბრიანმა ჯერ კიდევ ერთა ლიგის საბჭოს სესიამდე.

ეს მუქარის ტონი და ეს მოუთმენელი მისწრაფება, რომ რაც შეიძლება სასწრაფოდ იქნას ჩაჩუმებული ლიტვა, სავსებით ნათლად მოწმობს იმას, რომ საკითხი შეეხება რომელიღაც დიდ ანგარიშებს. არავინ არ დაიჯერებს სერიოზულად იმას, რომ პატარა ლიტვა საბაბს ეძებს შეიარაღებული კონფლიქტისათვის პოლონეთთან, რომელიც თავისი ძლიერებით რამოდენიმეჯერ აღემატება მას. განა ერთა ლიგის დიპლომატები მართლაც იმას ფიქრობენ, რომ ლიტვის კონსტიტუციის შესწორება რაიმე რეალურ საფრთხეს წარმოადგენს პოლონეთისათვის და იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც მხარს უჭერენ მას? სრულიადაც არა. მთელი განგაში, რომელიც ასტეხეს ვითომდა ლიტვის მხრით მოსალოდნელ საშიშროების გამო, მიზნად ისახავს იმპერიალისტურ პოლიტიკის ნამდვილი ზრახვების დაფარვას. არც ინგლისს, არც საფრანგეთს, რასაკვირველია, ერთი წუთითაც არ ეშინია იმისა, რომ ლიტვას ძალით შეუძლია დაიბრუნოს ვილნო. ყვირილმა ლიტვის „აგრესიულობაზე" უნდა დაფაროს ის გალაშქრება, რომელიც მზადდება ლიტვის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. პოლონელი შოვინისტები ჯერ კიდევ შარშან ზამთარში აშკარად ოცნებობდნენ იმაზე, რომ ლიტვა გაეხადათ პოლონეთის ვასალად. ამ მიზანს ისახავს აგრეთვე ინგლისის დიპლომატია, ვინაიდან ლიტვა, რომელიც პოლონეთის გავლენას არ ემორჩილება, წარმოადგენს იმ სახელმწიფოს, რომელიც დღემდე აკლია ბალტიის მხარის სახელმწიფოების ანტისაბჭოთა ბლოკს. ეს კიდევ ცოტაა: პოლონეთის მადის დაკმაყოფილებით ლიტვის ხარჯზე პანების პოლონეთი ადვილად შეუთანხმდება გერმანიას. ლიტვამ, ინგლისის დიპლომატიის ზრახვების მიხედვით, ხურდა ფულის როლი უნდა ითამაშოს დიდი ანგარიშების გასწორების დროს. პატარა ხალხის დამოუკიდებლობის მსხვერპლად შეწირვით ნაყიდი უნდა იქნას გერმანიის და პოლონეთის შეთანხმება ევროპის ანტისაბჭოთა ბლოკში საერთო მონაწილეობის შესახებ. ამ გეგმას დიდი ხანია ანვითარებენ „ფორტანაილი რევიუ"-ს ფურცლებზე ცნობილი ავგური და შუბლმაგართა სხვა დაქირავებული კალმოსნები. ერთა ლიგის საბჭოს მე-50 სესიამ ბრიტანეთის დიპლომატია კიდევ ერთი ნაბიჯით დაუხლოვა თავის მიზანს. მთელი რიგი დათმობათა და კომპრომისების საშუალებით ბრიტანეთის დიპლომატიამ შესძლო დროებით შეეწყვიტა მუდმივი დავა საფრანგეთის იმპერიალიზმთან. დეპეშები აღნიშნავენ ინგლისის და საფრანგეთის დელეგაციების დიდი ხანი არანახულ ერთსულოვნებას". მტაცებელთა ასეთი „ერთსულოვნება" კარგ შედეგებს არ მოიტანს, ვინაიდან როცა ორი იმპერიალისტური სახელმწიფო აცხადებს, რომ ისინი შეთანხმდნენ, მაშინ ისმის საკითხი: ვის ხარჯზე იქნა მიღწეული შეთანხმება? „ევროპის მთლიანობის" ცდუნებას ვერ გაუძლო გერმანიის დელეგაციამაც, რომლის მეთაურმა შუბერტმა თავისი „პასიობით" მხარი დაუჭირა ინგლის-საფრანგეთ-პოლონეთის იერიშებს ლიტვის წინააღმდეგ.

ყველა ქვეყნების ბურჟუაზიული პრესა, გამოსთქვამს რა აღშფოთებას ლიტვის ჯიუტობის გამო, გაკვრით ამბობს, რომ ლიტვას ამ ჯიუტობაზე აქეზებს საბჭოთა კავშირი, თუმცა ჯერ კიდევ ამას წინედ იგივე პრესა აღიარებდა, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობის ჩარევამ პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტის უაღრესად გაწვავების მომენტში დამამშვიდებელი გავლენა იქონია ორივე ქვეყანაზე.

ეხლა აქვეყნებენ პირდაპირ საწინააღმდეგო თეზისს: საბჭოთა კავშირი ლიტვას აქეზებს, რომ მან გამოიჩინოს ჯიუტობა და არაფერი არ დასთმოსო. თუ ამ განცხადებას გავიგებთ იმ აზრით, რომ საბჭოთა კავშირის სიმპატიები ყოველთვის იქნება პატარა ერის მხარეზე, რომელიც იცავს თვითგამორკვევის უფლებას, და არასოდეს არ იქნება მტაცებელი იმპერიალისტების მხარეზე,—ეს რასაკვირველია სრული სიმართლეა.

მაგრამ სასაცილოა ფიქრი იმისა, რომ საბჭოთა კავშირმა ვოლდემარასს ჩააგონა დონკიხოტური რწმენა ჟენევაში შეკრებილ მოლაყბეთა სამართლიანობასა და მიუდგომლობაში და რომ ბურჟუაზიული ლიტვის ამ მმართველმა საბჭოთა მთავრობის წაქეზებით გამოიჩინა ბატონ ჩემბერლენების გამაღიზიანებელი ჯიუტობა.

საქმის ვითარება სავსებით მარტივად აიხსნება. ლიტვისათვის ამ დავაში სდგას არა მარტო ვილნოს საკითხი, არამედ მისი დამოუკიდებლად არსებობის საკითხიც. ეს იძულებულია აღიაროს ინგლისის ბურჟუაზიულმა გაზეთმა „მანჩესტერ გარდიენ"-მა. ეს გაზეთი, ლაპარაკობს რა იმაზე, რომ აუცილებელია როგორმე იქნან შერიგებული ლიტველები და პოლონელები, ამავე დროს აკეთებს შემდეგ საგულისხმო შენიშვნას: „ბელორუსების და უკრაინელების ეროვნული უმცირესობანი პოლონელთა ჯოჯოხეთში სცხოვრობენ, ლიტველები მართალნი არიან, როცა არ სურთ ასეთივე უმცირესობა გახდნენ პოლონეთში"-ო.

ლიბერალურმა გაზეთმა შემთხვევით წამოსთქვა სიმართლე. ამაშია საქმის არსებითი მხარე. იმპერიალისტური დიპლომატია შეთქმულებებს ამზადებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამ მიზნის მისაღწევად იგი მზად არის გაქელოს წვრილი ერების დამოუკიდებლობა და უფლებები. და ამ „კეთილშობილი" მოქმედების სარბიელს წარმოადგენს ჟენევის ორგანიზაცია, რომელიც შექმნილ იქნა „მშვიდობიანობისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების განსამტკიცებლად".

„პრავდა", 12 ივნისი.

უთანხმოება სამხრეთელ მილიტარისტებს შორის

მოლაპარაკება გერმანიის ახალი მთავრობის შედგენის შესახებ

თურქეთის მთავრობამ გააგრძელა საბჭ. კავშირთან დადებულ საკონსულო კონვენციის მოქმედების ვადა

გერმანიის მომავალი მთავრობა

ბერლინი, 11 ივნისი. გერმანიის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ მომავალ მთავრობაში აუცილებლად შევლენ შემდეგი პირები: სოციალ-დემოკრატები — **გერმან მიულერი, ზევერინგი და ჰილფერდინგი;** ეხლანდელ მინისტრებიდან, პოლიტიკურ წრეების აზრით, დარჩებიან—გარეშე საქმეთა მინისტრი **შტრეზემანი,** სახალხო მეურნეობის მინისტრი **კურციუსი,** თავდაცვის მინისტრი **გრენერი** და ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი **შიუტცელი.** (ადს).

კომპარტიის მოწოდება

ბერლინი, 11 ივნისი. რეიხსტაგის გახსნის მოახლოების გამო გერმანიის კომპარტიის ცეკამ გამოაქვეყნა მოწოდება ყველა მშრომელთადმი, მათ შორის სოციალ-დემოკრატ მუშებისადმიც. მიმართვა მოუწოდებს ყველა მშრომელთ მიიღონ მონაწილეობა იმ ბრძოლაში, რომელიც სწარმოებს ახალი ლოზუნგით „კლასი კლასის წინააღმდეგ" და შექმნან ყველა მშრომელთა ბლოკი, რათა დაამხონ კოალიციური მთავრობა და ცხოვრებაში გაატარონ პროლეტარიატის საარსებო მოთხოვნილებები.

კანადის პრემიერს დაავიწყდა თავისივე განცხადება

ლონდონი, 11 ივნისი. „დეილი ტელეგრაფ" და „ტაიმს" აქვეყნებენ დაწვრილებითი ცნობებს იმ კამათის შესახებ, რომელიც გაიმართა კანადის პარლამენტში უკანასკნელ საიმპერიო კონფერენციის გარშემო, რომელზედაც ირჩეოდა მეტროპოლიის დომინიონებთან ურთიერთობის საკითხი.

კამათის დროს დამოუკიდებელი პარტიის ბელადმა **ბურასამ** კანადის მთავრობას უსაყვედურა, რომ თავისი პოლიტიკით ის საკმაოდ არ იცავს კანადის უფლებას დამოუკიდებლობაზე. საილუსტრაციოთ ბურასმა მოიყვანა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის ჩაშლა, და განაცხადა, რომ კანადის მთავრობა მოქმედებდა კოლონიების მინისტრის **ებერის** ბრძანების მიხედვით; მთავრობამ არც კი დაუცადა არკოსზე თავდასხმის დროს ხელში ჩაგდებულ მასალების შემოწმებას.

ბურასის საპასუხოდ პრემიერმა **მეკენზი კინგმა** განაცხადა, რომ კანადა საკუთარი ინიციატივით მოქმედებდა. საბჭოთა აგენტის მიერ ჩამოტანილ ლიტერატურის ნაწილი მიმართული იყო რელიგიის წინააღმდეგ, ნაწილიც საზოგადოებრივ წყობილების წინააღმდეგ, — ერთი სიტყვით, ლიტერატურა საშიშარი იყო კანადის კეთილდღეობისათვის. როცა კანადის მთავრობამ გაიგო, რომ ბრიტანეთის მთავრობამ გასწყვიტა ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, მან გადასწყვიტა, რომ აქვს საკმაო საფუძველი მიბაძოს ბრიტანეთის მთავრობის აქტს. (ადს).

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ცნობა

მოსკოვი, 12 ივნისი. კანადის პრემიერის იმ განცხადების გამო, რომელიც მან გააკეთა კანადის პარლამენტის სხდომაზე 8 მაისს, საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს ავტორიტეტულ წრეებში აცნობეს:

„მეკენზი კინგის განცხადება სრულიად ამახინჯებს ფაქტებს. ლიტერატურა, რომელზედაც ლაპარაკია შესდგებოდა სამეცნიერო აკადემიის და საბჭოთა კავშირის სხვა სამეცნიერო დაწესებულებების გამოცემებისაგან და გაგზავნილი იყო კანადის სამეცნიერო დაწესებულებების ლიტერატურაზე გადასაცვლელად.

კინგის განცხადება საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის ჩაშლის მოტივების შესახებ სრულიად ეწინააღმდეგება მის მიერ ერთი წლის წინად გაკეთებულ განცხადებებს.

მაშინ კინგმა განაცხადა, რომ „**ინფორმაციიდან, რომელიც არის კანადის მთავრობის განკარგულებაში, არა სჩანს, რომ საბჭოთა ოფიციალური სააგენტო მონრეალში ეწეოდა ჯაშუშობას და პროპაგანდას**", მაგრამ, აღნიშნა, რომ „ბრიტანეთის მთავრობის მიერ საბჭ. კავშირთან დადებულ სავაჭრო ხელშეკრულების გაუქმება ავტომატიურად აუქმებს სავაჭრო ხელშეკრულებას კანადასთან".

1927 წლის მაისში საბჭოთა კავშირის ოფიციალურ აგენტთან ამხ. გერუსთან საუბარში კინგმა აღიარა, რომ **კანადაში საბჭოთა პროპაგანდას არ ჰქონია ადგილი და კანადა, როგორც ბრიტანეთის იმპერიის ნაწილი, იძულებული იყო გაეწყვიტა ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან**". (ადს).

პრუსიის ლანდტაგში

ბერლინი, 11 ივნისი. პრუსიის ლანდტაგში გაიმართა კამათი მთავრობის დეკლარაციის გარშემო. სოციალ-დემოკრატები, ცენტრის პარტია და დემოკრატები გამოვიდნენ საერთო განცხადებით, რომელშიაც მოიწონეს პრემიერ **ბრაუნის** დეკლარაცია, ნაციონალისტების წარმომადგენელმა განმეორებით განაცხადა, რომ მთავრობას უნდა დაისვა საკითხი პრუსიის მთავრობის ახალი შემადგენლობის შესახებ, და თავისი ფრაქციის სახელით უნდობლობა გამოუცხადა მთავრობას. კომფრაქციის წარმომადგენელმა **პიკმა** განაცხადა, რომ მთავრობა არ სარგებლობს ხალხის ნდობით.

„**მშრომელ მასების გარევოლიუციონერება,** — განაცხადა პიკმა, — **სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ სოციალ-დემოკრატების სურვილის წინააღმდეგ**". (ადს).

თურქეთ-საბჭ. კავშირის კონვენცია

სტამბოლი, 11 ივნისი. თურქეთის მთავრობამ გადასწყვიტა 6 თვით გააგრძელოს თურქეთ - საბჭოთა კავშირის საკონსულო კონვენციის მოქმედების ვადა (ადს).

შეერთებულ შტატების კომპარტია

არჩევნებში საკუთარ კანდიდატებს აყენებს

ნიუ - იორკი, 11 ივნისი. უორკერს პარტის (შეერთებულ შტატების კომპარტია) ნიუიორკის შტატის ორგანიზაციის კონფერენციამ პარტიის კანდიდატად შეერთებულ შტატების სენატის არჩევნებში წამოაყენა **რობერტ მინორი.** კანდიდატად შტატის გუბერნატორის პოსტზე წამოყენებულია **ვილიამ დეინი.**

საბერძნეთ-თურქეთის მოლაპარაკება

ანგორა, 11 ივნისი. ანატოლიის დეპეშათა სააგენტო იუწყება: „თურქეთსა და საბერძნეთს შორის დაწყებული მოლაპარაკება სადაო საკითხების მოწესრიგების შესახებ ხელსაყრელ პირობებში მიმდინარეობს (ადს).

მანიფესტაცია

კომუნის ხსოვნის აღსანიშნავად

პარიზი, 11 ივნისი. მონპარნასის სასაფლაოზე კომპარტიამ და შრომის უნიტარულმა კონფედერაციამ მოაწყვეს გრანდიოზული მანიფესტაცია კომუნის ხსოვნის აღსანიშნავად. კომუნის ძებსა, პატრიოტულ ახალგაზრდობის ჯგუფსა და სოციალისტებს შორის ადგილი ჰქონდა უმნიშვნელო შეტაკებებს. (ადს).

ამმანულა ხანი თეირანში

თეირანი, 11 ივნისი. თეირანში ყოფნამ ავღანისტანის ფადიშაჰმა მიიღო დიპლომატიური კორპუსი, სპარსეთის მთავრობის წევრები და მეჯლისის პრეზიდიუმის წევრები. (ადს).

ჰავასი უარყოფს

პარიზი, 11 ივნისი. ჰავასის სააგენტო იუწყება: „პრესაში გამოქვეყნებული ცნობები იმის შესახებ, რომ საფრანგეთის მთავრობამ შეერთებულ შტატების მთავრობას გაუგზავნა მემორანდუმი ომზე უარის თქმის შესახებ მოლაპარაკების გამო არ შეეფერება სინამდვილეს.

უთანხმოება სამხრეთელების ბანაკში

ჩან-კაი-შის გადადგომა

შანხაი, 11 ივნისი. უცხოელთა ავტორიტეტულ წრეებში სთვლიან, რომ ჩან-კაი-შის გადადგომა გამოწვეულია ფინ-იუ-სიანის ბრძოლით ენ-სი-შანთან პეკინისათვის და ბაი-ცზუნ-ჩის ცდებით დაეპატრონოს ხენანის პროვინციას. ჩან-კაი-შის გადადგომაში გადამწყვეტი როლი ითამაშა იმან, რომ ფინ-იუ-სიანმა ჩან-კაი-შის დირექტივების წინააღმდეგ დაიკავა პეკინი. სამხედრო წრეებში ფინ-იუ-სიანის მოქმედებას სთვლიან აშკარა ამბოხებად, ამიტომ ჩან-კაი-შის ან უნდა ებრძოლა ფინ-იუ-სიანის წინააღმდეგ, ან უნდა გადამდგარიყო.

ჩინელთა წრეებში აღნიშნავენ, რომ ჩან-კაი-ში გადადგა მთავარსარდლის თანამდებობიდან, მაგრამ რჩება ნანკინის მთავრობის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეთ. მთავრობას ჯერ არ დაუმტკიცებია ჩან-კაი-შის გადადგომა და ამჟამად სწარმოებს მოლაპარაკება იმ მიზნით, რომ ჩან-კაი-შის შეაცვლევინონ მისი გადაწყვეტილება. (ადს).

ჩან-კაი-შის ბრძანების წინააღმდეგ

პეკინი, 11 ივნისი. შანსის ჯარების სარდალს პეკინში გენერალ ჩანჩენს და ფინ-იუ-სიანის ჯარების სარდალს გენერალ ხა-ფუ-ჩუს თათბირი ჰქონდათ იმ მდგომარეობის შესახებ, რომელიც შექმნილია ტიანძინთან. ფინ-იუ-სიანის ჯარებმა, რომლებიც ტიანძინისკენ მიიწევენ, შესცვალეს მარშრუტი, ვინაიდან ჩან-კაი-შის განკარგულებით პეკინი და ტიანძინი უნდა დაიკავონ ენ-სი-შანის ჯარებმა. იაპონიის სააგენტოების ცნობით მდინარე ბაიხეს ხეობაში სწარმოებს ბრძოლა ფინ-იუ-სიანის ჯარებსა და ჩჟილის და შანდუნის ჯარების შორის. (ადს).

შანხაის სტუდენტების დემონსტრაცია

შანხაი, 11 ივნისი. ქალაქის ჩინურ ნაწილში გაიმართა სამხედრო კორპუსებში გაერთიანებულ შანხაელ სტუდენტების დემონსტრაცია. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 16.000 სტუდენტმა. დემონსტრანტებს შორის იყვნენ სამხედრო ფორმაში გადაცმული ქალიშვილები. დემონსტრაცია მშვიდობიანად ჩატარდა. ორატორების სიტყვები მიმართული იყო უმთავრესად იაპონიის წინააღმდეგ. (ადს).

ფინ-იუ-სიანი დამოუკიდებლად მოქმედებს

პეკინი, 11 ივნისი. გენერალმა ხან-ფიუ-ჩუმ, ფინ-იუ-სიანის ბრძანებით, განაიარაღა მუკდენის გენერალ ბაოსიუ-ლინის ჯარები, რომლებიც პეკინში დარჩენ დიპლომატიურ კორპუსის თხოვნით ქალაქში წესრიგის დასაცავად სამხრეთელების მთავარი ძალების მოსვლამდე. განიარაღებული ჯარები გაიგზავნა ნანიუანში მცველთა გაძლიერებული რაზმის თანხლებით. როცა ინგლისის, იაპონიის, ჰოლანდიის და ამერიკის ელჩებმა გაიგეს, რომ ფინ-იუ-სიანის ჯარებმა განაიარაღეს ბაოსიუ-ლინის ჯარისკაცები, ისინი სამხედრო ატაშეების თანხლებით გაემართნენ ჯარების სადგომ ადგილას, მაგრამ მათ მისვლამდე განიარაღება უკვე დამთავრებული იყო. უცხოეთის ელჩები აღნიშნავენ, რომ ფინ-იუ-სიანმა დაარღვია ნანკინის მთავრობის მიერ დიპლომატიური კორპუსისათვის მიცემული დაპირება, რომ ბაო-სიუ-ლინის ჯარებს მიეცემა საშუალება დაუბრკოლებლად დასტოვონ პეკინი. (ადს).

ყუმბარები მუკდენში

შანხაი, 11 ივნისი. იაპონურ წყაროებიდან მიღებულ ცნობებით, 10 ივნისს მუკდენში ქალაქის სხვადასხვა ნაწილებში უცნობმა პირებმა გადაისროლეს ყუმბარები. ერთი ყუმბარა გადაისროლეს იაპონელ რეზიდენტთა საზოგადოების სახლში. ქალაქში პანიკაა. ყუმბარების აფეთქებით დაშინებულმა ჩინელმა პოლიციელებმა დასტოვეს თავიანთი პოსტები, რომლებიც დაიკავა იაპონელთა პოლიციამ.

ტოხოს სააგენტო იუწყება, რომ ყუმბარები გადაისროლეს სამოქალაქო ტანთსაცმელში გადაცმულმა სამხრეთელმა ჯარისკაცებმა. (ადს).

კომუნისტური პლაკატები პეკინში

პეკინი, 11 ივნისი. ხელისუფლებამ დროებით აკრძალა სტუდენტების დემონსტრაციებისა და კრებების გამართვა ქალაქში. აკრძალულია აგრეთვე პლაკატების გაკვრა ქუჩებში და საზოგადო ადგილებში. ჩინეთის წყაროებიდან მიღებული ცნობებით, ზოგიერთ ქუჩებში გააკრეს პლაკატები კომუნისტური ლოზუნგებით. პოლიციამ მოახდინა მასიური დაპატიმრება. (ადს).

ბანკეტი ტოკიოში

ამხ. ანიკეევი იაპონია - საბჭ. კავშირის ურთიერთობის შესახებ

ტოკიო, 11 ივნისი. სიმბუნ რენგოს სააგენტო იუწყება:

„საბჭოთა კავშირის სავაჭრო დელეგაციის თავმჯდომარის **ანიკეევის** დროებით მოსკოვში გამგზავრების გამო, სავაჭრო დელეგაციამ 9 ივნისს გამართა ბანკეტი. ბანკეტს დაესწრნენ: ვაჭრობა - მრეწველობის მინისტრი **ნაკახასი** და ვიკონტი **გოტო,** გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი **მორი,** საქმიან წრეების ასამდე წარმომადგენელი და მისიის და საელჩოს პირადი შემადგენლობა.

მიესალმე რა სტუმრებს ანიკეევმა, აღნიშნა, რომ 1926 წლიდან იაპონია-საბჭოთა კავშირის ვაჭრობა გაიზარდა 50 პროცენტით. ანიკეევმა ხაზი გაუსვა იმას, რომ საჭიროა უფრო გრძელვადიანი კრედიტები, აღნიშნა იაპონიის საკონცესიო წარმოებათა ნაყოფიერი მუშაობა და განაცხადა, რომ შემდეგი ნაბიჯი უნდა იქნეს სავაჭრო ხელშეკრულების დადება". (ადს).

ჩაშალეს გაფიცვა

პარიზი, 11 ივნისი. გაფიცვის კომიტეტის განკარგულებით, პარიზის ტრანსპორტის მუშათა გაფიცვა შეწყდა 10 ივნისს.

„ჰუმანიტე" ამის შესახებ სწერს: „**გაფიცვა ჩაიშალა მწარმოებლების, პრეფექტურის, ბურჟუაზიული პრესის და შრომის რეფორმისტულ კონფედერაციის ბელადთა გაერთიანებული ღონისძიებებით**". (ადს).

ნობილეს ექსპედიცია კრიტიკულ მდგომარეობაში

ცნობები კინგსბეიდან

ოსლო, 11 ივნისი ნორვეგიის დეპეშათა სააგენტოს მიერ კინგსბეიდან მიღებულ ცნობების მიხედვით „იტალია"-ს რაზმის განკარგულებაში მოიპოვება ძლიერ მცირე რაოდენობის სურსათი და სათბობი. ექსპედიციის ზოგიერთ მონაწილეებს დამწვარი აქვს ხელები და ფეხები. ორს მოტეხილი აქვს ფეხი. დაშვების დროს გონდოლა დაიმტვრა. ყინული, რომელზედაც იმყოფება „იტალია"-ს რაზმი, თითქმის უვარგისია სასიარულოდ. ნობილე და 6 კაცისაგან შემდგარი ჯგუფი მიემართება გემ „ბრაგანცა"-სკენ (ადს).

სტოკჰოლმი, 11 ივნისი. აქ მიღებული ცნობების მიხედვით ნობილეს დირიჟაბლი „იტალია" დაშვების დროს ორ ნაწილად გატყდა. დირიჟაბლის ერთი გონდოლა და რაზმის ნაწილი, რომელთაგან ორი დაჭრილია, მოექცა ყინულის მთაზე.

რაზმის მეორე ნაწილი და გონდოლები, რომლებშიაც მოთავსებულია მოტორები. დარჩა 30 კილომეტრის მანძილზე აღმოსავლეთით. თუ სად იმყოფება მესამე ჯგუფი, ამაზე ჯერჯერობით ცნობები არ არის (ადს).

მფრინავი ლიუტცოვ - ხოლმი დაბრუნდა

სტოკჰოლმი, 11 ივნისი. მფრინავი ლიუტცოვ - ხოლმი 10 ივნისს საღამოს დაბრუნდა იალქნიან გემ „ხობბ"-ზე (ადს).

ამუნდსენი ნობილეს ხსნის შესახებ

ოსლო, 11 ივნისი. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება: „ამუნდსენი ფიქრობს, რომ ნობილესთვის საუკეთესო დახმარების აღმოჩენა შეიძლება ჰიდრო - აეროპლან „დორნიე ვალ"-ის გაგზავნით. ეს ჰიდრო - აეროპლანი უკვე მზად არის გერმანიაში. ამუნდსენმა დეპეშა გაუგზავნა თავის მეგობრებს ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში და სთხოვა მათ სასწრაფოდ უპასუხონ, შეუძლიათ თუ არა გადასდონ თანხები ამ მიზნისათვის (ადს).

სვერდრუპი ნობილეს ხსნის შესაძლებლობის შესახებ

ოსლო, 11 ივნისი. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება: „პოლიარულ ქვეყნების ცნობილმა მკვლევარმა სვერდრუპმა განაცხადა, რომ მისი აზრით ყინულის გამკვეთი გემები საუკეთესო საშუალებას წარმოადგენენ ნობილეს ექსპედიციის მონაწილეთათვის დახმარების აღმოსაჩენად. სვერდრუპის სიტყვებით, უკანასკნელი ცნობები ექსპედიციის მდგომარეობის შესახებ ძლიერ აფიქრებენ მას"

მოსკოვი, 12 ივნისი. უკანასკნელი რადიო-გადაცემებიდან, რომლებიც მიღებულ იქნა პოპოვის სახელობის რადიო-სადგურის მიერ, სჩანს, რომ დირიჟაბლმა „იტალია"-მ ავარია განიცადა. არის დაჭრილები. დირიჟაბლის რაზმის მდგომარეობა ძალიან სერიოზულია. უნდა ვიფიქროთ, რომ რაზმის ნაწილი დაიღუპა, ხოლო მეორე ნაწილი იმყოფება მცურავ ყინულზე. არის აგრეთვე ცნობები, რომ „იტალია"-ს რაზმი პატარ-პატარა ჯგუფებად არის გაფანტული დიდ მანძილზე.

მიღებულია ცნობები, რომ ნორვეგიის ერთ-ერთი ჰიდროპლანი, რომელიც ნობილეს მოსაძებნად გაიგზავნა, უკვე მესამე დღეა არავითარ ცნობებს არ იტყობინება. ფიქრობენ, რომ იგი დაიღუპა ყინულოვან უდაბნოში.

დღემდე „იტალია"-ს მოსაძებნად შპიცბერგენზე „ჩიტა დი მილანო"-ს გარდა გაიგზავნა იალქნიანი გემი „ხობი", გემი „ბრაგანცა" და ნორვეგიის ორი ჰიდროპლანი. (ადს).

დახმარება ნობილეს

მოსკოვი, 12 ივნისი. ნობილეს დამხმარე კომიტეტმა მოიწონა იტალიის მთავრობის შუამდგომლობა საბჭოთა ექსპედიციის გაგზავნის შესახებ ნობილეს დასახმარებლად, რომელიც ლისმიტის კონცხზე იმყოფება. კომიტეტმა წინადადება მისცა ყინულის მჭრელ გემ „მალიგინს" გავიდეს ზღვაში აეროპლანთან ერთად და გაემართოს იმედის კუნძულისაკენ. ამავე დროს ლენინგრადის ნავთსადგურის მიეცა წინადადება ორი კვირის განმავლობაში მოამზადოს ზღვაში გასასვლელად ყინულის მჭრელი გემი „კრასინი", რომელმაც თან უნდა წაიღოს ძლიერი სამმოტორიანი ჰაეროპლანი და კინგსბეის გზით, წავიდეს იმ ადგილებისაკენ, სადაც ნობილე იმყოფება.

„მალიგინი" მზად არის გასასვლელად

არხანგელსკი, 12 ივნისი. ყინულისმჭრელი გემი „მალიგინი" მზად არის გასასვლელად. გემს თან მიაქვს სურსათი, რომელიც 6 თვეს ეყოფა. ყინულის მჭრელი გემის დატვირთვას მოუნდება 4 დღე, ჩვეულებრივ კი უნდება 10 დღე. ექსპედიცია 1 ნახ. თვე გაგრძელდება. „მალიგინი" ოკეანეში გავა 12 ივნისს.

ყინულის მჭრელი გემი „კრასინი"

ლენინგრადი, 12 ივნისი. ამ დღეებში ნობილეს ექსპედიციის დასახმარებლად ლენინგრადიდან გავა მსოფლიოში ყველაზე უფრო მძლავრი ყინულისმჭრელი გემი „კრასინი". ამ გემს შეუძლია 3-4 მეტრის სისქე ყინულის გატეხა. შპიცბერგენამდე „კრასინი" შეუჩერებლად მივა. (ადს).

ცნობები „იტალია"-დან

ოსლო, 11 ივნისი. კინგსბეიდან მიღებული ცნობით, არქტიკაში რამოდენიმეჯერ დათბა, ამიტომ „იტალია"-ს მდგომარეობა გაუმჯობესდა. ნობილესგან მიღებული ცნობის თანახმად ავარიის დროს დაიღუპა სურსათისა და მოწყობილობის მნიშვნელოვანი ნაწილი. დირიჟაბლის გონდოლა და მოტორები დაიმტვრა ცნობა მექანიკოსის დაღუპვის შესახებ არ დასტურდება. საბჭოთა ყინულისმჭრელი გემს მოელიან ხუთი დღის შემდეგ. (ადს).

საბჭ. კავშირის ეროვნებათა საბჭოში

ნაციონალური ოლქების მრეწველობის 5 წლიანი გეგმა

მოსკოვი, 12 ივნისი. საკავშირო ცაკის ეროვნებათა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე მოსმენილ იქნა საკავშირო ს. მ. უ. ს. და რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკების ს. მ. უ. ს. მოხსენებები ა.-კ. ს. ფ. ს. რ. უზბეკისტანის ს. ს. რ., თურქმენისტანის ს. ს. რ. და აგრეთვე საბჭოთა კავშირის ნაციონალურ რაიონების მრეწველობის განვითარების შესახებ.

საკავშირო ს. მ. უ. ს. თავმჯდომარემ ამხ. **დოლგოვმა** თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ 1924-25 წლიდან დაწყებული ყველა ნაციონალურ რაიონებში გაფართოვდა ახალი საწარმოთა მშენებლობა. ხუთწლიანი გეგმის მიხედვით ნაციონალურ რაიონებში მნიშვნელოვნად გაიზრდება სამრეწველო დაწესებულებათა რაოდენობა. სხვადასხვა რესპუბლიკებსა და ოლქებში მრეწველობის ზრდის ტემპი სამჯერ უფრო გაძლიერდება.

ამიერ-კავკასიის მრეწველობის პერსპექტივები

ა.-კ. ს. ფ. ს. რ. მრეწველობის დამახასიათებელ მხარეს წარმოადგენს ჰიდრო-ელსადგურების ფართო მშენებლობა, რომლებიც იაფ ენერგიას აწვდიან მეურნეობას. ელსადგურების აგებასთან დაკავშირებით იშლება ახალ საწარმოთა შექმნისა და მრეწველობის სხვადასხვა დარგების განვითარების ფართო პერსპექტივები. ტყვარჩელის ქვა-ნახშირი შესაძლებლობას აძლევს ამიერ-კავკასიას განავითაროს შავი ლითონების მრეწველობა. დიდი პერსპექტივები იშლება აგრეთვე ფერადი მეტალურგიის დარგში. საჭიროა აღინიშნოს, რომ სომხეთის ტუფს, როგორც საუკეთესო ღირსების საამშენებლო მასალას, დიდი ბაზარი აქვს არა მარტო ამიერ-კავკასიაში, არამედ ჩრდილო-კავკასიასა და უკრაინაშიაც. მებამბეობის დარგში მთავარი ყურადღება ექცევა ბამბის დამმუშავებელ მრეწველობის შექმნას. მთელ რიგ რესპუბლიკებისათვის, სადაც მეცხვარეობა განვითარებულია, დიდი მნიშვნელობა ეძლევა მატყლის მრეწველობის განვითარებას. საქართველოსა და მასში შემავალ რესპუბლიკებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სატყეო საქმის განვითარებას. ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკა მდიდარია ძვირფასი ჯიშის ტყეებით. სატყეო მრეწველობის არა საკმაოდ განვითარება უმთავრესად აიხსნება შესაფერი გზების უქონლობით. საჭიროა ტყის დამუშავების მექანიზაცია და საორგანიზაციო ღონისძიებების მიღება ამიერ-კავკასიის სატყეო მრეწველობის მაქსიმალური განვითარებისათვის, რაც რამდენადმე შეანელებს უმუშევრობის კრიზისს და სამუშაოს მისცემს მრავალ გლეხს.

ამიერ-კავკასიის მრეწველობის კაპიტალური ხარჯების საერთო თანხა ხუთწლიანი გეგმის მიხედვით დაახლოვებით უდრის 150 მილ. მან. მუშათა კადრები ამ პერიოდში დაახლოვებით 80 პროც. გაიზრდება.

მრეწველობა შუა-აზიაში

ენერგეტიული პრობლემა შუა აზიაში, ამიერ-კავკასიასთან შედარებით, ცუდათაა გადაჭრილი. შუა აზიის რაიონების მნიშვნელოვანი რაოდენობა გარედან შემოტანილ სათბობი მასალით იკვებება. ამიტომ შუა აზიის რესპუბლიკების ნაციონალური მრეწველობის განვითარების ძირითად ამოცანას შეადგენს ქვა-ნახშირისა და ნავთის მრეწველობის მაქსიმალური გაფართოვება და ელექტროფიკაცია. ბუნებრივი სიმდიდრე ხელს უწყობს ამ ამოცანის განხორციელებას. შუა აზიაში მოიპოვება ოზოკერიტისა, გოგირდისა და სხვა ძვირფასი მადნის ბუდობები, რომლებიც არაა საკმაოდ გამოკვლეული. კვლევა-ძიების გაფართოება—ასეთია შუა-აზიის რესპუბლიკების მეორე ამოცანა მომავალ 5 წლისათვის. შუა-აზიის, განსაკუთრებით უზბეკისტანის, მრეწველობის მთავარ სახეს წარმოადგენს მებამბეობა, რომელსაც საკავშირო მნიშვნელობა აქვს. საჭიროა ბამბის გადამამუშავებელ ახალ საწარმოთა მშენებლობის გაფართოება. არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს მეაბრეშუმეობას, რომლის განვითარებისათვისაც არაა საჭირო დიდი კაპიტალის დახარჯვა.

ამასთანავე ერთად უზბეკისტანის წინაშე სდგას მეტად საინტერესო პრობლემა, რომელიც საერთოდ მოწონებულია საკავშირო სახკომსაბჭოს მიერ, — ესაა მინერალური სასუქის მრეწველობის შექმნა. ეს უკანასკნელი ხელს შეუწყობს ბამბის მოსავლიანობის გადიდებას, რისთვისაც აღარ იქნება საჭირო ბამბის ნათესების გაფართოება, რაც მჭიდროდაა დაკავშირებული ირიგაციასთან და სხვა კაპიტალურ ხარჯებთან. შუა აზიაში უნდა განვითარდეს აგრეთვე შუშეულობის მრეწველობა, მეხილეობისა და საკონსერვო საქმე და მეღვინეობა. ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია მუშა - ხელის რაოდენობის გადიდება—თურქმენისტანში 50 პროც. მეტით და უზბეკისტანში — 200 პროცენტით. უზბეკისტანის მრეწველობაში მუშათა კადრების გადიდების მაღალი პროცენტი აიხსნება იმით, რომ უზბეკისტანში გაცილებით უფრო მეტი ბუნებრივი სიმდიდრეა, ვიდრე თურქმენისტანში.

რუსეთის მრეწველობა

შემდეგ გამოვიდა რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ს. მ. უ. საბჭოს წარმომადგენელი ამხ. **ბიიშევი,** რომელიც შეჩერდა მრეწველობის განვითარების და პროლეტარიატის ზრდის დახასიათებაზე რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ნაციონალურ რესპუბლიკებსა და ოლქებში.

მოხსენებების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ნაციონალურ რესპუბლიკების წარმომადგენლებმა, რომლებმაც აღნიშნეს ნაციონალურ მრეწველობის განვითარების და ნაციონალურ რაიონების ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოყენების მნიშვნელოვანი შესაძლებლობანი.

ეროვნებათა საბჭოს დადგენილება

ეროვნებათა საბჭოს პრეზიდიუმმა საბჭოთა კავშირის და რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ს. მ. უ. საბჭოს მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად. კერძოდ ეროვნებათა საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ ამიერ - კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის მრეწველობის განვითარების ტემპი ხუთწლიან გეგმაში საერთოდ სწორად არის გათვალისწინებული, ამ კუთხის ნედლი მასალის რესურსების მხედველობაში მიღებით. ეროვნებათა საბჭოს პრეზიდიუმმა ყურადღება მიაქცია სამთომადნო მრეწველობის განვითარების საჭიროებას (ტყვარჩელის და დაშქესანის პრობლემა). უზბეკისტანის მრეწველობის განვითარების ახალი საპერსპექტივო გეგმის შედგენის დროს ეროვნებათა საბჭოს პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო ვეზის აღება სასოფლო სამეურნეო ნედლეულის (ბამბა, აბრეშუმი, კონსერვები და ღვინო), რაც შეიძლება სრულად გამოყენებაზე მრეწველობისათვის სამთო მადნო სიმდიდრეთა სრულ გამოკვლევაზე მათი გამოყენების მიზნით. კერძოდ უაღრესად აქტუალურად არის ცნობილი მიწის სასუქ ნივთიერებათა ადგილობრივ დამუშავების ამოცანა.

ანალოგიური წინადადებები ეძლევა თურქმენისტანის ს. ს.რესპუბლიკასაც.

იმ რესპუბლიკებისა და ოლქების შესახებ, რომლებიც შედიან რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შემადგენლობაში, ეროვნებათა საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ შუა-აზიის რესპუბლიკების ჯგუფში (ყაზახსტანი, ყირგიზეთი და ბაშკირეთი) სამრეწველო განვითარებას უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში საფუძვლად უნდა დაედოს წიაღების დამუშავება, მომთაბარე და ნახევრადმომთაბარე მესაქონლე მეურნეობათა მრეწველობაში ჩაბმის გაძლიერება და ადგილობრივ მოსახლეობაში მეურნეობის უფრო ინტენსიური ფორმების გავრცელება.

ეროვნებათა საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ ნაციონალურ რესპუბლიკების სამრეწველო განვითარების ყველა დასახულმა ძირითადმა ტენდენციებმა სრული გამოხატულება უნდა ჰპოვოს მრეწველობის განვითარების ხუთწლიან გეგმაში (ადს).

ზალესკი პარიზში

პარიზი, 11 ივნისი. ჩამოვიდა ზალესკი. გაზეთების ცნობით, ის ინახულებს ბრიანს და მასთან ერთად განიხილავს პოლონეთ - ლიტვის ურთიერთობას და კელოგის წინადადებას ომის აკრძალვის შესახებ. (ადს).

გაფიცვა საბერძნეთში

ათინა, 11 ივნისი. გაზეთების ცნობით მთელ რიგ ქალაქებში ეგეის ზღვის ჩრდილოეთ ნაპირზე გამოცხადებულია თამბაქოს წარმოების მუშათა გაფიცვა. კავალაში გაფიცულებმა სცადეს დემონსტრაციის გამართვა პრეფექტურის შენობის წინ, მაგრამ ისინი გაფანტა პოლიციამ. ფიქრობენ, რომ მუშაობა უახლოეს მომავალში განახლდება. (ადს).

ყუმბარის აფეთქება

ნიუ-იორკი, 11 ივნისი. „ასოშიეტედ პრესის" ცნობით, იტალიის კონსულის სახლში ზარატში (ბუენოს-აირესის მახლობლად მდებარე ქალაქი) აფეთქდა ყუმბარა. დაჭრილი და მოკლული არავინაა. (ადს).

მაქსიმ გორკი მოსკოვში

მოსკოვი, 12 ივნისი. მაქსიმ გორკი 10 ივნისს დილით დაესწრო პიონერთა დილას, შემდეგ დაესწრო კომკავშირელთა სამხატვრო საღამოს კუზმისტეროვის სახელობის კლუბში. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

გადაარჩენენ თუ არა ნობილეს?

მოსკოვი, 12 ივნისი. საბჭოთა კავშირის სამოქალაქო ავიაციის მთავარმა ინსპექტორმა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში ასე შეაფასა ნობილეს ექსპედიციის მდგომარეობა:

„მიუხედავად ნობილესა და მისი თანამგზავრების მძიმე მდგომარეობისა, ნობილეს გადარჩენა სავსებით შესაძლებელია. ნობილეს გადასარჩენად ეწყობა ორი საბჭოთა ექსპედიცია. პირველი ექსპედიცია ყინულისმჭრელ გემით „მალიგინ"-ით მივა შპიცბერგენთან აღმოსავლეთიდან. არხანგელსკიდან „მალიგინ" შეივლის მურმანსკში და შემდეგ გაემართება იმედის კუნძულისაკენ, საიდანაც მფრინავი ბაბუშკინი აეროპლანით გაფრინდება ლაიგსმიდტის კონცხისაკენ, შპიცბერგენის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუნძულზე, სადაც ეგულებათ ნობილე. ბაბუშკინის გადაფრენა დაიწყება „მალიგინ"-ის ზღვაში გასვლის მე-7-8 დღეზე, ე. ი. 20 ივნისს. ბაბუშკინს შეუძლია ნობილეს ექსპედიციას აღმოუჩინოს პირველი დახმარება მედიკამენტებით და მიაწოდოს სურსათი - სანოვაგე, ხოლო ძირს დაშვების შემთხვევაში, ბაბუშკინი შესძლებს ადამიანების წამოყვანასაც. მეორე ექსპედიცია ყინულისმჭრელ გემი „კრასინ"-ით ლენინგრადიდან გაემართება კენიგსბერგში და შემდეგ შპიცბერგენის არხიპელაგის ჩრდილოეთ ნაწილისაკენ დასავლეთით. ეს ყინულის მჭრელი გემი შესძლებს მივიდეს ნობილეს ავარიის ადგილთან და წამოიყვანოს მთელი მისი ეკიპაჟი. ამრიგად, მიუხედავად დიდი სიძნელისა, არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ საბჭოთა ორივე ექსპედიცია შეასრულებს დაკისრებულ მძიმე ამოცანებს".

ტიანძინი დაიკავეს სამხრეთელებმა

შანხაი, 12 ივნისი. როგორც პეკინიდან იუწყებიან, შანდუნის პროვინციის ყოფილმა გუბერნატორმა ჩან-ცზუნ-ჩანმა ჯარები გაიყვანა ტიანცზინიდან. მთავრობის ყველა შენობებზე ტიანცზინში ფრიალებს გომინდანის დროშა. ტოხოს სააგენტოს ტიანცზინელი კორესპონდენტი სასწრაფო დეპეშით იუწყება, რომ ტიანცზინში მუკდენის ჯარები, რომლებიც უკან იხევენ, აწარმოებენ ძარცვა-გლეჯას (ადს).

ჩან-ძო-ლინის სიკვდილი?

შანხაი, 12 ივნისი. როგორც ტოკიოდან იუწყებიან, იქ მიღებულია ცნობები ჩან-ძოლინის სიკვდილის შესახებ (ადს).

მინისტრის პორტფელის ახალი მოტრფიალე

ბერლინი, 12 ივნისი. სამეურნეო პარტიამ განაცხადა, რომ ის მოითხოვს დიდი კოალიციის მთავრობაში მონაწილეობის მიღებას. (ადს).

მარქსის კაბინეტის გადადგომა

ბერლინი, 12 ივნისი. პრეზიდენტ ჰინდენბურგმა მიიღო რეიხსკანცლერი მარქსი, რომელმაც პრეზიდენტს განუცხადა კაბინეტის გადადგომის შესახებ. ამის შემდეგ ჰინდენბურგმა მიიღო სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბელადი მიულლერი, რომელსაც დაავალა ახალი კაბინეტის შედგენა. (ადს).

რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ახალი ბიურო

ბერლინი, 12 ივნისი. რეიხსტაგის სოციალ დემოკრატიულ ფრაქციაში მოხდა ფრაქციის ბიუროს არჩევა. ახალ ბიუროში შედიან: მიულლერი, დიტმანი, შეიდემანი, ბრეიტშეიდი, კრისპინი, ჰილფერდინგი, ლებე, შტამპფერი და სხვ. (ადს).

იაპონიის პროვოკაცია მუკდენში

შანხაი, 12 ივნისი. გაზეთები იუწყებიან, რომ ქალაქ მუკდენის სხვადასხვა რაიონში მოხდა აფეთქება. გაზეთების ცნობით, „ყუმბარები გადაისროლეს იაპონიის ჯარებმა იმ მიზნით, რომ გამოეწვიათ არევ-დარევა და დაეკავებინათ ქალაქი მუკდენი". (ადს).

ახალი კანონი კომუნისტების წინააღმდეგ იაპონიაში

ტოკიო, 12 ივნისი. იაპონიის მთავრობამ დაადგინა გადასინჯოს კანონი კომუნისტების წინააღმდეგ ამ კანონში გათვალისწინებულ სასჯელის გაძლიერების მიზნით. ახალი კანონით გათვალისწინებული იქნება სიკვდილით დასჯა და მუდმივი საკატორღო მუშაობა. მოჰყავდა რა სასჯელის გაძლიერების მოტივები, იუსტიციის მინისტრმა ხარამ განაცხადა: „მიუხედავად პოლიციური ზომებისა, კომუნისტები აძლიერებენ თავის მოღვაწეობას". (ადს).

პოლონეთის სეიმი პოლიტპატიმართა ამნისტიის წინააღმდეგ

ვარშავა, 12 ივნისი. სეიმის კომისიამ უარყო წინადადება პოლიტპატიმართა ამნისტიის შესახებ. ამნისტიის წინააღმდეგ ხმა მისცეს პილსუდსკის მომხრეებმა, ნაციონალ-დემოკრატებმა, ქრისტიანულმა დემოკრატებმა და პიასტას წარმომადგენლებმა. (ადს).

კალია აზერბეიჯანში

აგდამი, 12 ივნისი. სპარსეთიდან მოფრინდა კალია. დღემდე კალიამ გაანადგურა 200 დეს. პურის ნათესი. ადგილობრივი ხელისუფლება საწამლავ ნივთიერებათა უქონლობის გამო მოკლებულია შესაძლებლობას ებრძოლოს კალიას. კალია ემუქრება ბამბის ნათესს. აუცილებელია საწამლავ ნივთიერების სასწრაფოდ შოვნა, წინააღმდეგ შემთხვევაში მდგომარეობა შეიძლება კატასტროფული გახდეს. (ადს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. ჩუბარი საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ

ხარკოვი, 12 ივნისი. სრ. უკრაინის განათლების მუშაკთა ყრილობაზე სიტყვა წარმოსთქვა უკრაინის ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ჩუბარმა.

ამხ. ჩუბარი მოხსენების დასაწყისში შეეხო ჩვენს შინაურ მდგომარეობას, აღნიშნა მშრომელთა წინაშე მდგომი ამოცანები და შემდეგ დაახასიათა საერთაშორისო მდგომარეობა.

გარეშე მტერს არ სძინავს

„ჩვენ აქ,—ამბობს ამხ. ჩუბარი,—ვანხორციელებთ მშვიდობიანი განვითარების პროექტებს, ვაშენებთ დნეპროსტროის, ვეძებთ ახალ იაფ ენერგიას, რათა განვამტკიცოთ სოციალისტური მშენებლობა, რათა უზრუნველვყოთ მუშათა და გლეხთა კეთილდღეობის სწრაფი ზრდა. მტრების ბანაკში კი რა ხდება?—რას აკეთებენ ისინი? ისინი სცდილობენ ხელი შეგვიშალონ სიძნელეთა გადალახვაში, რათა მიეცეთ საშუალება ილაპარაკონ: აი ხედავთ, ბოლშევიკებმა ყველაფერი დაანგრიეს და აღდგენა კი არ შეუძლიათ ბატონ კაპიტალისტების და გენერლების დაუხმარებლად.

ეს შეადგენს ჩვენი მტრების მისწრაფების ხაზანს, მაგრამ ამაოა მათი ცდები. მიუხედავად ყოველგვარ სიძნელეთა, რომლებსაც ისინი გვიქმნიან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ხელს უწყობენ ყველა იმათ, ვინც სცდილობს ჩვენი ჯანსაღი ზრდის შეფერხებას, მიუხედავად მავნებელთა მუშაობისა, რომლებსაც ეხმარებიან უცხოეთის კაპიტალისტები და ჩვენი ქვეყნის ბურჟუაზია, რომელიც გადაბარგდა საზღვარგარედ და სცდილობს შეაჩეროს ჩვენი სოციალისტური მშენებლობის განვითარება, მიუხედავად ყოველივე ამისა, ჩვენ ყოველწლობით ვიზრდებით, ჩვენი ეკონომიური საფუძველი მტკიცდება და ეხლა შეგვიძლია ახალი უდიდესი ამოცანების დასახვა. ჩვენ აქ ვმუშაობთ საბჭოთა უკრაინის, როგორც დამოუკიდებელი საბჭ. სახელმწიფოს, მშენებლობისათვის. ჩვენ, როგორც მუშათა და გლეხთა წარმომადგენელნი, უკრაინის 30 მილიონი მშრომელის წარმომადგენელნი, მთელ ამ მუშაობას ვაწარმოებთ იმ მიმართულებით, რომ უკრაინის სახელმწიფოს დამოუკიდებლობა განხორციელდეს მუშათა და გლეხთა სასარგებლოდ სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან მჭიდრო ძმურ კავშირში.

დამოუკიდებლობის ლოზუნგით წვრილბურჟუაზიული ბელადები სცდილობენ შექმნან წვრილ ბურჟუაზიული უკრაინა, მუშათა და გლეხთაგან დამოუკიდებელი სახელმწიფო, და ამ მიზნით უკრაინის ტერიტორიაზე მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ იწვევდნენ უცხოეთის ბურჟუაზიას, ისინი იწვევდნენ გერმანელებს, იწვევდნენ პოლონელებს. უკრაინის დამოუკიდებლობის ყველა ეს „დამცველები" უკრაინას ჰყიდნენ ყველაზე, ვისაც კი სურდა მისი ყიდვა, ჰყიდნენ მშრომელთა ინტერესებს.

უკრაინის მუშათა და გლეხთა ბრძოლის ისტორია თქვენ ყველას გახსოვთ, ვინაიდან მთელი ეს ისტორია დაწერილია სისხლით. მაგრამ ამჟამად კიდევ არსებობს ისეთი ხალხი, რომელიც სცდილობს კვლავ შეაბრუნოს ცხოვრება ძველი გზით. ჩვენი—საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების კლასიური მტერია კაპიტალისტური მსოფლიო. ჩვენ ვიცით, რომ როცა ინგლისმა გასწყვიტა კავშირი საბჭოთა მთავრობასთან, კაპიტალისტები სცდილობდნენ დაუყოვნებლივ დაეწყოთ შეტევა ჩვენს წინააღმდეგ. ეს მათ ვერ მოახერხეს, თუმცა უდიდეს მუშაობას აწარმოებდნენ იმისათვის, რომ გაეერთიანებიათ ძალები ბურჟუაზიის, რომელსაც შეეძლებოდა ბრძოლა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, საბჭოთა რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა წინააღმდეგ. ჩვენმა მტრებმა დღემდე ვერ შესძლეს ასეთი გამოსვლის მოწყობა, მაგრამ ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ სცდილობენ ისინი თავის მხარეზე გადაიბირონ გერმანია, გადაიბირონ მთელი რიგი სხვა სახელმწიფოები.

ლაყბობა მუდმივი ზავის შესახებ

ჩვენ კი ვმუშაობთ იმისათვის, რომ განვამტკიცოთ ჩვენი მშვიდობიანი მშენებლობა, ვამუშავებთ მშვიდობიანი მშენებლობის პროგრამას, მაგრამ ამასთან ერთად ჩვენ იძულებული ვართ დავამუშაოთ წითელი არმიის განმტკიცების პროგრამა, ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცების პროგრამა, ვინაიდან ჩვენი წინადადებანი ჟენევაში მთელი მსოფლიოს განიარაღების შესახებ, 145 მილიონი მშრომელის წინადადებანი, რომლებიც შეეფერება ყველა მშრომელთა, მთელი ხალხის სურვილებს, უარყოფილ იქნა. რატომ? იმიტომ, რომ ეს წინადადებანი განუხორციელებელია ბურჟუაზიისათვის, რომელიც წინააღმდეგობებში სცხოვრობს, რომელსაც „განთქმულ" ერთა ლიგაში არ შეუძლია შეარიგოს ისეთი წინააღმდეგობანიც კი, როგორიც არსებობს პოლონეთსა და ლიტვას შორის. ბურჟუაზიისათვის განუხორციელებელია ჩვენი წინადადებანი, მაგრამ ეს წინადადებანი განსახორციელებელია ყველა ქვეყნების მუშებისა და გლეხებისათვის, ყველა მშრომელთათვის.

ამჟამად კაპიტალისტური მთავრობები ამუშავებენ ამერიკელ მშვიდობიანობის მოყვარულთა ფანტასტიურ პროექტს ომის აკრძალვის შესახებ. მშრომელთათვის თვალის ასახვევად იმპერიალისტებმა დიდი ხმაურობა ასტეხეს ამ პროექტის ირგვლივ. მაგრამ სანამ სწერენ პროექტებს, სანამ სწარმოებს მოლაპარაკება განიარაღების შესახებ, სანამ აარსებენ სხვადასხვა კომისიებს და ქვეკომისიებს ომის შეწყვეტის შესახებ, ყოველ კაპიტალისტურ სახელმწიფოში იზრდება შეიარაღებული ძალები, იზრდება ხარჯები შეიარაღებისათვის, ამასთანავე ეს ხარჯები იზრდება არა მარტო იმ სახელმწიფოებში, რომლებსაც აქვთ საშუალება, არამედ იმ სახელმწიფოებშიაც, რომლებიც იარაღდებიან სხვის ხარჯზე. ასეთი მეზობლები სამწუხაროდ ჩვენც გვყავს.

მე აქ მხედველობაში მყავს ჩვენი მახლობელი მეზობლები, კერძოდ პოლონეთი და რუმინეთი. ამ ქვეყნების შეიარაღება განუწყვეტლივ იზრდება, ალბად მსოფლიო ბურჟუაზიის მოთხოვნილებათა მიხედვით, რომელსაც ემსახურებიან ამ სახელმწიფოების მმართველი წრეები. შემთხვევითი არ არის ის მოვლენა, რომ ამ ქვეყნების ჯარების სარდლებმა დაიწყეს ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა. პოლონელი გენერლები მიდიან რუმინეთში, რუმინელი გენერლები მიდიან პოლონეთში. რატომ მიდიან? ცხადია, რომ რაღაც გარკვეული მიზანი აქვთ.

პოლონეთის პოზიცია

პოლონეთმა უკანასკნელ ხანებში შესცვალა თავისი ტონი ჩვენს მიმართ. თქვენ წაიკითხავდით გაზეთებში, რომ პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა ზალესკიმ სეიმის კომისიაში განაცხადა: პოლონეთ-საბჭოთა ურთიერთობა ვერ გვარდება იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირი სხვაგვარად უყურებს ერთა ლიგას, ვიდრე პოლონეთი. მაგრამ ვის რათ სჭირდება ის, თუ ვინ როგორ უყურებს ამა თუ იმ დაწესებულებას? ზალესკის საბუთებმა შეიძლება დააჯეროს მხოლოდ გულუბრყვილო ხალხი. სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის მოგვარების დროს უნდა გამოვდიოდეთ ყველა ქვეყნების მშრომელთა ინტერესებიდან და უნდა ვიზრუნოთ მსოფლიოს ყველა ქვეყნების მშვიდობიანი სამეურნეო და კულტურული მუშაობის უზრუნველყოფისათვის. აი, მთავარი ამოცანები. როგორც ხედავთ, პოლონელი მინისტრებისათვის ეს არ არის მთავარი ამოცანა, ეს მათ არ აინტერესებს; მათ უფრო აინტერესებს ის, თუ ვინ როგორ უყურებს ერთა ლიგას: ვსცნობთ თუ არა ერთა ლიგას ნამდვილი მშვიდობიანობის ორგანიზაციად, თუ იმპერიალისტების აგრესიული გეგმების ნიღბად, რომლის საფარ ქვეშ მზადდება ახალი ომები?

ყველა ქვეყნების მოწინავე მშრომელნი მშვენივრად ხედავენ, რომ ერთა ლიგას არაფერი არ გაუკეთებია იმპერიალისტური გამოსვლების თავიდან აცილებისა და შეწყვეტისათვის ჩინეთში და აფრიკაში. ვისაც როგორც სურს, ისე შეუძლია შეაფასოს ერთა ლიგა და მისი მოქმედება,—ეს არ შეიძლება წარმოადგენდეს დაბრკოლებას მშვიდობიანი ურთიერთობის მოგვარებისათვის. დაბრკოლება იმაშია, რომ პოლონეთი თავისი საგარეო პოლიტიკაში არ არის დამოუკიდებელი, იგი დამოკიდებულია იმათგან, ვისაც აქვს დოლარები და სტერლინგები.

პან ლევიცკის გამოსვლები

სეიმის ამავე კომისიაში სიტყვა წარმოსთქვა დმიტრო ლევიცკიმ, უკრაინის ნაციონალურ-დემოკრატიული საზოგადოების თავმჯდომარემ. მან სთქვა, რომ პოლონეთმა უნდა იზრუნოს უკრაინის განსათავისუფლებლად მოსკოვის ჩექმებისაგან.

ამ, უკაცრავად პასუხია პოლიტიკურ მოღვაწეს აქვს თავხედობა ილაპარაკოს უკრაინის ხალხის სახელით. დასავლეთ უკრაინაში დასცინიან, ავიწროებენ უკრაინელ მშრომელებს, ხოლო სეიმის ეს წარმომადგენელი, ვითომც უკრაინის ხალხის წარმომადგენელი— პან დმიტრო ლევიცკი თვალთმაქცურად, ფლიდურად ლაპარაკობს, რომ უკრაინა დამოუკიდებელი უნდა გახდეს პოლონეთის ფაშიზმის დახმარებით, რომელსაც დემოკრატიას უწოდებენ. ეროვნულ უმცირესობას პოლონეთში არ აქვს საშუალება თავისუფლად ისარგებლოს თავისი მშობლიური ენით და განავითაროს თავისი კულტურა, ხოლო პან ლევიცკი ამაზე სდუმს.

ბელორუსიის გრომადის პროცესის დროს ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ ასამართლებდნენ ხალხს (მათ შორის სეიმის წევრებს) მხოლოდ იმისათვის, რომ ისინი ზრუნავდნენ ბელორუსიის კულტურის განვითარებისათვის. პან ლევიცკი ამაზე კრინტს არ სძრავს რამდენმა უკრაინელმა მისცა ხმა მის არჩევას სეიმში, რომ მას ქონოდა უფლება უკრაინის 40 მილიონი ხალხის სახელით ელაპარაკა ბურჟუაზიული უკრაინის შექმნაზე და მემამულეთა და კაპიტალისტების ხელისუფლების დაბრუნებაზე? ლევიცკის არავითარი საფუძველი არ ქონდა ასეთი გამოსვლისათვის.

უკრაინის 30 მილიონმა მუშამ და გლეხმა შექმნა თავისი მუშურ-გლეხური საბჭოთა ხელისუფლება, შექმნა სრულუფლებიანი რესპუბლიკების დიდი კავშირი, რომელიც იცავს ეროვნულ რესპუბლიკების ნამდვილ დამოუკიდებლობას,—რომელიც უზრუნველჰყოფს მშვიდობიან განვითარებას ყველა ხალხებისათვის და გამოხატავს უკრაინის ყველა მშრომელთა ნამდვილ სურვილებს და მისწრაფებებს. მხოლოდ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი ზრუნავს უკრაინის ხალხის ნამდვილი დამოუკიდებლობისა და უკრაინის კულტურის თავისუფალი განვითარებისათვის.

პან დმიტრო ლევიცკი ამბობს, რომ ისტორია ისეთი გზით მიდის, რომ უკრაინა მოწყდა რუსეთსო. მეფის რუსეთის უკრაინა დიდი ხანია მოსწყდა, მაგრამ საბჭოთა უკრაინა ძმური კავშირით არის და იქნება დაკავშირებული სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან და მათთან ერთად წარმოადგენს მთლიან პროლეტარულ სახელმწიფოს—საბჭოთა კავშირს, რომელიც მთელი მსოფლიოს მშრომელთა დასაყრდენია მათ ბრძოლაში იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ლევიცკი, გამოდის რა ვითომც მშრომელთა ინტერესებიდან, ამბობს, რომ პოლონეთმა უნდა იზრუნოს უკრაინის განთავისუფლებაზე. ლევიცკის მშვენივრად აქვს წარმოდგენილი, თუ რას ნიშნავს მისი წინადადებების განხორციელება. ეს იმას ნიშნავს, რომ პოლონეთის ჯარები ზარბაზნებით და ტყვიისმფრქვევლებით გაემართებიან უკრაინის სოფლებისაკენ, ეს ნიშნავს ახალი ომის დაწყებას. უკრაინის მოირწყვას მუშათა და გლეხთა სისხლით,—აი რისკენ მოუწოდებს პან ლევიცკი, რომელიც ვითომც მშრომელთა მომავალ კეთილდღეობაზე ზრუნავს. ზიზღი ასეთ მოღვაწეებს, რომლებიც ემზადებიან იმისათვის, რომ ახე „დაიცვან" უკრაინის მშრომელი ხალხის ინტერესები! ჩვენ ჯერ კიდევ ვნახოთ, რას ეტყვიან დასავლეთ უკრაინის მშრომელნი იმ „წარმომადგენელს", რომელმაც პოლონეთის სეიმში შეიტანა წინადადება, რომ დასავლეთ უკრაინის უკრაინელებმა იმპერიალისტურ არმიებთან ერთად გაილაშქრონ საბჭოთა უკრაინის წინააღმდეგ და იბრძოლონ დმიტრო ლევიცკის მოთხოვნილებათათვის.

ეს არ მოხდება, იგი ამას ვერ მოესწრება.

საჭიროა მეტი სიფხიზლე

ლევიცკის უპასუხა პან დომბსკიმ. ის ამავე გლეხთა პარტიის ბელადია პოლონეთის სეიმში. ის ამბობდა, რომ როცა დადგება საზღვრების შეცვლის დრო, ჩვენ ამაში შეუთანხმდებით უკრაინელებსო. რომელ უკრაინელებთან დასდო ხელშეკრულება დომბსკიმ რიგაში? საბჭოთა უკრაინის წარმომადგენლებთან. მაგრამ ეხლა ვილაცას ბრძანებით იცვლის პოზიცია. დომბსკის განზრახვა აქვს შეუთანხმდეს იმათ, რომლებიც პარიზში იმყოფებიან. პან დომბსკი შეიძლება დარწმუნებულია, რომ პოლონელი გლეხები ლევიცკის დაგვაჯენენ კისერზე? თუმცა ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ სხვადასხვა მცენარეების გადარგვის, მაგრამ ემიგრანტების ასეთი სისაძაგლე ჩვენ არ გვესაჭიროება: დეე დასავლეთ ევროპის „კულტურულ" ჯუჯღლზე ხარობდეს ეს სარეველა ბალახი, დეე იმ კულტურულმა ევროპელებმა მოურონ მას, რომლებიც დაქირავებული ლაქიების საშუალებით ემზადებიან საბრძოლველად, რომ დაიცვან მსოფლიო ბურჟუაზიის ინტერესები. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს გამოსვლები პოლონეთის სეიმში წარმოადგენს პოლონეთის ფაშიზმის სულისკვეთების და მსოფლიო ბურჟუაზიის ზეგავლენის გამოხატულებას, მსოფლიო ბურჟუაზიის, რომელიც ემზადება შეტევისათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ჩვენ, საბჭოთა უკრაინის მუშებმა და გლეხებმა ფხიზლად უნდა დაუგდოთ ყური იმას, თუ რას ლაპარაკობენ ვარშავაში, და აქედან გამოვიყვანოთ სათანადო დასკვნები. აქ, რასაკვირველია, ლაპარაკი არ არის იმაზე, რომ ომი დაიწყება დღეს ან ხვალ, მაგრამ მტრები სცდილობენ, ეროვნული აღორძინების ლოზუნგი გამოიყენონ შავი და სამარცხვინო მუშაობისათვის, რათა დაანთონ მსოფლიო ომის ახალი ხანძარი. ჩვენ ამაზე უნდა მივაქციოთ მთელი მსოფლიოს მშრომელთა ყურადღება.

ჩვენ აქ ვეწევით მშვიდობიან მშენებლობას, ვზრუნავთ ჩვენი კულტურული მუშაობის გაფართოებაზე, იქ კი ამუშავებენ საშუალებებს, თუ როგორ მიაყენონ ზიანი ცარიზმისა და კაპიტალისა და ბურჟუაზიის ბატონობისაგან განთავისუფლებულ უკრაინელ ხალხის შემოქმედებითი მუშაობას. როცა ისინი ნიღბად იფარავენ ეროვნულ ლოზუნგებს, ჩვენ უნდა აუხსნათ მშრომელთ, თუ რას ნიშნავს ეს, ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ მშვიდობიანი მშენებლობა ყველა ქვეყნების მშრომელთა დახმარებით.

ჩვენი მტრების „იმედები"

სამოქალაქო ომის შემდეგ, ინტერვენციის შემდეგ ჩვენ გვქონდა შესვენება. ჩვენ ვცდილობდით, რომ ყველა რესურსები გამოგვეყენებია მშვიდობიანი მშენებლობისათვის. ჩვენ ვცდილობდით კეთილმეზობლური ურთიერთობა დაგვემყარებია ყველა მეზობლებთან, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება არ არის დამნაშავე იმაში, თუ ეს ურთიერთობა არ მოწესრიგდა. ლევიცკი და დომბსკი, რომლებსაც აქეზებენ მათი „ხაზეინები", დიდ იმედს ამყარებენ საბჭოთა კავშირის წინაშე მდგარ სიძნელეებზე. სიძნელენი ჩვენ გვაქვს. ჩვენ კიდეც განვავითარეთ თვითკრიტიკა და ჩვენი სახელმწიფო აპარატის შემოწმების კამპანია, რის მაჩვენებელია ეს—უძლურებისა თუ ძლიერების. ჩვენი მტრები ფიქრობენ, რომ ჩვენ სუსტნი ვართ, რომ ჩვენ შეგვიპყრო სტიქიონმა, რომ საბჭოთა ხელისუფლება სუსტდება, რომ ჩვენში იზრდება ბურჟუაზიული ელემენტები. ჩვენ ამას სხვანაირად უყურებთ. ჩვენ თვით ვაკრიტიკებთ და ვამხელთ ჩვენს შეცდომებს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ვააშკარავებთ რა ამ შეცდომებს, ჩვენ ვანვითარებთ მრავალ მილიონიან მასების შემოქმედებას, ვადიდებთ თვითმოქმედებას და ამ გზით ვსძლევთ ყველა დაბრკოლებებს, რომლებიც სდგას ჩვენს წინაშე, და აგრეთვე იმ დაბრკოლებებს, რომლებსაც კლასობრივი მტრები გვიქმნიან აქ და საბჭოთა კავშირის საზღვრებს იქით.

ჩვენ, საბჭოთა უკრაინაში, გვაქვს მთელი რიგი დაბრკოლებები. საშემოდგომო ნათესების ცუდმა მოსავალმა მთელ რიგ რაიონებში, რასაკვირველია, გაართულა ჩვენი ვარაუდი. მაგრამ მიმდინარე წელს ჩვენ შევსძელით სოფლის მოსახლეობისათვის მიგვეცა 11 მილ. ფუთი თესლეულობა—ეს უფრო მეტია, ვინემ ჩვენ მივეცით 1921 წლის სიმშილობის შემდეგ. ჩვენ გლეხებს ვაძლევთ კრედიტს, ვაძლევთ მანქანებს,—ეს კი მოწმობს იმას, რომ ჩვენ ვსძლევთ იმ სიძნელეებს, რომლებსაც სტიქია ქმნის ჩვენს წინაშე. ჩვენ ვემზადებით შემოდგომის თესვის კამპანიის ჩასატარებლად. მაშინ კიდევ მეტი თესლეულობა უნდა მივსცეთ ღარიბ გლეხობას. ღარიბი გლეხობა, რასაკვირველია, უფრო მწვავედ განიცდის სტიქიურ უბედურებებს, ვინემ შეძლებული მოსახლეობა. ღარიბ გლეხობას სჭირდება სურსათ-სანოვაგე და თესლეულობა. სახელმწიფო გეგმიანი მუშაობის საშუალებით სძლევს ყველა დაბრკოლებებს. და თუ მტრებს იმედი აქვთ, რომ ჩვენი დაბრკოლებების წყალობით, ისინი დაიბრუნებენ მიწას, დაიბრუნებენ მრეწველობას, რომელიც აღადგინეს ჩვენი ქვეყნის მუშებმა და გლეხებმა, ისინი სასტიკად მოსტყუვდებიან.

ჩვენ გაიმარჯვებთ

როცა 1922 წელს ჩვენი წარმომადგენლები გაემგზავრნენ გენუაში, კაპიტალისტებმა აქ დასვეს საკითხი: თქვენ სიმშილობთ, შემოუშვით ჩვენი კომისრები, რომ მათ განაგონ თქვენი საქმეები. ჩვენ უპასუხეთ: გმადლობთ, უმჯობესია მოგვაწოდეთ პური. პური ჩვენ ვიყიდეთ და თავიდან მოვიშორეთ გაჭირვება. ამის შემდეგ ჩვენ აღვადგინეთ ნათესების სივრცე, შევიტანეთ სოფლად ტრაქტორები და მანქანები, გავაძლიერეთ კულტურული მშენებლობა და აღვადგინეთ მრეწველობა. და ეხლა რა სიძნელეებიც არ უნდა იდგეს ჩვენს წინაშე, ეს სიძნელენი მაინც უფრო ნაკლებია, ვინემ 1921—22 წელს. ჩვენ ეხლა მათ უფრო ადვილად დავსძლევთ იმ შემთხვევაშიაც კი, თუ იმპერიალისტები კვლავ შეეცდებიან შეგვავიწროვონ ჩვენ პოლიტიკურად. ჩვენი მეზობლები ამბობენ: თქვენ გიჭირთ, მაგრამ ჩვენ შევეცდებით, რომ თქვენ კიდევ უფრო გაგიჭირდეთ. ამავე დროს ისინი აპირებენ ნაციონალური მომენტების გამოყენებას.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენში არავინ არ მოისურვებს პან ლევიცკის და დომბსკის დასახულ გზით წასვლას. სოფლის მოსახლეობა, მუშები და მთელი ჩვენი მშრომელი ინტელიგენცია აშენებენ საბჭოთა უკრაინას, რომელიც არის საფუძველი, რომლის გარშემო გაერთიანებული უკრაინის მშრომელი ხალხი იბრძვის კლასობრივი მტრის—ბურჟუაზიის წინააღმდეგ და ქმნის პროლეტარიატის ნაციონალურ კულტურას.

საბჭოთა უკრაინას არა ერთხელ გაუწევია დახმარება დასავლეთ უკრაინის ღარიბ მოსახლეობისათვის, რომელსაც ეს კარგად ახსოვს. დასავლეთ უკრაინის მშრომელთ ახსოვთ აგრეთვე, რომ დახმარებამ, რომელიც საბჭოთა უკრაინის მშრომელებმა გაუგზავნეს წყალდიდობისაგან დაზარალებულთ, ვერ მიაღწია დანიშნულებამდე იმათი წყალობით, ვინც ეხლა ცდილობს უკრაინის ხალხის დამცველად მოაჩვენოს ქვეყანას თავი. საბჭოთა უკრაინის პური არ გაუშვეს პოლონეთში, ხოლო პან ლევიცკის თითიც არ გაუნძრევია იმისათვის, რომ დახმარებას მიეღწია დანიშნულებამდე.

მე ვამთავრებ ჩემს სიტყვას და გამოვსთქვამ იმედს, რომ თქვენ ენერგიული და თავგამოდებული მუშაობით დასძლევთ ჩვენი მტრების მიერ შექმნილ დაბრკოლებებს, შეასრულებთ თქვენზე დაკისრებულ ამოცანებს, დაეხმარებით მუშებს და გლეხებს და მუშურ-გლეხურ მთავრობას აჩქარონ მასების შემოქმედება და ბოლო მოუღონ იმ სიძნელეებს, რომლებიც სდგას სოც. მშენებლობის გზაზე".

რეზოლიუცია

ყრილობამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა რა ამხ. ჩუბარის მოხსენება, სრ. უკრაინის განათლების მუშაკთა ყრილობა აღნიშნავს, რომ უკანასკნელ ხანებში დასავლეთის ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში გაძლიერდა მტრული ტენდენციები საბჭოთა კავშირის მიმართ და რომ ეს ტენდენციები გამოიხატება ცდებში—შექმნან კაპიტალისტური სახელმწიფოების გაერთიანებული ანტისაბჭოთა ბლოკი, იმ მიზნით, რომ მოამზადონ ეკონომიური ბლოკადა და სამხედრო მოქმედება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ყრილობა განსაკუთრებით აღნიშნავს მტრული ტენდენციების გაძლიერებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ჩვენს მეზობლად მყოფი პოლონეთის ხელმძღვანელ წრეებში, რაც გამოიხატება პოლონეთის რესპუბლიკის პასუხისმგებელ პოლიტიკურ მოღვაწეთა მთელ რიგ სიტყვებსა და განცხადებებში და იმაში, რომ პოლონური პრესა სისტემატიურად ეწევა ღვარძლიან კამპანიას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამგვარი პოლიტიკური განცხადებები ხელსაყრელ ატმოსფერას ქმნის თეთრგვარდიელთა ტერორისტული ორგანიზაციების მოქმედების გაჩაღებისათვის და ისეთი გაუგონარი აქტების ჩადენისათვის, როგორიც არის ამხ. ვოიკოვის მოკვლა და თავდასხმა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელზე პოლონეთში ამხ. ლიზარევზე.

ყრილობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პოლონეთის სეიმის ზოგიერთი დეპუტატების გამოსვლას, რომლებიც აცხადებენ, რომ აუცილებელია გადაისინჯოს ეხლანდელი საზღვრები საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის და მოუწოდებენ იმისაკენ, რომ უკრაინის ს. ს. რესპუბლიკა მოსწყდეს საბჭოთა კავშირს და შეიქმნას ახალი კაპიტალისტური უკრაინა. ეს განცხადებანი, რომლებსაც მხარს უჭერს პოლონეთის გავლენიანი პრესა, აშკარად მოწმობს იმას, რომ ინგლისის იმპერიალიზმის საერთო ხელმძღვანელობით მზადდება აგრესიული გეგმები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ყრილობა აღშფოთებით აღნიშნავს პოლონეთის ფაშიზმის ლაქიის, უკრაინის ნაციონალურ-დემოკრატიული საზოგადოების წარმომადგენლის, ლევიცკის მოღალატურ გამოსვლას და მის სპეკულიაციას უკრაინის ხალხის სახელით იმ დავალების შესასრულებლად, რომელიც მან მიიღო თავისი „ხაზეინის"—პოლონელ პანებისგან. დასავლეთ-უკრაინის ბურჟუაზიის პარტიამ—უკრაინის ნაციონალურ-დემოკრატიულმა საზოგადოებამ უკრაინის ყველა მშრომელთა წინაშე უკვე გამოააშკარავა თავისი სახე, როგორც ფაშისტური დიქტატურის მსახურმა.

უკრაინის კულტურულ ფრონტზე 135 ათასი მომუშავის სახელით ყრილობა აუცილებლად სცნობს განცხადებულ იქნას მთელი მსოფლიოს წინაშე, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება, რომელმაც უკრაინას მიანიჭა დამოუკიდებლობა, არის ამ დამოუკიდებლობის ერთად-ერთი საიმედო გარანტია.

უკრაინის მშრომელმა მასებმა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მიიღეს თავისი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს და უკრაინის კულტურის თავისუფლად შექმნის შესაძლებლობა. უკრაინის მუშა და გლეხი მშრომელი ინტელიგენციასთან ერთად არავის მისცემს საშუალებას გაილაშქროს საბჭოთა ხელისუფლებისა და მისი დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ყრილობა სავსებით და მთლიანად იწონებს უკრაინის ს. ს. რ. და საბჭოთა კავშირის მთავრობების პოლიტიკას, რომელიც მიმართულია საერთო მშვიდობიანობის განმტკიცებისა და ყველა სახელმწიფოებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის დაცვისაკენ.

კერძოდ, ყრილობა იწონებს საბჭოთა მთავრობის წინადადებას უყენებს კონფერენციაზე ყველა ქვეყნების განიარაღების შესახებ, წინადადებას, რომელიც მიზნად ისახავს მთელი მსოფლიოს მშრომელთა ინტერესების დაცვას.

ყრილობა მოუწოდებს ყველა ქვეყნების კულტურულ-მეცნიერულ მუშაკებს და მშრომელებს იბრძოლონ იმპერიალისტების მხრივ ომის პროვოკაციის წინააღმდეგ და დაიცვან მსოფლიოში პირველი შრომის რესპუბლიკა—საბჭოთა კავშირი. ყრილობა მიმართავს დასავლეთ უკრაინის მშრომელ მასებს მზად იყვნენ უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის დასაცავად პოლონეთის ფაშიზმისა და მისი უკრაინელი ლაქიებისაგან.

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ მთავრობას!

გაუმარჯოს უკრაინის ს. ს. რესპუბლიკას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!

შახტის კონტრ-რევოლ. გასამართლება

11 ივნისის დილის სხდომა

ბრალდებულ ლიურის დაკითხვა

მოსკოვი, 12 ივნისი. 11 ივნისის დილის სხდომაზე დაკითხულ იქნა ინჟინერი ლიური. ბრალდებულის სიტყვით, მან შჩერბინოვის მაღაროების სამმართველოში სამსახური დაიწყო 1921 წელს. ორი წლის განმავლობაში მას იქ ეკავა ჩრდილოეთ მაღაროს გამგის თანამდებობა, შემდეგ 1927 წლ. 15 მარტამდე იყო არტემის სახელობის მაღაროს გამგეთ, რის შემდეგაც დანიშნულ იქნა ახალ სამუშაოთა გამგის თანამდებობაზე. სწორედ ამ ხანებში დაიწყო მაღარო № 5-ის გათხრა; მუშაობა შეჩერებულ იქნა 1927 წლის დეკემბრის ბოლოში, თითქოს, დონუგოლის განკარგულებით.

ამხ. როგინსკი ეკითხება: „იცით თუ არა თქვენ, რომ მაღაროში მუშაობის შეწყვეტის მომენტისათვის იქ აშენებულ იქნა მთელი რიგი კაპიტალური ნაგებობანი, რაზედაც დაიხარჯა 300.000 მანეთი? ეს ნაგებობანი უმოქმედოთ არიან და, ამგვარად, გამოირკვა, რომ მათი აგება შეცდომა იყო".

ბრალდებული ამბობს, რომ ის კატეგორიულად წინააღმდეგი იყო შურფის აგების, მიაჩნდა რა ეს სისულელეთ, მაგრამ შურფი გაყვანილ იქნა. აშკარა იყო, რომ ეს შურფი ამოვსებულ იქნება წყალით და რომ ეს სრულიად მიზანშეუწონელი მუშაობაა.

ცოტა ხნის შემდეგ ბრალდებული ამბობს, რომ მუშაობა იყო საზიანო, მაგრამ იმ მომენტში ეს მას არ უფიქრია.

სასამართლო არკვევს, რომ მაღარო № 5 გათხრილი იქნა წინასწარ გამოკვლევის გარეშე. ირკვევა, აგრეთვე, რომ ბრალდებული არტემის სახელობის მაღაროს გამგეთ ყოფნის დროს აშკარა მიზანშეუწონელ მუშაობას აწარმოებდა, მას არ მიუღია არავითარი ზომები მაღაროში ხანძრის თავიდან ასაცილებლად რასაც შედეგათ მოჰყვა ის, რომ დაიწვა 400.000 ფუთი ნახშირი.

სასამართლო გადადის საკითხზე იმის შესახებ, თუ საიდან და რამდენი მიიღო ფული. ბრალდებულმა მის მიერ წარმოებულ საზიანო მუშაობისათვის.

ლიური აღიარებს:

— მე ვღებულობდი არალეგალურ ჯილდოს.

„რამდენი ფული მიიღეთ თქვენ სულ?" —ეკითხება ამხ. როგინსკი.

—მე მგონია 500—600 მან.

სასამართლო აქვეყნებს ბრალდებულის მიერ წინასწარ გამოძიების დროს მიცემულ ჩვენებას, რომლის თანახმად მან სულ მიიღო 10.000 მანეთამდე.

ბრალდებული ამტკიცებს, რომ მან არაფერი არ იცოდა მიღებულ ჯილდოების არალეგალობის შესახებ და, რომ ჯილდოს მიღების პირობები სრულიად არავითარ ეჭვს არ იწვევდა. მიუხედავად ამისა, ოდროვის ჩვენებიდან ნათლად სჩანს, რომ ფულების მიღება უაღრესად „ოჯახურ" პირობებში ხდებოდა.

პოლია ბოევას დახვრეტა

სასამართლო ცოტა ხნით კვლავ უბრუნდება პოლია ბოევას დახვრეტის ეპიზოდს, რასაც კავშირი აქვს ანდრეი კოლოდუბის სახელთან. ჩამოვიდნენ მოწმე მუშები იუროვი—სევასტოპოლიდან, გოლოვჩანსკი-გროზნიდან და მიხეილ ბოევი შახტიდან.

მოწმე გოლოვჩანსკი დააპატიმრეს 1918 წელს პოლიასთან ერთად. ის იყო საბჭოს წევრი და არც დაუფარავს ეს. თეთრებს ამ „საქმეზე" არ დაუხარჯავთ ხუთი წუთიც, ისე გამოიტანეს სიკვდილით დასჯის განაჩენი. კამერაში სადაც განაჩენის გამოტანის შემდეგ იჯდა გოლოვჩანსკი, მოიყვანეს პოლიაც. ერთ ერთი მუშა, რომელსაც აგრეთვე მისჯილი ჰქონდა სიკვდილი, ქალს შეხვდა, როგორც ნაცნობს.

„რა ამბავია პოლია—უთხრა მან—კიდევ „ხაზიაიკა" ბრალს გდებთ რამეში"?

— არა,—უპასუხა ქალმა—ეხლა „ხაზიაიკა" კი არა, ეხლა სულ სხვა რამეს მაბრალებენ".

პოლიას სიტყვებიდან გამოირკვა, რომ მას ბრალს სდებენ იმაში, რომ ის მსახურობდა წითლებთან და მათთან ერთად გაქურდა გაქცეულთა სახლები".

„ეხლა მე „ხაზიაიკა" კი არ მდებს ბრალს, —განაცხადა მან,—არამედ ანდრია კოლოდუბი".

მოწმე მალე გადაიყვანეს ეორე კამერაში, ხოლო პოლია წაიყვანეს დასახვრეტად. დახვრიტეს ის იმ ღამესვე, გოლოვჩანსკიც კი აპატიეს.

ამ ეპიზოდში მეტი გარკვეულობა შეაქვს დახვრეტილი ქალის ძმის მიხეილ ბოევის ჩვენებას. ის მაშინ იყო 15 წლის და მსახურობდა წითელ გვარდიაში. პოლიას შესახებ მას მოუთხრო მამამ, რომელიც დარჩა შახტში. მამის სიტყვით, პოლია ჯერ გაასამართლეს პოტატუევის ქონების გაძარცვასთან დაკავშირებით. (პოლია მსახურობდა პოტატუევებთან). ამ საქმესთან მას არავითარი კავშირი არ ჰქონია; მას ბრალს სდებდენ იმაში, რომ ის მოწყალების დათ მსახურობდა წითელ არმიაში. მას ბრალს სდებდა პოტატუევი, რომელსაც მოწმეთ ჰყავდა ანდრია კოლოდუბი.

ბოევის ჩვენება ამხ. კრილენკომ შეავსო მთელ რიგ სხვა მოწმეთა ჩვენებებით, რომლებიც მხოლოდ ამ ბოლო დროს მიიღო პროკურატურამ.

შჩერბინოვის მაღაროების სამმართველო

სასამართლო უბრუნდება შჩერბინოვის მაღაროების სამმართველოს.

ინჟინერი სტოიანოვსკი ეკუთვნის იმ დამნაშავეთა რიცხვს, რომლებიც, საბრალმდებლო ოქმის ცნობების მიხედვით, „მუშაობდნენ" წვრილ მრეწველობაში. შჩერბინოვის ჯგუფის მეთაურმა ბუშჩევსკიმ ამ სფეროში სტოიანოვსკის გადასცა სრული ინიციატივა და ხელმძღვანელობა.

სტოიანოვსკი არ სცნობს თავს დამნაშავედ. თითქმის სრულიად დაინგრა მაღარო № 9. მაღაროდან ამოიღეს 4 მილიონი ფუთი ნახშირი, ხოლო 2 მილ. ფუთი უნდა დარჩენილიყო შიგნით, ვინაიდან, როგორც მუშები აფრთხილებდენ ადმინისტრაციას, ნახშირი აღმოჩნდა მუშების ახალშენის ქვეშ და მუშების ბინებს დანგრევა მოელოდა. ასეთივე მდგომარეობა იყო მაღაროში № 11. მაღარო № 7-ში კი, პირიქით, ნახშირი სრულებით უვარგისი იყო, მაგრამ მაღაროს მაინც ენერგიულათ ამუშავებდენ. ნახშირი იმდენად ცუდი იყო, რომ ის მუშებსაც კი არ მიჰქონდათ ბინების გასათბობად.

ამ ფაქტებს სტოიანოვსკი ნაწილობრივ სცნობს, მაგრამ ყველა შემთხვევაში უარყოფს თავის უშუალო მონაწილეობას და საზიანო მიზნებს. უარყოფს სტოიანოვსკი აგრეთვე ფულის მიღებას. მიუხედავად ამისა, ლიური და ოდროვი ახსოვთ, რომ ფულის სიებში იყო სტოიანოვსკის გვარი.

ამავე დროს ოდროვმა მოიგონა ლაპარაკი, რომლის დროს სტოიანოვსკიმ დვორჟანჩიკის შესახებ სთქვა: „სულელი ტყუილა იხდის ფულს"

ფულის საკითხში ცოტად თუ ბევრად გარკვეულ ჩვენებას იძლევა ბრალდებული ბუშჩევსკი. პირველად, მისი სიტყვით, ფული მიიღეს 1923 წელს, როცა ის ჩამოიტანა ბახტიაროვმა.

„სტოიანოვსკის მაშინ ფული არ მიუღია,— ამბობს ის,—ის ჯერ კიდევ ახალი კაცი იყო და მე მას კარგად არ ვიცნობდი. როცა პეშეხანოვი წავიდა, განთავისუფლდა განსაზღვრული თანხა და მე შესაძლოდ დავინახე გადამეცა ის სტოიანოვსკისათვის.

საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ მოწვეულ თათბირის შედეგები

9 ივნისს დაამთავრა მუშაობა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 2 ივნისს მოწვეულმა თათბირმა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს საქ. ავტონომიურ რესპუბლიკებისა და მაზრების პრაქტიკულმა ხელმძღვანელებმა, სახალხო კომისრებმა, და სხვა რესპუბლიკანურ დაწესებულებებისა და ორგანიზაციების პასუხისმგებელმა ხელმძღვანელებმა.

თათბირმა მთავარი ყურადღება დაუთმო მოხსენებებს ადგილებიდან. მან მოისმინა ცამეტი სამაზრო აღმასკომის, სამხრეთ-ოსეთის ცაკისა და ბათომისა და ფოთის ქალაქის საბჭოების მოხსენებანი. ეს მოხსენებები აგებული იყო იმ სქემის მიხედვით, რომელიც წინასწარ დაუგზავნა ადგილებს სახკომსაბჭომ.

როგორც მოხსენებები, ისე კამათი ჩატარდა თვითკრიტიკის, ცენტრისა და ადგილების მოღვაწეობაში დაშვებულ შეცდომების კრიტიკის ნიშან ქვეშ.

თათბირმა აღნიშნა მნიშვნელოვანი მიღწევები ადგილობრივი ორგანოების მუშაობაში ამ ბოლო დროს და დასახა მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების შემდგომ კულტურულ-სამეურნეო მოღვაწეობას.

უწინარეს ყოვლისა თათბირმა ყურადღება მიაქცია სასოფლო მეურნეობის საკითხებს.

როგორც ვიცით, საკავშირო კომპარტიის (ბ.) მე-15 ყრილობის დადგენილებებს სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის შესახებ დიდი თანაგრძნობით შეხვდენ ღარიბი გლეხობის მასები როგორც საქართველოში, ისე საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებშიაც.

ადგილობრივ ორგანოების წარმომადგენელთა მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ კოლექტიურ მეურნეობებს ადგილებზე არ უწევენ საკმაო ხელმძღვანელობას. აღნიშნა რა სოფლის კოლექტივიზაციის მიმართულებით განვითარების დაჩქარების აუცილებლობა, თათბირმა აუცილებლად სცნო კოლმეურნეობათა პრაქტიკულ ხელმძღვანელობაში სასტიკი გეგმიანობის შემოღება და კოლექტიურ მეურნეობათათვის ფართო აგრონომიული, საკრედიტო და, უმთავრესად, ორგანიზაციულ დახმარების გაწევა.

სასოფლო მეურნეობის განვითარებისა და კერძოდ სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის ერთ-ერთ შემაფერხებელ მიზეზად ყრილობას მიაჩნია მიწადმოწყობის მდგომარეობა. ეხლანდელი მიწადმოწყობა არსებითად წარმოადგენს მიწის ნაკვეთების უბრალო გაზიჯვნას ან, როგორც თათბირის ზოგიერთი მონაწილე ამბობდა, გლეხებისათვის „ნასყიდობის სიგელის" მიცემას, რაც ნაკლებად უწყობს ხელს სოფლის სოციალისტურად გარდაქმნას.

გარდა ამისა, მეტად სუსტად იქნა ცნობილი მიწადმოწყობის ჩატარების ტემპი. უმაღლეს საკავშირო ორგანოების დადგენილებათა თანახმად, საბჭოთა კავშირში მიწადმოწყობის და მთავრობის 10 წლის ვადა მცირდება; ამის დამიხედვით თათბირმა აუცილებლად სცნო საქართველოში მიწადმოწყობის დამთავრების ვადა განსაზღვროს 1935 წლით; ამასთანავე გადაწყდა ღარიბ გლეხთა მეურნეობებს მიეცეს ერთი მთლიანი მიწის ნაკვეთი, რათა ამ გზით უზრუნველყოფილ იქნეს დაქსაქსულ მეურნეობათა კოლექტიურ მეურნეობაში დაჩქარებით გაერთიანების შესაძლებლობა.

მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ საბჭოთა მეურნეობანი ჯერ-ჯერობით არ შეეფერებიან თავის დანიშნულებას. თათბირმა აღიარა, რომ მათი მუშაობის განვითარებისათვის აუცილებელია: ა) მჭიდრო კავშირი გლეხობასთან; ბ) სასოფლო მეურნეობის კულტურული მეთოდების ფართოდ გავრცელება აგრონომიული პროპაგანდით; გ) მსხვილი განსაზოგადოებულ მეურნეობის უპირატესობის პრაქტიკულად დამტკიცება.

ამა თუ იმ მაზრებსა და რაიონებში ტეხნიკურ კულტურების გაშენება და განვითარება მეტად მნიშვნელოვან და მთრიგ ამოცანას წარმოადგენს. ირკვევა, რომ მთელი რიგი ადგილობრივი ორგანიზაციები, რომელთაც არ მოეპოებოდათ მეცნიერული ცნობები და არ ჰქონდათ შესწავლილი ბაზრის პერსპექტივები, ტეხნიკურ კულტურებს ავრცელებდნენ არა ისეთ რაიონებში, სადაც ეს საჭირო იყო და არა ისეთი სახისა და ჯიშის ტეხნიკურ კულტურას, რომელიც უფრო შეეფერებოდა მიზანშეწონილებისა და სარგებლიანობის მოთხოვნილებას. ამიტომ თათბირმა სავსებით მართებულად დასვა საკითხი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო რაიონებად დაჩქარებით დაყოფის შესახებ, რაც შესაძლებლობას მისცემს ცენტრსა და ადგილებს აიღონ სწორი ხაზი სასოფლო მეურნეობის დარგში.

სამაზრო აღმასკომების წარმომადგენელთა მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ ადგილობრივ ორგანოების მუშაობის უდიდეს ნაკლს წარმოადგენს მიწის ყიდვა-გაყიდვის ხშირი შემთხვევები და აგრეთვე სუბიჯარა და სუსტი ბრძოლა ამ ბოროტებასთან, რომლის აღმოფხვრაც საჭიროა გადამჭრელი ბრძოლით და რეპრესიული ზომების მიღებით ნაციონალიზაციის კანონის დამრღვევთა წინააღმდეგ. ამასთანავე თათბირმა დაუშვებლად სცნო ამ საქმეებზე გამოტანილ განაჩენის შემსუბუქება.

როგორც თათბირზე გამოირკვა, კიდევ გრძელდება სათანადო ორგანოების იმ დადგენილებათა დარღვევა, რომლებიც შეეხება სახელმწიფო და ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების დაცვას. ტყის დაზიანებას, როგორც ვიცით, მოსდევს სასოფლო მეურნეობისა და მოსახლეობისათვის ისეთი დამღუპველი შედეგები, როგორიცაა გვალვა, წყალდიდობა, მალარია და სხ.

ტყეების დაცვა გაჩეხვისა და გაუდაბურებისაგან შეიძლება მხოლოდ გადამჭრელი ბრძოლით ტყის გამჩეხელთა წინააღმდეგ, სატყეო დარაჯის მუშაკთა შემადგენლობის გაუმჯობესების და გადიდებით სახელმწიფო საშუალებებისა და გლეხების თვითდაბეგვრის ფონდის ხარჯზე, ტყის მოწყობის დაჩქარებით და ტყის რაციონალური სარგებლობით.

საბჭოთა ორგანოებისა და მათი ხელმძღვანელების მუშაობის ერთ-ერთ უდიდეს ნაკლად აღიარებულ იქნა სუსტი ყურადღება სოფლის კლასობრივი დიფერენციაციის საკითხებისადმი. ამავე დროს პარტიის დირექტივების შესრულება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სოფლის სოციალურ-ეკონომიური პროცესების საკითხები შესწავლილი იქნება და გამოხატულებას ჰპოვებს პრაქტიკულ მუშაობაში. ამიტომ თათბირმა აუცილებლად სცნო აღნიშნულ პროცესების შესწავლა და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ორგანოებისათვის ყოველგვარი დახმარების გაწევა ამ საქმეში.

აღნიშნულ ამოცანებთან დაკავშირებით საჭიროა სასოფლო-სამეურნეო მუშაობის ადგილობრივ პრაქტიკულ ხელმძღვანელთა კადრის ზედმიწევნით შერჩევა იმ პირთაგან, რომლებიც ერთგულად და სწორად ატარებენ პარტიის პოლიტიკას სოფლად.

ასეთია ადგილობრივ და ცენტრალურ ორგანოების უახლოესი ამოცანები სასოფლო მეურნეობის დარგში.

მოხსენებებიდან გამოირკვა აგრეთვე, რომ აღმასკომები ადგილობრივი მრეწველობის განვითარების საქმეში ვერ ატარებენ სწორ ხაზს: ადგილი აქვს მრეწველობის ისეთი დარგების შექმნას, რომლებიც არ არიან უზრუნველყოფილი ნედლეულით, ამავე დროს სუსტი ყურადღება ექცევა იმ სამრეწველო დარგებს, რომელთაც ცხოველმყოფელი მნიშვნელობა აქვთ მაზრის ეკონომიკისათვის, (ყველისა და კარაქის ქარხნები, სარექტიფიკაციო სპირტის საწმენდი, ხე-ტყის სახერხი აგურკრამიტის ქარხნები და სხვ.). ამ ნაკლის თავიდან აცილების მიზნით თათბირს საჭიროდ მიაჩნია, რომ ადგილობრივი მრეწველობის შემდგომი განვითარების გეგმას საფუძვლად დაედოს გლეხური მეურნეობის პროდუქციის გადამუშავება და გლეხური მეურნეობისათვის საჭირო ფაბრიკატებიც და ნახევარფაბრიკატების წარმოება.

თათბირმა დიდი ყურადღება დაუთმო აგრეთვე საქართველოს კომუნალურ საწარმოთა ზრდისა და ექსპლოატაციის საკითხს. მუშაობის ამ დარგს დღემდე არ უწევდა სათანადო ხელმძღვანელობასა და კონტროლს ცენტრი. თათბირმა აღნიშნა, რომ ხელმძღვანელობას ქალაქების კომუნალურ მეურნეობას უნდა უწევდეს საქართველოს ს. მ. უ. ს. ადგილობრივი მრეწველობის განყოფილება. რათა ამ განყოფილებამ გააძლიეროს ადგილობრივ კომუნალურ მეურნეობის მშენებლობის ხელმძღვანელობა, საჭიროა მისი (განყოფილების) რაც შეიძლება მეტი ცენტრალიზაცია.

ცრუ სპეცებთან ბრძოლისა და სპეციალისტების პირადი პასუხისმგებლობის გაძლიერების აუცილებლობასთან ერთად, თათბირმა საჭიროდ სცნო ამხანაგური ატმოსფერის შექმნა იმ სპეციალისტების გარშემო, რომლებიც პატიოსნად ინაწილებენ იმ საერთო მუშაობის სიმძიმეს, რომელიც მიმართულია ჩვენი მეურნეობის აღდგენისაკენ.

რესპუბლიკის ადმინისტრატიულ რაიონებად დაყოფა, ადმინისტრატიული ერთეულების რაოდენობის შემცირება და მათი განმტკიცება ახალ სამეურნეო წლის დაწყებიდან სასწრაფოდ უნდა განხორციელდეს. საქართველოს ცაკმა და სახკომსაბჭომ უკვე გამოსცეს დადგენილება თელავის, სიღნაღის მაზრასთან და ლეჩხუმის, რაჭის მაზრასთან გაერთიანების შესახებ. სავსებით დროულად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე თათბირზე წამოყენებული საკითხი სენაკისა და ზუგდიდის მაზრების გაერთიანების შესახებ.

საბჭოთა აპარატის მუშაობის ნაკლს, როგორც საერთო წესი, წარმოადგენს ის გარემოება, რომ რესპუბლიკანურ და სამაზრო დაწესებულებებს შორის არ არსებობს მჭიდრო კავშირი, სახალხო კომისარიატები არ უწევენ კონტროლს სამაზრო აღმასკომების შესაფერ განყოფილებების მუშაობას, ზედმიწევნით არ სრულდება დასახული გეგმები და ადგილი აქვს მთელ რიგ ისეთ ავადმყოფურ მოვლენებს, როგორიცაა ბიუროკრატიზმი, პროტექციონიზმი, საქმის გაჭიანურება და სხვ. აღნიშნულ ნაკლის აღმოფხვრა თათბირს შესაძლებლად მიაჩნია: ა) კავშირის დამყარებით და ურთიერთისადმი ცნობების მიწოდებით, მაგრამ არა ინსტრუქტორების, არამედ ადგილებზე პირადათ სახალხო კომისრების, მათი მოადგილეებისა და სახალხო კომისარიატების კოლეგიის წევრთა გამგზავრებით ადგილობრივი მუშაობის შესასწავლად და წასამართავად; ბ) მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ გადამწყვეტი ბრძოლით საბჭოთა აპარატის ავადმყოფურ მოვლენების წინააღმდეგ ცენტრ. საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის უკანასკნელ დადგენილებათა მიხედვით და გ) მუშკორებისა და გლეხკორების შენიშვნებისათვის მეტი ყურადღების დათმობით, მათ მიერ პრესაში აღნიშნულ ფაქტების თავის დროზე შემოწმებით და ნაკლის დაუყოვნებლივი აღმოფხვრით.

სახალხო განათლების საკითხებზე თათბირმა მიიღო მთელი რიგი გადაწყვეტილებები, რომელთაგან აღსანიშნავია: 1) ასიგნობათა გადადება ადგილობრივი ბიუჯეტით სახალხო განათლების საჭიროებისათვის, იმ მოსამზადებელი მუშაობის საწარმოებლად, რომელიც დაკავშირებულია საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღებასთან; 2) სასკოლო ქსელის ზრდის შეჩერება ისეთ მაზრებში, სადაც ეს ქსელი საკმაოდ ფართოა და მთელი მუშაობის იქითკენ მიმართვა, რომ სკოლები ბუნებრივად გაიზარდონ სრულ ოთხწლედებამდე; 3) სასკოლო ქსელის გაფართოება რესპუბლიკის ჩამორჩენილ რაიონებში და სკოლების უზრუნველყოფა მომზადებული პედაგოგიური პერსონალით და საჭირო სამოსწავლო ხელსაწყოებით; 4) განათლების სახალხო კომისარიატის მიერ მთავრობის დადგენილების პროექტის დამუშავება არსებული ქსელის დამტკიცების და ახალი სკოლების გახსნის წესის შესახებ; 5) სამეურნ. ორგანოების მონაწილეობის გაძლიერება როგორც უმაღლესი, ისე დაბალი პროფტეხნიკური განათლების ხელმძღვანელობისა და დაყენების საქმეში; 6) გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების მდგომარეობის გაუმჯობესება, რისთვისაც სამაზრო აღმასკომებს წინადადება მიეცა უზრუნველჰყონ ეს სკოლები სათანადო ასიგნობებით სამეურნეო ხარჯებისათვის და გადასცენ მათ მიწის ნაკვეთები, ხოლო განათლების სახალხო კომისარიატს წინადადება მიეცა უზრუნველჰყოს ისინი სათანადო მეცნიერულ-აგრონომიული, მასწავლებელთა პერსონალით. ამასთანავე, ამჟამად არსებულ სკოლების სავსებით უზრუნველყოფამდე არ იქნას გახსნილი გლეხთა ახალგაზრდობის ახალი სკოლები.

რაც შეეხება პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობას, თათბირმა გაითვალისწინა: სოფლის სამკითხველოების გამგეთა ხელფასის მომატების და სოფლის სამკითხველოებისათვის ლიტერატურის მიწოდების წლიური ნორმების გადიდების საჭიროება; მიმდინარე წელს თვითეულ მაზრაში ერთი სოფლის სამკითხველოს აგება მოსახლეობის თვითდაბეგვრის ხარჯზე; ასიგნობათა გაძლიერება სამხატვრო მუშაობისათვის (სცენების მოწყობა, სათეატრო მოწყობილობის შეძენა და სხვ.); თანხების შეტანა ბიუჯეტში პოლიტგანმანათლებელ მუშაკების გადასამზადებლად, სოფლის სამკითხველოების გამგეთა და ბიბლიოთეკარების თვიურ კურსების მოსაწყობად; სალიკვიდაციო პუნქტების ქსელის გაფართოება საშუალოდ 25 პროცენტით და მათი უკეთ უზრუნველყოფა სამოსწავლო ხელსაწყოებით; სალიკვიდაციო პუნქტების მუშაკთა და წერაკითხვის მცირემცოდნეთა სკოლების ხელმძღვანელთა ხელფასის გადიდება; ზომების მიღება თვითეულ თემში თითო ხმამაღლა მოლაპარაკე რადიო-აპარატის დასადგმელად; თანხების შეტანა ბიუჯეტში მოძრავ კინოაპარატების შესაძენად და საექსპლოატაციოდ კინო-მექანიკოსის და ლექტორების შესანახად და დასასრულ პოლიტგანათლების ბაზის გასაუმჯობესებლად.

ჯანმრთელობის დაცვის დარგში აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ თათბირმა საჭიროდ სცნო: შეჩერებულ იქნას სამკურნალო პუნქტების ქსელის გაფართოება გარდა ფშავ-ხევსურეთისა და ყურადღება მიექცეს ამ პუნქტების მდგომარეობის გაუმჯობესებას (შენობების შეკეთება და გაფართოება, ინვენტარით, ხელსაწყოებით და მედიკამენტებით შევსება) და საფერშლო პუნქტების თანდათან შეცვლას საექიმო პუნქტებით; გამონახულ იქნას სახსრები საექიმო პერსონალის ხელფასის გასადიდებლად და ამ პერსონალისათვის ბინების და გადასაზიდ საშუალებების მისაცემად,

უსასყიდლო საექიმო დახმარებას დღემდე მხოლოდ დაზღვეულთა ოჯახები ღებულობდნენ. არსებული დირექტივის მიხედვით, რომლის თანახმად უსასყიდლო საექიმო დახმარება უნდა მიეცეს აგრეთვე მოჯამაგირეებს, წითელარმიელთა ოჯახებს და ღარიბ გლეხობას, თათბირმა საჭიროდ სცნო ასიგნობათა გადადება ამ მიზნისათვის ადგილობრივი ბიუჯეტით. აგრეთვე საჭიროდ იქნა ცნობილი გაძლიერებულ იქნას თანხების გადიდება სანიტარულ დაწესებულებათა (სადეზინფექციო კამერების, აბანოების, ბარაკების, სანიტარულ გამოფენების ტუბერკულოზის, ამბულატორიების, ვენერიულ ამბულატორიების და სამალარიო პუნქტების) ქსელის გასაფართოებლად; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მალარიასთან ბრძოლას პროფილაქტიურ ღონისძიებათა გაძლიერების საშუალებით, რაიონების გასაჯანსაღებლად (ჭაობების ამოშრობა, წყლის გადაშვება, კანალიზაცია და სხვ.) და დასასრულ მალარიის საწინააღმდეგო დაწესებულებათა ქსელის გადაყვანას სახელმწიფო ბიუჯეტზე.

სახელმწიფო სტატისტიკის ხაზით თათბირმა აღნიშნა, რომ მაზრების უმრავლესობაში სტატისტიკის საქმე დამაკმაყოფილებლად არ არის დაყენებული, რაც უმთავრესად აიხსნება შტატების სიმცირით და სტატპერსონალის დაბალი კვალიფიკაციით. თათბირმა უაღრესად დიდი მნიშვნელობის მქონედ აღიარა სტატმუშაობა ადგილებზე და საჭიროდ სცნო ადგილობრივ საშუალებათა მიზიდვა ამ მუშაობის გაუმჯობესების საქმეში, სტატისტიკოსთა რიცხვის შევსება იმ ნორმებამდე, რომლებიც დაწესებულია საქართველოს სახკომსაბჭოს მიერ, და ნათესების მდგომარეობის შემფასებელ სამაზრო და სათემო კომისიების მუშაობის გაუმჯობესება. ამ მიზნით რეგულიარულად უნდა იქნას მოწვეული ამ კომისიების სხდომები, სწორად უნდა იქნას დაყენებული მათი მუშაობა; კომისიები ობიექტურად უნდა მიუდგენ ნათესებისა და მოსავლის შეფასებას და სამაზრო აღმასკომების პრეზიდიუმებმა თავის სხდომებზე უნდა მოისმინონ სტატორგანოების მოხსენებები მათ მიერ ცალკე სტატისტიკურ ოპერაციების შესასრულებლად ჩატარებულ მუშაობის შესახებ.

თათბირის შემდგომი მუშაობა სწარმოებდა მოხსენებების გარშემო თვითდაბეგვრის პრაქტიკისა და საგზაო მშენებლობის შედეგების შესახებ.

მოხსენების გამო თვითდაბეგვრის პრაქტიკის შესახებ თათბირმა მიიღო რეზოლიუცია, რომელსაც საფუძვლად დაუდო შემდეგი დებულებები: 1) თვითდაბეგვრა გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ ადგილობრივ (სასოფლო, სათემო, სარაიონო) კულტურულ-სამეურნეო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, მათ შორის მიწადმოწყობისათვის და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების დასაცავად; 2) თვითდაბეგვრის თანხების გაწერა უნდა ხდებოდეს ცალკე მეურნეობათა შეძლების მიხედვით; 3) საჭიროა სწორად იქნას წარმოებული თვითდაბეგვრის (ფულადის და ნატურალურის) რაოდენობის აღრიცხვა თემის, მაზრის და რესპუბლიკის ფარგლებში და აგრეთვე თვითდაბეგვრის გამოყენების მატერიალურ შედეგების აღრიცხვა; 4) თვითდაბეგვრის საქმისათვის სწორი ხელმძღვანელობის გასაწევად ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა შემოიღონ წლიური გეგმების სისტემა და თვითდაბეგვრის დარგში ადგილობრივ მუშავეთათვის ინსტრუქციების მიწოდება; 5) დაჩქარებულ იქნას ახალი კანონის გამოქვეყნება თვითდაბეგვრის შესახებ, თვითდაბეგვრის წესით შესაკრებ თანხების საერთო კონტიგენტის უმაღლეს ნორმად დატოვებულ იქნას სასოფლო-სამეურნეო გადასახადის 100 პროცენტი, ამ ნორმის გადაცილება ცალკე შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ სახკომსაბჭოს განსაკუთრებული ნებართვით.

მოხსენების გამო საგზაო მშენებლობის შესახებ თათბირმა სცნო, რომ ადგილობრივ საგზაო სამუშაოთა უშუალოდ შესრულება უნდა დაეკისროს აღმასკომებს, რომლებიც ამ მიზნისთვის გამოჰყოფენ სპეციალურ ტეხნიკურ აპარატს, ხოლო ეს აპარატი ემორჩილება სამაზრო აღმასკომებს და საქართველოს ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს.

ადგილობრივი საგზაო მშენებლობის წარმატებით წარმოების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს საგზაო მშენებლობის წლიური გეგმების შედგენა. ამ გეგმების შედგენის დროს აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული მუშაობის დრო, — (მუშაობის დაწყება და ხანგრძლივობა), ფულადი სახსრებისა და მუშა-ხელის, როგორც დაქირავებულის, ისე საგზაო ბეგარის წესით გაწვეულის, რაოდენობა.

სამაზრო აღმასკომების მიერ ადგილობრივი საგზაო მშენებლობის შესახებ შემუშავებული გეგმებიდან საქართველოს ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველო ადგენს საერთო წლიურ გეგმას და ანხორციელებს ამ გეგმას თავისი აპარატის საშუალებით, კონტროლსა და ხელმძღვანელობას უწევს ადგილობრივი აპარატის მუშაობას, რა მიზნითაც ბიუჯეტში გათვალისწინებული უნდა იქნეს სათანადო ხარჯები.

აგრეთვე მოსმენილ იქნა მოხსენება სრულიად საქართველოს სახელმწიფო დაზღვევის კანტორის მუშაობის შესახებ. მოხსენების და მის გარშემო გამართულ კამათის შედეგად გამოირკვა, რომ ამ დარგში ადგილებზე მუშაობა სუსტად სწარმოებს. სახდაზღვევის აგენტები და აღმასკომები შეთანხმებულად არ მუშაობენ. მოხსენების გარშემო პრაქტიკულ ღონისძიებათა გამომუშავება მიენდო საქართველოს ს. ს. რ. სახკომსაბჭოს სრულიად საქართველოს სახდაზღვევის კანტორასთან ერთად.

ასეთია ის პრაქტიკული გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოიტანა ავტონომიურ რესპუბლიკებისა და მაზრების ხელმძღვანელთა პირველმა თათბირმა.

ამ გადაწყვეტილებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ. საჭიროა მტკიცედ გავატაროთ ისინი ცხოვრებაში.

ვინაიდან ასეთი თათბირების მოწვევა სახკომსაბჭოსთან წარმოადგენს სავსებით დროულ და საქმიან ზომას, რომელიც ამართლებს მიზანს — მუშაობის მდგომარეობის შემოწმებას ადგილებზე — და ხელს უწყობს ცენტრის კავშირის განმტკიცებას ადგილებთან, თათბირმა დაადგინა ასეთი თათბირები მოწვეულ იქნას წელიწადში ერთხელ მაინც მათთვის საკითხების წინასწარ დამუშავებით.

ს. სტეფანოვი.

პარტიული ცხოვრება

ცეკას პლენუმი

დილის სხდომა

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას პლენუმის დილის სხდომაზე დაიწყო კამათი ამხ. კახიანის საანგარიშო მოხსენების გარშემო.

კამათში გამოვიდნენ ამხ. **ჯაფარიძე, პევცოვი, აგლაძე, ნაზაროვი, გ. სტურუა, გოპალოვი, ესაიანი, ჭანკვეტაძე, სააკიანი, მჭარეულაშვილი, კეკელია, კანდელაკი და ხვედელიძე.**

საღამოს სხდომა

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას პლენუმის 12 ივნისის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. კახიანის მოხსენების გარშემო. კამათში გამოვიდნენ: ამხ. **ბაქრაძე, ფანცხავა, ლაკობა, გიორგაძე, ვ. ავაქოვი, ხვანიძე, ცხაკაია, გაბუნია, ჯავახიძე და ფილიპე მახარაძე.**

არსრაიონის გაუქმების შემდეგ

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით, თბილისის ორგანიზაცია დაყოფილია 3 რაიონად 4 რაიონის მაგივრად. გაუქმებულია არსენალის რაიონი, როგორც ისეთი, რომელსაც არ აქვს გარკვეული ტერიტორია. (ამ რაიონის უჯრედთა მნიშვნელოვანი ნაწილი იმყოფებოდა სხვა რაიონების ტერიტორიაზე).

ეს გადაწყვეტილება მეტად მიზანშეწონილი იყო მთელ რიგ მოსაზრებათა გამო. უმთავრესად ეს, რასაკვირველია, გამოწვეული იყო პარტიული აპარატის რაციონალიზაციით, მისი გამარტივებისა და გაიაფების მიზნით.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ გადაწყვეტილების განხილვის დროს, თბილისის ორგანიზაცია პრინციპიალურად მიემხრო ერთი რაიონის გაუქმებას, ხოლო როცა საქმე მიდგა არსენალის რაიონის გაუქმებაზე, მთელი რიგი ამხანაგები ილაშქრებდნენ ამის წინააღმდეგ.

მაგრამ სარაიონო ორგანიზაციის დიდმა უმრავლესობამ მოიწონა თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილება.

მეორე რაიონის გაუქმების შემდეგ რაიორგანიზაციების სოციალურ შემადგენლობაში მოხდა შემდეგი ცვლილებანი: ლენინის რაიონში მუშათა რიცხვი შეადგენდა 76,8 პროც., ხოლო რეორგანიზაციის შემდეგ გაიზარდა 79,2 პროც.-მდე, ავლაბარ-ხარფუხის რაიონში მუშათა რიცხვი შეადგენდა 75,8 პროც., რეორგანიზაციის შემდეგ შემცირდა 72,2 პროცენტამდე. ქალაქის რაიონში იყო 44,4 პროც., რეორგანიზაციის შემდეგ გახდა 52,8 პროც. ამგვარად, ლენინის რაიონი, რომელშიაც მუშათა რიცხვი ყოველთვის შეადგენდა უდიდეს რაოდენობას, მუშათა პროცენტი კიდევ უფრო გაიზარდა. მუშათა პროცენტის ერთგვარი შემცირება მოხდა ავლაბარ-ხარფუხის რაიონში, ზოგიერთი საბჭოთა უჯრედების გადაცემის ხარჯზე. სამაგიეროდ ქალაქის რაიონში, რომელშიაც მუშათა პროცენტი იყო უმნიშვნელო, ჩვენ ვხედავთ მუშათა რაოდენობის მნიშვნელოვნად გადიდებას, რაიც ჩატარებული რეორგანიზაციის დიდ პლიუსად უნდა ჩაითვალოს.

მეორე რაიონის ყველაზე უფრო დიდი უჯრედებიდან, რომლებიც სხვა რაიონებს გადაეცა, უნდა აღვნიშნოთ შემდეგი უჯრედები ლენინის რაიონს გადაეცა: „26 კომუნარის" სახელობის ქარხნის უჯრედი, ტრამვაის კოლექტივი, კალინინის სახელობის ქარხანა, „როზა ლიუქსემბურგის" სახელობის თამბაქოს ქარხანა, თამბაქოს ქარხანა „პროლეტარი", სახკინმრეწვი, საბაჟო და სხვ.

ქალაქის რაიონს შეუერთდა შემდეგი უჯრედები: თელასის, შრომის სახ. კომისარიატი, „ზაკავტოპრომტორგი", მუშკოოპი, სახმედვაჭრობა, „ზაკსოიუზი", რესპუბლიკის მთავარი საავადმყოფო, ლუდის სახდელი ქარხანა, ცეკავშირი და სხ.

მესამე რაიონს შეუერთდა შემდეგი უჯრედები: სახ. მეურნ. უმაღლესი საბჭო, აბრეშუმის საქსოვი ქარხანა, ხლებოპროდუქტი, მილიცია, სომხური მუშფაკი, ფოსტა (მეოთხე რაიონიდან), მკერავი, საქართველოს სახვაჭრობა, წყალსადენის სახელოსნოები, საჭერხი ქარხნები და სხ.

მეორე რაიონის საქმეები გადაეცა სათანადო რაიონებს, საარქივო მასალა შესანახად გადაეცემა თბილისის კომიტეტს. ვინაიდან მესამე რაიონს გადაეცა მეორე რაიონის მთელი რიგი უჯრედები, რომლებიც იმყოფებიან ეორისის ქუჩამდე მდებარე რაიონში, ამიტომ განზრახულია მესამე რაიკომი ავლაბარიდან გადატანილ იქნას ცენტრის მახლობლად (დაახლოებით მუხრანის ხიდის რაიონში).

ი. რ—ძე.

წვრილმანი, რომელიც აფერხებს პარტმუშაობას

პარტიული მუშაობის რაციონალიზაციისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებას, თუ რა სამუშაო უნდა შეასრულოს უშუალოდ პარტაპარატმა და რაში უნდა გამოიყენოს მან საბჭოთა, პროფესიონალური და სხვა ორგანოები.

სამწუხაროდ ადგილობრივ პარტორგანიზაციებს ჯერ კიდევ, მტკიცედ ვერ განუსაზღვრავთ თავისი ფუნქციები და ხშირად ისეთ საქმეს კიდებენ ხელს, რაც ადვილად შეიძლება გაკეთდეს საბჭოთა ან პროფ. აპარატის მეშვეობით.

მაგალითისათვის დავასახელებთ გორის მაზრას. ამ ორგანიზაციაში მოჯამაგირეთა აღწერა ჩაატარეს თემკომებმა მაშინ, როცა „მიწატყის" კავშირის ორგანოები თავისუფლად შეასრულებდენ აღნიშნულ საქმეს. ასევე მოხდა კოოპერაციის საპაიო კამპანიის ჩატარებაც: თემკომის მდივნები თვითონ დადიოდენ სოფლებში და აგროვებდნენ საპაიო თანხებს. ყველა ეს ცხადია დიდად აფერხებდა პარტორგანიზაციის მიმდინარე მუშაობას.

ამას გარდა პარტიულ კომიტეტებს სოფლად ხშირად უხდებათ ტყუილ უბრალოდ მოაწყონ სხდომები და თათბირები. მაგალითისთვის დავასახელოთ ისევ გორი.

გორის სამაზრკომმა გამოჰყო კომისია პიონერ-ორგანიზაციის გამოსაკვლევად. კომისიის ერთ-ერთი წევრი უგზავნის ზღუდერის თემკომის მდივანს მიმართვას: „ამით გაცნობებთ, რომ მაზრკომიდან მოდის პიონერ-ორგანიზაციის გამომკვლევი კომისია, გევალებათ 28 მაისისათვის მოიწვიოთ კომუჯრედის და კომკავშირის თემკომების მდივნებსა, პიონერ კოლექტივებზე მიმაგრებულ კომუნისტებს, პიონერ კოლ. საბჭოს, ხელმძღვანელებს, საქიმო კომისიისა და სხვ. კრება. მოწერილობა უნდა შესრულდეს სრული 100 პროცენტით.

კომისიის სახელით შ. გოგოლაძე."

თემკომის მდივანმა ბევრი ირბინა და რას ვაი-ვაგლახით შესძლო კრების მოწვევა. მაგრამ მოვიდა კომისია დანიშნულ დროზე? სრულიადაც არა. მან მხოლოდ მეორე დღეს იკადრა ჩამობრძანება.

არის აგრეთვე შემთხვევა, როცა ზოგიერთი ამხანაგი სულ უბრალო, წვრილმან საკითხებისთვის აცდენს პარტიულ კომიტეტს. ამის წინად გორის ერთ-ერთი დაწესებულების ხელმძღვანელს უნდოდა ტელეფონით დალაპარაკებოდა თბილისს, გამოიძახა პარტკომის საორგ. განყ. გამგე და სთხოვა: „ფოსტაში გამიკეთეთ საქმე, იქნებ თბილისთან მალაპარაკონ".

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ყველა აქ მოყვანილი ნაკლი ხელს უშლის პარტ-აპარატის ნორმალურ საქმიანობას. პარტმუშაობის რაციონალიზაციამ საბოლოოდ უნდა აღმოფხვრას ეს დეფექტები.

კ. მგელაძე.

ბიუროების გადარჩევის შედეგები

(ქალაქის რაიკომი, თბილისი)

ქალაქის რაიკომის პლენუმმა, რომელიც ამას წინად შესდგა, მოისმინა ამხ. ტინტიკოვის მოხსენება ბიუროების გადარჩევის შედეგებზე.

საარჩევნო კრებებზედ დასწრება—სთქვა ამხ. ტინტიკოვმა,—საშუალოდ მთელ რაიონულ ორგანიზაციაში აღწევდა 73,4 პროც.

ბიუროების ანგარიშის გარშემო იმართებოდა ფართო კამათი. საწარმოო უჯრედებში კამათში გამოვიდა წევრთა მთელი რიცხვის 39 პროც.; საბჭოთა უჯრედებში—31 პროცენტი.

უჯრედების მდივნები თავის ანგარიშებს უმეტეს ნაწილად აგებდენ ისე, რომ მთავარი ყურადღება ექცეოდა შეცდომებისა და ნაკლულევანებების მზის სინათლეზე გამოტანას. მაგრამ იყო თითო-ოროლა შემთხვევა, როცა მომხსენებლები ცდილობდენ მიეჩქმალათ დეფექტები (სახ. ბანკი, „ელექტროსტროი", „სამშენი"). ასეთ შემთხვევებში თვით უჯრედის წევრები მოურიდებელი კრიტიკით ამჟღავნებდენ ყველა ნაკლულევანებებს.

გადარჩევის დროს გამოირკვა, რომ უჯრედების ხელმძღვანელობა წარმოება-დაწესებულებათა სამეურნეო ცხოვრებისადმი კიდევ ვერ არის მოგვარებული, ადმინისტრატიულ სამმართველო ხარჯების 20 პროცენტით შემცირება არ არის სავსებით განხორციელებული.

ზოგიერთ უჯრედში ადგილი აქვს ბიუროკრატიულ მიდგომას ამ უკანასკნელ საკითხისადმი. ასე მაგალითად „სამშენის" უჯრედმა განაცხადა, რომ მის დაწესებულებაში საჭირო არაა ხარჯების 20 პროცენტით შემცირების ჩატარება.

სამაგიეროდ ბევრი უჯრედი სერიოზულად მოეკიდა პარტიის დირექტივის შესრულებას. მაგალითად: აღმასკომის ადმინისტრატორები ამტკიცებდენ, რომ 20 პროცენტიანი შემცირება მათ მიერ ზუსტათ არის გატარებული. პარტუჯრედს ცოტა ეჭვი შეეპარა ამ მტკიცების სისწორეში, შეამოწმა ადმინისტრაციისგან მიღებული ზომები ხსენებულ დარგში და აღმოაჩინა, რომ ხარჯები მხოლოდ 5 პროცენტით შეუკვეციათ.

უჯრედები მოიკოჭლებენ ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში. ყოფილა შემთხვევა, როცა უჯრედს (სახ. ბანკი) შეუქმნია კომისია ბიუროკრატიზმის ფაქტების გამოსაძიებლად, მაგრამ უშედეგოდ... ასეთი ფაქტები არ აღმოჩენილა (?!).

სუსტია მასიური მუშაობა; კომუნისტები ნაკლებად მონაწილეობენ საწარმოო და ეკონომ-თათბირების მუშაობაში; არაა მოგვარებული კომისიებისა და ბიუროების ურთიერთობა: ზოგ ადგილებში კომისიები სწევენ ბიუროს მაგიერობას, ზოგან კი ბიუროები ჩრდილავენ კომისიებს.

მოხსენების გამო მიღებულ პრაქტიკულ წინადადებებში პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უჯრედების მომავალი მუშაობის ამოცანა უნდა იყოს გადარჩევის კამპანიაში გამომჟღავნებულ ნაკლთა აღმოფხვრით.

ქალთა შორის მუშაობა

მარტყოფ-ნორიოს თემები

წინად აღნიშნულ თემებში საგრძნობლად მოიკოჭლებდა ქალთა შორის მუშაობა, სუსტი იყო ადგილობრივ პარტიულ კომიტეტებისა და გარეკახეთის ქალთა განყოფილების ხელმძღვანელობა სადელეგატო პუნქტებისადმი.

მაგრამ მას შემდეგ,—რაც მარტყოფისა და ნორიოს თემები გამოეყვენ სართიჭალას, ქალთა შორის მუშაობა გაუმჯობესდა და მკვიდრ ნიადაგზე დადგა. უმთავრესი ყურადღება მიექცა დელეგატ ქალების ჩაბმას საბჭოების, კოოპერაციის, გლეხკომების, ქოხ-სამკითხველოს და სხვ. ორგანიზაციების მუშაობაში. ადგილობრივ მნიშვნელოვან დაწესებულება-ორგანოებზე სადელეგატო პუნქტებმა მიამაგრეს თავისი წევრები.

სადელეგატო კრებები ისმენდენ კოოპერატივის გამგის, აგრონომის, საბჭოს თავმჯდომარის საანგარიშო მოხსენებებს. ნორიოს სადელეგატო პუნქტის ინიციატივით გახსნილ იქნა ჭრა-კერვის სასწავლებელი, სადაც მეცადინეობს 50 ქალი. გარდა ამისა, გლეხი ქალები კოლექტიურად ამუშავებენ საერთო მიწის ნაკვეთს.

მარტყოფის თემში გლეხ-ქალებმა დაარსეს მეაბრეშუმეთა კოლექტივი, სადაც გაერთიანებულია 18 ქალი. გარდა ამისა, მარტყოფის თემში დიდ მუშაობას აწარმოებს ქოხ-სამკითხველო. უკანასკნელში თითქმის სისტემატიურად ეწყობა ჟურნალ-გაზეთების ხმა-მაღლა კითხვა გლეხ-ქალებისათვის, ტარდება მოხსენება-საუბრები და სხვა. ქოხ-სამკითხველოსთანვეა დაარსებული ქალთა წრე, რომელშიაც მუშაობას აწარმოებს კომკავშირის ადგილობრივი უჯრედი.

კომკავშირში

სუსტი უჯრედი

(ს. ლამე ღვერკი, შორაპნის მაზრა)

ამას წინედ სრულიად შემთხვევით მომიხდა შორაპნის მაზრის სოფელ ლამე-ღვერკში გავლა.

ამ სოფელში არსებობს პარტიის საკანდიდატო ჯგუფი და კომკავშირის ორი უჯრედი (სკოლასთან). საინტერესოა, როგორ მუშაობენ ეს უჯრედები. ერთ ერთ კრებაზე, რომელსაც მე დავესწარი, დასმული იყო მეტად დაგვიანებით) მე-15 ყრილობის დადგენილების გარჩევა საკონტროლო კომისიის ანგარიშის ირგვლივ. მომხსენებელს, მიუხედავად იმისა, რომ იგი მომზადებული ახალგაზრდაა, არ შეუდგენია მოხსენების კონსპექტი. რამაც გამოიწვია საქმის ფორმალური შესრულება: მოხსენება დამახინჯდა, კამათი არ შემდგარა. შეკითხვებიც ნაკლებად შემოვიდა და საერთოდ მოხსენებას არავითარი ინტერესი არ გამოუწვევია.

ასეთივე ცუდი შთაბეჭდილება დასტოვა მეორე კრებამ, სადაც ასამდე ამხანაგი უნდა ყოფილიყო, დაესწრო კი სულ 15 კაცი.

კრებამ მოისმინა უჯრედის ერთი წევრის მოხსენება მიცემულ დავალებათა შესრულების შესახებ. „იყო ექვსი კრება, სამ მათგანს დავესწარი"—დაახლოებით ამით განისაზღვრებოდა ეს ანგარიში.

კრების დღის წესრიგში იდგა აგრეთვე საკითხი ქოხ-სამკითხველოს გამგის მუშაობის შესახებ. გამგემ დაწვრილებით ჩამოსთვალა რამდენ გაზეთს იწერს ან რამდენი წიგნი აქვს სამკითხველოში, ნამდვილი მუშაობის შესახებ კი არაფერი უთქვამს.

100 მაგიერ 15 კაცის გამოცხადება კრებაზე და ან ის ფაქტი, რომ ბევრ კომკავშირელს ხუთ-ხუთი გაფრთხილება აქვს მიცემული, ცხადყოფს დისციპლინის სისუსტეს კომკავშირში.

მოიკოჭლებს აგრეთვე გასამხედროების საქმეც.

ს. გეგია.

თემკომების მდივნების თათბირი

(ლეჩხუმის მაზრა)

ლეჩხ. სამაზრკომის დადგენილებით ა. წ. 2 ივნისს მოწვეულ იქნა ა. ლ. კ. კ. თემკომის მდივანთა თათბირი, რომლის დღის წესრიგში იდგა:

მოხსენებები ადგილებიდან და მოხსენება კომკავშირის მორიგ ამოცანებზე სოფლად.

თემკომის მდივნების ანგარიშების ირგვლივ კამათში მონაწილეობა მიიღო სულ 11 კაცმა, მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ადგილებზე, ჩვენი ორგანიზაცია აქტიურად მონაწილეობს კოლექტიურ მეურნეობათა მოწყობაში: მაგალითად: ალპანის თემში კომკავშირელების ინიციატივით დაარსებულა მეღორეთა კოლექტივი: მექვენის თემში კომკავშირელები კოლექტიურად ეხმარებიან ქვრივ ობლებს. აწყობენ საზოგადოებრივ მუშაობებს, (ამოაშრეს ჭაობი და სხვა), რაც გლეხობაში დიდ თანაგრძნობას და აღფრთოვანებას იწვევს.

გარდა ამისა თათბირმა აღნიშნა, რომ კომკავშირის წევრები მეტ მონაწილეობას ღებულობენ საბჭოების საქმიანობაში, მაგ. კომკავშირელ დეპუტატების თაოსნობით მექვენის თემაღმასკომმა გამოიწერა რადიო. ცაგერის თემის საბჭოში კომკავშირელები აყენებენ გზების შეკეთების საკითხს და დადგენილების შესასრულებლად ყველაზე ადრე გადიან სამუშაოდ.

მეორე საკითხზე მოხსენებით გამოვიდა სამაზრო კომიტეტის მდივანი ამხ. ბითაძე, რის შემდეგაც თათბირმა მიიღო მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი მომავალ მუშაობისათვის.

„ქვაბისკარელი".

საბჭოთა საქართველო

წერილები

გავაჯანსაღოთ საშეფო მუშაობა

ქალაქისა და სოფლის მშრომელთა დაახლოებას, მათ მჭიდროდ დაკავშირებას დიდი ხანია მიქცეული აქვს განსაკუთრებული ყურადღება. ასეთი დაკავშირების საქმეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საშეფო საზოგადოებებს. ქალაქის ამა თუ იმ წარმოება-დაწესებულების მუშა-მოსამსახურენი საშეფო კომისიების საშუალებით დაკავშირებული არიან რომელიმე სოფელთან და ამ სოფლის გლეხობას უწევენ დახმარებას კულტურულად წინსვლის საქმეში.

თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მშრომელი გლეხობისათვის საშეფო ორგანიზაციების მუშაობას, ამის შესახებ ჩვენ ამჟამად არაფერს ვამბობთ, მხოლოდ საჭიროა აღინიშნოს, თუ რამდენად ასრულებენ საშეფო ორგანიზაციები მათზე დაკისრებულ მოვალეობას. ამ მხრივ კი თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერი რიგზე არ არის, უმეტეს შემთხვევაში საშეფო ორგანიზაციები, მხოლოდ იმით კმაყოფილდებიან, რომ წელიწადში ერთხელ ან ორჯერ ისიც, რომელიმე დიდ დღესასწაულის დღეს ესტუმრება სოფელს რამოდენიმე ამხანაგი, გამართავს მიტინგს, ამ მიტინგზე შეფის წარმომადგენელი გააკეთებს ვრცელ მოხსენებას და ამით ზოგიერთ საშეფო ორგანიზაციას თავისი მოვალეობა შესრულებულად მიაჩნია.

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც საშეფო კომისიის წარმომადგენლები გლეხობას აძლევენ დიდ დაპირებებს მატერიალური დახმარების შესახებ, შემდეგში ეს დაპირება საშეფო ორგანიზაციების სიღარიბის გამო ვერ ხორციელდება და ეს კი ჩრდილს უტეხს მშრომელი გლეხობის თვალში ამ მნიშვნელოვან ორგანიზაციას.

მომავლისათვის რომ თავიდან ავიცილოთ ასეთი შეცდომები, საჭიროა საშეფო კომისიებმა წინასწარ შეიმუშაონ თავიანთი მუშაობის გეგმა, თუ რა უნდა აკეთონ მათ სოფლად.

ჩვენის აზრით საშეფო ორგანიზაციები თავიანთ მუშაობაში უნდა დაკმაყოფილდენ მხოლოდ იმით, რომ მათ ხელმძღვანელობა გაუწიონ მშრომელ გლეხობას კულტურულად წინსვლის საქმეში, გამოუწერონ ჟურნალ-გაზეთები და ლიტერატურა სამკითხველოებს, შესაძლებლობის ფარგლებში, ხშირად იქონიონ ცოცხალი კავშირი საშეფო სოფლებთან, მჭიდროდ დაუკავშირდენ ადგილობრივ ორგანიზაციებს და კულტურულ მუშაკებს და სხვ. უნდა ვერიდოთ აგრეთვე სოფლად საშეფო კომისიების წარმომადგენელთა ავტომობილებით მოგზაურობას და ასეთი მოგზაურობისათვის გასეირნების ხასიათის მიცემას.

ზაფხულის პერიოდი საუკეთესო დროა საშეფო ორგანიზაციების მუშაობის გამოცოცხლებისათვის და ეს დრო შესაფერისად უნდა გამოიყენონ ამ ორგანიზაციებმა.

გლეხკორი.

გახსენით კოოპერატიული სასადილო

მანგლისი, თბილისის მაზრა

დ. მანგლისში კოოპერატივის გამგეობას ჰქონდა კოოპერატიული სასადილო, სადაც აქაური მუშა-მოსამსახურეებს შედარებით შეღავათიან ფასებში შეეძლოთ სადილობა, მაგრამ ეს სასადილო გადაეცა კერძო არტელს, რომელიც პროცენტებს აძლევს გამგეობას. რაც დრო გადის სასადილოში ფასები მატულობს და თანაც სადილის ხარისხი უარესდება კერძო სასადილოებთან შედარებით.

მანგლისი, როგორც საგარაკო ადგილი, ზაფხულის სეზონში დასასვენებლად იზიდავს უამრავ მუშა-მოსამსახურეთ. ამიტომ რადგანაც აქ კოოპერატიული სასადილო არ არის, იძულებული ვხდებით ჩავარდეთ კერძო ვაჭრების კლანჭებში. თუ კერძო მოვაჭრეებს შეუძლიათ სასადილოების გახსნა და მოსაგების მიღება, ნუ თუ კოოპერატივისათვის საძნელო იქნებოდა მთელი წლის განმავლობაში თუ არა, ზაფხულის სეზონში მაინც გაეხსნა კოოპერატიული სასადილო, რომელიც მიაწოდებს მუშა-მოსამსახურეებს იაფ და საღ სადილს?

ვფიქრობ, რომ ამ გარემოებას მიექცევა ყურადღება და კოოპერატივი დაგვიხსნის კერძო მყვლეფელებისაგან.

ი. კ—ძე.

საავადმყოფოს კეთილმოწყობა

ალბულაღის რაიონი, თბილისის მაზრა

ალბულაღის საავადმყოფომ თვალსაჩინოდ გააფართოვა თავისი მუშაობა მას შემდეგ, რაც მას სათავეში ჩაუდგა ექიმი ამ. მკურნალი. წინეთ საავადმყოფოში მუშაობა არ იყო დაყოფილი სპეციალობის მიხედვით და მასთან მეტად მცირე იყო საწოლების რიცხვი. ამხ. მკურნალის ინიციატივით სპეციალობის მიხედვით მოეწყო: ქალთა სნეულების, ვენერიულ და კანის სნეულებათა, შინაგან ავადმყოფობის და კბილის საექიმო კაბინეტები, გარდა ამისა, აღსანიშნავია საავადმყოფოს მოწყობა—საჭირო ინვენტარით.

სოფლის ღარიბი მოსახლეობა, რომელსაც თავის სოფელში არასოდეს არ უნახავს ექიმი—გარდა სოფლის ექიმბაშისა, დღეს უაღრესად კმაყოფილია იმით, რომ საჭიროების დროს ექიმი ინახულებს მის სახლს და საექიმო დახმარებას აღმოუჩენს ავადმყოფობის დროს.

მომავალში ამხ. მკურნალს განზრახული აქვს სადეზინფექციო და საბანაო-სანიტ. განყოფილების გახსნა. გარდა ამისა ამხ. მკურნალი ხელმძღვანელობს სანიტარულ კომისიის მუშაობას, რომელიც თვალყურს ადევნებს სანიტარულ წესების დაცვას და ხშირად მართავს გლეხობაში საუბარს ჯანმრთელობის საკითხზე.

ბ. ნარიმანი.

დავეხმაროთ ხიდის გაკეთებაზე

თავასის თემი, შორაპნის მაზრა

ყველასათვის ცხადია, რომ თუ ხიდი არა გვქვს გაკეთებული, გზა რაც უნდა კარგი იყოს, გამოუსადეგარი ხდება, სამწუხაროდ თავასის თემში არც გზები არის დიდად სახარბიელო, მაგრამ ეხლა უხიდობა უფრო გვავიწროვებს. ამ თემში ჩადის მდ. ძუსა, სოფელ მუქერეთში მდინარეზე გვაქვს ხიდი, სადაც ერთდება რამოდენიმე მიმართულების გზები. სამი წელიწადია ხიდი დაზიანებულია, მაგრამ მის გაკეთებას არაფერი ეშველა. ეხლა სულ ჩატყდა და გლეხებს ურმით უხდება მდინარეში გასვლა. ამას წინად ერთ გლეხს, შოკონდა კოოპერატივის საქონელი, გადაუბრუნდა მდინარეში ურემი და რომ გლეხები არ მიშველებოდენ, დაიღუპებოდა. ამ ხიდის საფუძვლიანად გაკეთებას სჭირდება 80 კასრი ცემენტი.

საჭიროა შორაპნის სამაზრო აღმასკომი დაგვეხმაროს და გვიხსნას ამ გაჭირვებისაგან.

ივ. ცინცაძე.

გლეხკორთა წერილებიდან

გლეხკომი ნაყოფიერად მუშაობს

საკობოს თემი, სიღნაღის მაზრა

მას შემდეგ, რაც საკობოს სათემო გლეხკომის თავმჯდომარეთ აირჩიეს ამხ. ფ. ზედელაშვილი, გლეხკომის საქმიანობა ძალზე გამოცოცხლდა. გლეხკომმა მოაწყო მდინარე ალაზანზე ბორანი, გახსნა ხორცით სავაჭრო, ეხმარება ქვრივ-ობლებს და სხვ. მხოლოდ საჭიროა გლეხკომმა გახსნას პურის საცხობი, რომლის უქონლობით გლეხობა შევიწროვებულია.

გიო კანანელი.

დაზღვეულები ვერ სარგებლობენ

ამაღლების თემი, გურია

სოფ. სამებაში არის სახმედვაჭრობის აფთიაქი, საიდანაც დაზღვეული მუშა-მოსამსახურეებს უფასოდ არ ეძლევათ წამალი. ამის გამო დაზღვეულნი იძულებულნი არიან ან ფულით შეიძინონ, ანდა 7—8 ვერსის მანძილზე წავიდნენ უფასო წამლის მისაღებათ. საჭიროა სახმედვაჭრობამ სამების აფთიაქიდანაც მისცეს დაზღვეულებს წამალი უფასოდ.

სევ. კობიძე.

დროზე მიიღეთ ზომები

ქ. ოზურგეთი

ამას წინედ ქ. ოზურგეთის ელექტრო-სადგურში აფეთქდა მანქანა და მთელი ქალაქი უსინათლოდ დარჩა. განსაკუთრებით ფერხდება თეატრის მუშაობა. ელსადგური მოთავსებული იყო ქოხში და შეუფერებელ ადგილას. საჭიროა სამაზრო აღმასკომმა დროზე მიიღოს ზომები ახალი ელსადგურის ასაგებად.

ალ. ელენაშვილი.

მუშათა ცხოვრება

დღეს, საღამოს სრულ 8 საათზე, სახკინმრეწვის შენობაში (პლეხანოვის პრ. № 164) შესდგება გაზ. „კომუნისტი“-ს, „მუშა“-ს, და „ახალგაზრდა კომუნისტი“-ს მუშკორებისა და ასკორების გაერთიანებული კრება დღის წესრიგში სდგას ილია ერენბურგის მოთხრობის, „კომუნარის ჩიბუხი“-ს სცენარის განხილვა, მოხსენებას ამ საკითხზე წაიკითხავს რეჟისორი კ. მარჯანიშვილი. აღნიშნულ გაზეთებს მუშკორების დასწრება სავალდებულოა.

ჩვენ მუშკორებში

6 ივნისს, გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციის ბინაზე შესდგა ამავე გაზეთის მუშკორების და თბილისის ფაბრიკა-ქარხნების საწარმოო თათბირების თავმჯდომარეების გაერთიანებული კრება, რომელზედაც საწარმოო თათბირების და მუშკორთა ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ს. გოდაბრელიძემ.

მომხსენებელმა ვრცლად გააცნო დამსწრეთ საწარმოო თათბირების მნიშვნელობა და აღნიშნა, რომ საწარმოო თათბირებს წარმოებაში დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. მასში აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდეს მუშების ფართო მასა.

— საწარმოო თათბირები უნდა ტარდებოდეს მასიურად, რათა წარმოების ყველა დეფექტებზე და ნაკლულოვანებებზე, სალი წარმოდგენა ჰქონდეს მუშებს.— ამბობს მომხსენებელი. საწარმოო კომისიებს, რომლებიც წინასწარ ამზადებენ საწარმოო თათბირებისათვის მასალებს, იმდენად დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენადაც თვით საწ. თათბირებს.

დიდი შედეგები მოგვცა აგრეთვე საამქრო საწარმოო თათბირებმა, რამაც მუშები და მუშა-ქალები აამოქმედა და მიაღებინა აქტიური მონაწილეობა წარმოების გაჯანსაღების საქმეში. საწარმოო თათბირზე უნდა გაირჩეს წარმოების პროდუქციის თვითღირებულების გაცნობა, ხუთწლიანი გეგმის წინასწარი განხილვა. და მთელი რიგი სხვა საკითხებისა, რომლებიც დაკავშირებულია წარმოების გაუმჯობესებასთან.

საწარმოო თათბირებზე გამოტანილი დადგენილებები, რომელიც კონკრეტიულ ფაქტებზე უნდა მიუთითებდეს, შეუცვლელად და დაუყოვნებლად უნდა ტარდებოდეს ცხოვრებაში. ადმინისტრაციამ ანგარიში უნდა გაუწიოს საწარმოო თათბირების დადგენილებებს და მიიღოს ზომები მის ცხოვრებაში გასატარებლად.

შემდეგ მომხსენებელი ეხება მუშა გამომგონებლობას და ამბობს, რომ ადმინისტრაციამ და პროფორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ მუშა გამომგონს და მისცენ საშუალება თავისი გამოგონების განსახორციელებლად. არც ერთი მუშის წინადადება უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს. მუშკორები ფხიზელ თვალყურს უნდა ადევნებდნენ საწ. თათბირების მუშაობას და ამჟღავნებდნენ გაზეთებში მის დადებით და უარყოფით მხარეებს.

მომხსენებელს მისცეს მრავალი საქმიანი შეკითხვები, რაზედაც ამხ. გოდაბრელიძემ ამომწურავი და დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

ვანო.

მბეჭდავთა კავშირის ადგილკომების საქალაქო კონფერენცია

ხუთშაბათს, 7 ივნისს მუშათა ახალ კლუბში შესდგა მბეჭდავთა კავშირის ადგილკომების წევრთა და პროფაქტივის საერთო საქალაქო კონფერენცია. კონფერენციის დღის წესრიგში იდგა საკითხი ადგილკომების გადარჩევის შედეგებისა და მომავალი მუშაობის გეგმის გამომუშავების შესახებ. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა ცენტრალური გამგეობის მდივანმა ამხ. ა. ფანცულაიამ. მომხსენებელმა კონფერენციას გააცნო, თუ როგორ ჩატარდა ადგილკომების გადარჩევა, როგორი მიღწევები აქვთ ადგილკომებს განვლილ მუშაობაში და რა დეფექტები იქნა შემჩნეული საერთო მუშაობაში.

მომხსენებლის სიტყვით თითქმის ყველა ადგილკომების მუშაობაში ადგილი ქონდა ამა თუ იმ ნაკლულოვანებებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ადგილკომებთან არსებულ სხვადასხვა კომისიების სუსტი მუშაობა, მუშათა საერთო კრებების ხშირ-ხშირად მოწვევა და ამ კრებებზე რამოდენიმე საკითხების ერთად დასმა, რაც ღლის მუშებს და იწვევს მათი ინიციატივის მოდუნებას.

მომავალი მუშაობის გასაჯანსაღებლად მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია შემდეგი ღონისძიებების გატარება: საერთო კრებების მოწვევა არა უმეტეს თვეში ერთისა. ამ კრებებზე მხოლოდ და მხოლოდ მნიშვნელოვანი საკითხების დასმა, როგორიცაა მაგალითად ადმინისტრაციის მოხსენება, საბჭოს მუშაობის ანგარიშის მოსმენა, ადგილკომების საანგარიშო მოხსენებები და სხვა. ამასთან ერთად კრებებზე უნდა დაისვას მხოლოდ ერთი ან ორი საკითხი; დიდ წარმოებებში სადელეგატო კრებების შემოღება და აგრეთვე ცალკე ცეხების მუშათა კრებების მოწვევა, ადგილკომებმა უნდა მიიღოს ზომები საერთო კრებების მიერ გამოტანილი დადგენილებების ცხოვრებაში გასატარებლად და მომავალ კრებას აუცილებლად უნდა ეცნობოს, თუ რა ბედი ეწია წინა კრების დადგენილებას.

მომხსენებელი ვრცლად შეეხო საწარმოო თათბირების შემფასებელ—საკონფლიქტო, შრომის დაცვის და კულტურულ კომისიების სუსტ მუშაობას. არის შემთხვევები, როდესაც საკონფლიქტო კომისიაში თვეობით აგვიანდება საკონფლიქტო საკითხების მოგვარება და ეს ხდება მაშინ, როდესაც ადმინისტრაციას დებულების თანახმად არა აქვს უფლება სამ დღეზე მეტი დააგვიანოს კონფლიქტის განხილვა. შრომის დაცვის კომისიები კი თითქმის არაფერს აკეთებენ. ცენტრ. გამგეობა აუცილებელ საჭიროდ სცნობს საწარმოო თათბირების მუშაობის გაჯანსაღებას, შრომის კონფლიქტების დროზე მოგვარებას, შრომის დაცვის წესების მტკიცედ განხორციელებას, ხოლო კულტურული მუშაობის გადატანას უმთავრესად მუშათა კლუბში.

მომხსენებელს მისცეს მრავალი შეკითხვები, რომელზედაც სათანადო პასუხის გაცემის შემდეგ კონფერენციამ ერთხმად მიიღო ცენტრალურ გამგეობის მიერ გამომუშავებული პრაქტიკული წინადადებანი.

დამსწრე.

როდის შესრულდება დადგენილება

დიდიან საწარმოო თათბირების დაარსებისა, რკინის გზის მთავარ სახელოსნოს ტენდერების განყოფილებაში უნდა დადგმულიყო ხელის პატარა პრესი და ღუმელი, რომელიც დიდ ეკონომიას იძლევა და შრომის პირობებსაც აუმჯობესებს. მაგრამ გადის მესამე წელიწადი და ამ დადგენილების გატარებას არაფერი ეშველა.

ადმინისტრაცია ამის მიზეზად სხვადასხვა ზოგად პირობებს აყენებს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ასეთი პირობები ყოველთვის იქნება და ამგვარად საწარმოო თათბირის დადგენილება არასოდეს არ გატარდება ცხოვრებაში.

ადგილკომმა უნდა მიიღოს გადამწყვეტი ზომები საწარმოო თათბირის დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად.

ვ. ნ. ბ.

მუშკორთა წერილებიდან

დანიშნეთ შავი მუშა. 26 კომუნარის სახელობის ქარხნის საწოლების საამქროში, არც ერთი შავი მუშა არ მუშაობს. საწოლების ერთ ადგილიდან მეორე ადგილზე გადატანა უხდებათ თვით ხელოსნებს, რის გამო ისინი სცდებიან წარმოებას.

ქ. მერისპირელი.

რათ მისცეს ხელფასი. ყოფ. „ზაკპოგრუზი“-ს საბაჟო განყოფილებაში მუშაობს ვინმე შ. ხოფერია, რომელმაც 18, 19 და 20 მაისი გააცდინა, მაგრამ ხელფასი მაინც მიიღო. ამ დღეებში იგი მონაწილეობას ღებულობდა ერთერთ კინო სურათის გადაღებაში, რისთვისაც მან შესაფერი ჯილდოც მიიღო, საკვირველია რად მისცეს მოქ. შ. ხოფერიას ორმაგი ხელფასი?

ჩაქურით დამსწრე.

გამგეობა არაფერ შუაშია

გაზ. „კომუნისტი“-ს მე-120 ნომერში მოთავსებულია „ლეგ“-ის წერილი სათაურით „გამოიკვლიეთ მათი მუშაობა“ წერილი ეხება საბინაო საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობის № 18 სახლის გამგეობის უკანონო მოქმედებას. აღნიშნული სახლის გამგეობა გაცნობებთ, რომ სახლიდან რამოდენიმე პირის გადასახლება მოხდა არა გამგეობის რომელიმე წევრის მოთხოვნილებით, როგორც ეს არის ნათქვამი წერილში, არამედ მცხოვრებთა საერთო კრების დადგენილებით. რაც შეეხება რუხაძის ბინას, რომელიც წარმოადგენს სივრცით 12 კვ. მეტრს, იმყოფება მესამე სართულზე და მას არ უდგება არც წყალი, არც საპირფარეშო და არა აქვს არც სამზარეულო. ამ ოთახში ცხოვრობდენ ძმები იოსებ და ანდრო რუხაძეები. იოსებ რუხაძე ოჯახური მდგომარეობის გამო გადავიდა საბჭოთა ქ. № 77-ში. მის ოთახში დარჩა მისი ძმა ა. რუხაძე და არა კ. რუხაძე, რომელიც სამიწელიწადია თბილისში არ იმყოფება და არც არავითარი ბინა არ უკავია. ისე რომ ერთი და იმავე პირების მიერ ორ ადგილზე ბინის დაკავებას ადგილი არა აქვს.

სახლის გამგეობა..

თათბირი დედობისა და ბავშთა დაცვის შესახებ

კამათი დედობისა და ბავშთა დაცვის საკითხების გარშემო

ა.-კ. რესპუბლიკების ჯანსახკომების წარმომადგენელთა მოხსენებებმა დედობისა და ბავშთა დაცვის მდგომარეობის შესახებ დელეგატებს შორის გაცხოველებული აზრთა გაცვლა გამოიწვია. ორატორები ერთხმად აღნიშნავდენ, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მიღწეულობის და ხალხის მეურნეობის განვითარებას ფეხდაფეხ ვერ მისდევს დედობის ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესება, თუმც წინა წლებთან შედარებით წარმატება დედობისა და ბავშთა დაცვის დარგში შესამჩნევია. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ბიუჯეტში და აგრეთვე ადგილობრივ ბიუჯეტში ამ საქმისათვის გაღებული თანხა ჯერ კიდევ უმნიშვნელო პროცენტს შეადგენს, ამით აიხსნება ის, რომ დედობისა და ბავშთა დაცვის ორგანიზაციების ქსელი თანდათანად ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ბავშთა ბაგები მსხვილ სამრეწველო ცენტრებს გარდა თითქმის არსად არ არის მოწყობილი, სოფელზე კი ლაპარაკიც მეტია. შედარებით მეტია ბავშთა და დედათა კონსულტაციების რიცხვი ყველა რესპუბლიკებში, მაგრამ მათ არა ჰყავთ კვალიფიციური მომზადებული ძალები, და არც ნივთიერად არიან უზრუნველყოფილი, ამის გამო მათი მუშაობის ხარისხი დაბალია, ამ დაწესებულებათა საქმიანობა მეტ წილად საექიმო დახმარებას არ სცილდება. პედაგოგიურ აღზრდას ძალიან ნაკლები ყურადღება ექცევა, რაც ამ დაწესებულების თავის მთავარ დანიშნულებას უკარგავს და ჰოსპიტალურ ხასიათს აძლევს. საბავშო ბაგებს, კონსულტაციების დანიშნულება მარტო ბავშის ფიზიკური დაცვა კი არ არის, არამედ მისი გონებრივ-ზნეობრივი აღზრდაც. ამიტომ მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს პედაგოგიურ მუშაობის გაძლიერებას ამ დაწესებულებებში, რომლებმაც მიზნად უნდა დაისახონ თავისი გავლენა გაავრცელონ წარმოებებსა და დაწესებულებებს გარეთაც მუშების ოჯახებზე. ორატორები აყენებენ საკითხს კვალიფიციური ძალების მომზადების შესახებ, ურომლისოდაც მათ წარმოუდგენლად მიაჩნიათ ამ საქმის წარმატება. ერთი მტკივნეული საკითხთაგანია აგრეთვე დ. ბ. დაცვის ორგანოებისათვის შესაფერი შენობების უქონლობა. ამიტომ ახალი მშენებლობის დროს აუცილებლად გათვალისწინებულ უნდა იქნეს მათი საჭიროებაც. შემდეგ ორატორები საზგასმით აღნიშნავენ საზოგადოებრივ და პროფესიონალურ ორგანიზაციების სუსტ მონაწილეობას ამ საქმეში. დღემდე კოოპერაციას თავის მოგებიდან ერთი პროცენტიც არ გადაუდვია დ. ბ. დაცვისათვის. დელეგატები მოითხოვდენ, რომ ყველა სამეურნეო ორგანიზაციების გეგმებში შედიოდეს ამ საკითხის მოწესრიგება. შემდეგ დელეგატების აზრით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დ. ბ. ორგანოების მოწყობას და მათი მუშაობის გაუმჯობესებას სოფლად, სადაც ამ საკითხის მოგვარებას დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მხრივ, რომ ქალს საშუალებას აძლევს აქტიური მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და სასოფლო მეურნეობის მშენებლობაში. ორატორების აზრით, უნდა დაწესდეს ის სტრუქტურა და შტატი სოფლად არსებულ ბ. დ. ორგანოების სახელმძღვანელოდ. ზოგიერთი ამხანაგები მიუთითებენ აგრეთვე, რომ კოლექტიურ მეურნეობებთან აუცილებლად მოეწყოს რამოდენიმე საბავშო ბაგა. ყველა ღონისძიების გასატარებლად ორატორებს აუცილებლად მიაჩნიათ თანხების გადიდება დ. ბ. დაცვის ორგანოებისათვის, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის, ისე ადგილობრივი ბიუჯეტის მიხედვით.

მესამე დღის დილის სხდომაზე მომხსენებლებმა პასუხი გასცეს ორატორებს და გაიზიარეს მათ მიერ წამოყენებული დებულებები.

თათბირის მესამე დღეს, 12 ივნისს, დილით მოსმენილი იქნა ექ. მარკოზოვის მოხსენება დედობის ურთიერთ დაზღვევის შესახებ.

დედების ურთიერთ დაზღვევა

(მომხსენებელი ექ. მარკოზოვი)

ჩვენში,—ამბობს მომხსენებელი,—ბავშთა სიკვდილიანობის, მთავარი მიზეზი არის დედების ნაკლებ ნივთიერი უზრუნველყოფა—ორსულობის დროს (მშობიარობამდე) და ძუძუმწოვარი ბავშის კვების პერიოდში. მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ რამდენად უკეთესია დედის ნივთიერი კეთილდღეობა, იმდენად ნაკლებია ბავშთა სიკვდილიანობა. დედების ნივთიერი უზრუნველყოფილობა არის აგრეთვე ერთი მთავარი მიზეზი ბავშების მიგდებისა. სტატისტიკური აღრიცხვით დადასტურებულია, რომ მიგდებულ ბავშთა შორის ყოველწლიურად სიკვდილიანობა 40—50 პროცენტს აღწევს. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დედების დაზღვევას ფართო ხასიათი მიეცა. შრომის კანონმდებლობით დაზღვეულნი არიან ყველა მუშა და მოსამსახურე ქალები და აგრეთვე მუშების და მოსამსახურეთა ცოლები. ყველა ფიზიკური შრომის მუშა-ქალი თავისუფლდება სამუშაოდან მშობიარობამდე 8 კვირით ადრე და მშობიარობის შემდეგაც ამავე ვადით. ხოლო მოსამსახურე ქალები ექვს-ექვსი კვირით მშობიარობამდე და მშობიარობის შემდეგ. ევროპიულ ქვეყნებთან შედარებით დედობის დაცვის საქმეში ამ მხრივ საბჭოთა კავშირს აქვს ყველაზე მეტი მიღწევა. მაგრამ სახელმწიფოს სოციალური დაზღვევა არ ვრცელდება ქალთა მოსახლეობის დიდ უმრავლესობაზე; მის გარეშე დარჩენილნი არიან გლეხი-ქალები, შინ მოსამსახურე ქალები, შინამრეწველთა ცოლები და სხვ. ეს მაშინ, როცა გლეხი-ქალები—მშობიარობის დროს ყველაზე მეტად საჭიროებენ დაზღვევას, რადგან მუდმივი ხელფასის უქონლობის გამო ისინი მოკლებულნი არიან საშუალებას წინდაწინ დააგროვონ მარაგი ამ პერიოდისათვის. ოჯახის მეურნეობა მათგან მოითხოვს გვიან შესწყვიტონ საქმიანობა (მშობიარობამდე) და ადრე მიჰკიდონ ხელი მშობიარობის შემდეგ. ეს გარემოება, რასაკვირველია, ცუდად მოქმედებს, როგორც დედის, ისე ბავშის ჯანმრთელობაზე.

მარტო რჩევა-დარიგების მიცემა სოფლის ქალებისათვის იმის შესახებ, რომ დიდი მუშაობით თავს ძალა არ დაატანონ, ცხადია, ვერავითარ ნაყოფს ვერ გამოიღებს. საჭიროა სოფლის ქალების ნივთიერი უზრუნველყოფა. ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია დედობის და ბავშთა დაცვის ორგანიზაციების მესამე საკავშ. ყრილობამ, რომელმაც ერთად-ერთი გამოსავალი ჰპოვა ქალთა მასების ამოქმედებაში და დედების ურთიერთ დამხმარე სალაროების მოწყობაში. საბჭოთა რუსეთში ერთი წელიწადია უკვე სწარმოებს მუშაობა ქალთა საურთიერთო დაზღვევის სალაროების მოსაწყობად.

პირველ ხანებში ურთიერთ დაზღვევა ჩვენში უნდა მოეწყოს მოწინავე რაიონებში და შემდეგ თემებში. საწევრო გადასახადი უნდა დაწესდეს ჩვენი გლეხობის ქონებრივი მდგომარეობასთან შეფარდებით. სალაროს პირველი და მთავარი დანიშნულება იქნება ფულადი დახმარების გაცემა დედებისათვის მშობიარობის დროს და ბავშის კვების პერიოდში; ხოლო სალაროების ქონებრივი მოღონიერების შემდეგ შეიძლება დაარსდეს დ. ბ. დაცვის ფონდები, რომელიც მშობიარეთა დახმარების გარდა შეიძლება მოხმარდეს საბავშო დაწესებულებათა მოწყობას და შენახვას. სალაროს წევრებად უნდა იქნენ ქალები, რომელთა ხასაკი დედობის პერიოდს შეეფერება. გადასახადი უნდა იქნეს იმდენად მეტი თითეულ ქალზე, რამდენად მისი ხასაკი მშობიარობის მეტ შესაძლებლობას იძლევა. ყოველ შემთხვევაში საწევრო ანარიცხებით შეგროვილი თანხა ნაკლები არ უნდა იქნეს გასაცემ პრემიების რაოდენობაზე. დედების ურთიერთ დამხმარე სალაროების ორგანიზაციას უნდა შევუდგეთ ამ თავიდანვე, მაგრამ აქედანვე საჭიროა დიდი სიფრთხილე. უმჯობესია პირველად სალარო მოეწყოთ მხოლოდ ორ-სამ მაზრაში, და მხოლოდ პირველი ცდის შემდეგ, მიღებული გამოცდილების მიხედვით, ხელი მოვკიდოთ დედების საურთიერთო დაზღვევის სალაროების ქსელის გაფართოებას.

სკოლის ხასაკამდე აღზრდა ა.-კ. რესპუბლიკაში

გუშინ დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა აგრეთვე აზერბეიჯანისა და სომხეთის განათლების სახ. კომისარიატების წარმომადგენელთა მოხსენებები სკოლის ხასაკამდე აღზრდის მდგომარეობის შესახებ.

აზერბეიჯანში

სკოლის ხასაკამდე აღზრდის საქმის მოწყობა აზერბეიჯანში, მომხსენებელ ბილინტიანის ცნობით, იწყება აზერბეიჯან გასაბჭოების პირველ წლებშივე. პირველ სამ წელიწადს სკოლის ხასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა მოწყობას ქონდა შემთხვევითი ხასიათი. ასე თუ ისე გეგმიანი მუშაობა ამ დარგში დაიწყო 1925 წლიდან. ამჟამად ბაქოში მოწყობილია სკოლის ხასაკამდე აღზრდის 36 დაწესებულება, ხოლო აზერბეიჯანის მაზრებში—17. ამ საქმეში დიდ ინიციატივას იჩენს საბჭოთა საზოგადოებრივობა, პროფესიონალური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. სკოლის ხასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა ერთი მესამედი მოწყობილია და ინახება ამ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა თაოსნობითა და დახმარებით. განათლების სახ. კომისარიატის ბიუჯეტში სკოლის ხასაკამდე აღზრდას უმნიშვნელო ადგილი უჭირავს. ბიუჯეტში მტკიცედ არ არის გარკვეული, თუ რა უნდა დაიხარჯოს ამ საქმეზე. სკოლის ხასაკამდე აღზრდის დაწესებულებების, ქონებრივ უსახსრობის გარდა, აბრკოლებს კვალიფიციური ძალების ნაკლებობა. მხოლოდ ერთი წელიწადია გაიხსნა სპეციალური ტექნიკუმი, რომელიც ამზადებს თურქ ქალებს სკოლის ხასაკამდე აღზრდის საქმისათვის. მეორე მნიშვნელოვანი დაბრკოლებას წარმოადგენს შესაფერი შენობების და მოედნების უქონლობა. ხშირად თანხა საბავშო ბაღის, ან სახლის მოსაწყობად არის, მაგრამ ძნელი გამოსანახია შესაფერი შენობა.. ამიტომ ახალი საბინაო მშენებლობის დროს ჩვენ აქ ვაყენებთ ლოზუნგს სასკოლო შენობის, საცხოვრებელი სახლის, საკლუბო შენობის აგების და მთელი მუშათა საცხოვრებელ კვარტალის გაშენების დროს დავიწყებული არ იქნეს საბავშვო სახლების მოწყობის საჭიროება. ამის შესახებ საჭიროა თვით თათბირმაც გამოიტანოს დადგენილება, განათლების ხუთწლიანი გეგმის შედგენის დროს ჩვენ უყურადღებოდ არ დაგვრჩება სკოლის ხასაკამდე აღზრდის საქმე და მისი განვითარება შეუფარდეთ ჩვენ ეკონომიურ შესაძლებლობას. თუ ამჟამად სკოლის ხასაკამდე აღზრდის დაწესებულებანი სამსახურს უწევენ ბავშვთა მოსახლეობის მხოლოდ 1.05 პროც. ხუთი წლის შემდეგ ამ დაწესებულებაში ჩაბმული უნდა იქნენ ბავშვთა 10 პროცენტი.

სომხეთში

სკოლის ხასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა განვითარების დაახლოებით იმავე სურათს იძლევა სომხეთის განსახკომის წარმომადგენელი ამხ. დერბარიანი.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში სკოლის ხასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა მოწყობა სომხეთშიაც უგეგმოთ სწარმოებდა, ადგილები ანგარიშს არ უწევდენ რესპუბლიკის ეკონომიურ მდგომარეობას, უხვად აწყობდენ ასეთ დაწესებულებებს. მაგალითად, 1923—24 წლამდე მთელ სომხეთში მოწყობილ იქნა 30 სკოლის ხასაკამდე აღზრდის დაწესებულება. მტკიცე ბიუჯეტის შედგენის შემდეგ დაწესებულებათა რიცხვი კლებულობს და 1925 წლისათვის მათი რიცხვი უკვე 10 არ აღემატება. შემდეგი წლიდან ისევ იწყება სკოლის ხასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა ზრდა და მიმდინარე წელს უკვე მათი რიცხვი უდრის 50-ს.

აღსანიშნავია საზოგადოებრივ ორგანიზაციების აქტივობა ამ დარგში. 15 დაწესებულება მოწყობილია და არსებობს პროფესიონალური და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების თაოსნობით. და მათ ხარჯზე, საბავშო ბაღებს აწყობენ თვით მშობელთა წრეებიც. ამ დაწესებულებათა მნიშვნელობა შეგნებული აქვთ აგრეთვე სოფლებსაც, რომელნიც მოითხოვენ მათ მოწყობას. მაგრამ თანხების სიმცირე, კვალიფიციური მუშა ხელის უქონლობა ჯერ ჯერობით ქსელის გაფართოების საშუალებას არ იძლევიან. განათლების სახალხო კომისარიატის ბიუჯეტში სკოლის ხასაკამდე აღზრდის ხარჯები მცირეა და არც სახსრებით გამორკვეულია მისი რაოდენობა. განათლების ხუთწლიანი გეგმა, სხვათა შორის, ითვალისწინებს სკოლის ხასაკამდე აღზრდის ქსელის გაფართოებას იმ დონემდე, რომ ხუთი წლის შემდეგ სომხეთის სკოლის ხასაკამდე აღზრდის დაწესებულებებმა შესძლონ სამსახური გაუწიონ ბავშვთა მოსახლეობის ათ პროცენტს.

შრომის პირობების გაუმჯობესება

სამთო მრეწველობაში

სამთო მრეწველობის მუშათა კავშირმა სამთო მრეწველობის ტრესტთან დასდო ხელშეკრულება მუშათა შრომის პირობების გაუმჯობესების შესახებ.

ამ ხელშეკრულების ძალით სამთო მრეწველობის ტრესტი ვალდებულია მიმდინარე წლის 1-ლ სექტემბრამდე სამთო მრეწველობაში შრომის პირობების გასაუმჯობესებლად ჩაატაროს შემდეგი ღონისძიებანი:

ტყიბულის ქვა-ნახშირის მაღაროებში მოაწყოს სამთო მშველელი სადგური; მამამწინდის და საბრეშლის ბარიტის დასამუშავებელ ადგილებზე ააგოს მუშათა საერთო საცხოვრებელი სახლები, რომლებშიაც მოწყობილი უნდა იქნეს სასადილო და სამკითხველოები.

საკავშირო სამეცნიერო კომისიის გამოკვლევის მიხედვით და შრომის სახალხო კომისარიატის ზედამხედველობით სამთო მრეწველობის ტრესტს ევალება: ტყიბულის მაღაროებში, სადაც სანიტარულ-ჰიგიენური პირობები ცუდია და გახშირებულია ტრავმატიზმის შემთხვევები, დაიდგას და სხ.,—მიიღოს სათანადო ზომები შრომის პირობების გასაუმჯობესებლად და აგრეთვე სავსებით დაიცვას შრომის პირობები ჭიათურის მაღაროებში.

გარდა ამისა სამთო ტრესტი მოვალეა ააგოს ახალი დამხმარე შენობები ყანდარის თიხის საქრულ რაიონში. ყველა ამ ადგილებში შრომის პირობების გასაუმჯობესებლად სამთო ტრესტმა უნდა დახარჯოს 32.916 მანეთი.

ამჟამად შრომის ინსპექცია იკვლევს შრომის პირობებს სამთო ტრესტის მთელ რიგ შემდეგ წარმოებებში, რის შემდეგ სამთო ტრესტთან დადებული იქნება დამატებითი ხელშეკრულება.

ტელეფონი და ტელეგრაფი მაზრებში

ზემო-სვანეთის აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა ფოსტა-ტელეგრაფის ამიერ-კავკასიის ოლქის სამმართველოს წინაშე, რათა გაყვანილ იქნეს ზემო-სვანეთის მაზრის მსხვილ პუნქტებსა და ზუგდიდსა და მესტიას შორის პირდაპირი სატელეგრაფო კავშირი. ტელეგრაფის გასაყვანად სვანეთის აღმასკომი ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს აძლევს სესხს სამუშაოების ღირებულების 60 პროც. რაოდენობით. მაზრის ფარგლებში სატელეგრაფო კავშირი გაყვანილი უნდა იქნეს სვანეთის მაზრის მსხვილ ცენტრებს შორის როგორიც არის ბეჩო, ლატალი, მესტია და ეცერი.

ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომ მოახდინა საჭირო გამოკვლევა, რომელმაც გამოარკვია, რომ სატელეგრაფო კავშირის გასაყვანად საჭირო იქნება 1.568 სატელეგრაფო ბოძი და მავთულების გაბმა 98 კილომეტრის მანძილზე.

ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომ თანხმობა განაცხადა შეასრულოს ეს სამუშაო, თუ სვანეთის აღმასკომის მიერ გაცემული იქნება სესხი 18.000 მანეთის რაოდენობით.

ტელეფონი ბორჯომ-ხაშურის შორის

ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველო შეუდგა ბრინჯაოს სატელეფონო კაბელის გაბმას ხაშურსა და ბორჯომს შორის, 30 კილომეტრის მანძილზე, ამრიგად, ბორჯომი შეერთებული იქნება საერთო-საკავშირო სატელეფონო სისტემასთან და მოაგარაკეებს საშუალება ექნებათ უშუალო კავშირი იქონიონ საბჭოთა კავშირის მსხვილ ცენტრებთან. ბორჯომში მოწყობილი იქნება საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგური.

საექსპ.-სატრანსპ. აპარატების ლიკვიდაცია

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოიკვლია და შეისწავლა საკითხი სამეურნეო ორგანიზაციების საექსპედიციო სატრანსპორტო აპარატების გაუქმების შესაძლებლობისა და მათი ფუნქციების საბჭოთა-სავაჭრო ფლოტისა და ამიერ-კავკ. რკინისგზის ქალაქის სადგურებისათვის გადაცემის შესახებ.

ინსპექციამ აღნიშნა, რომ ზოგიერთი სამეურნეო ორგანიზაციები გვერდს უვლიან სპეციალურ სატრანსპორტო-საექსპედიციო დაწესებულებებს და სარგებლობენ კერძო კანტორებით ან საკუთარ სატრანსპორტო აპარატით, რაც ძვირი ჯდება, მუშათა და გლეხთა ინსპექციამ განიხილა სამეურნეო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი ცნობები ტვირთბრუნვისა და მათი მუშაობის ხასიათის შესახებ და პრინციპიალურად მიზანშეწონილად და აუცილებლად სცნო გაუქმებული იქნეს სამეურნეო ორგანოების სატრანსპორტო აპარატები და მათი ფუნქციები გადაეცეს არსებულ სატრანსპორტო საექსპედიციო დაწესებულებებს.

ამავე დროს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ აღნიშნა, რომ სრულიად დაუშვებელია კერძო კანტორების აპარატის გამოყენება სამეურნეო ორგანოების მიერ. იმ მიზნით, რომ პრაქტიკულად განხორციელებული იქნეს სატრანსპორტო-საექსპედიციო სამუშაოების სათანადო სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის გადაცემა, ამიერ-კავკ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ წინადადება მისცა რესპუბლიკანურ მუშათა და გლეხთა ინსპექციებს შეადგინონ იმ სამეურნეო ორგანოების სია, რომლებიც სარგებლობენ კერძო კანტორებით, და აგრეთვე იმ სამეურნეო ორგანოების სია, რომელთაც აქვთ სპეციალური საექსპედიციო აპარატები; ამასთანავე გამორკვეული უნდა იქნეს ამ აპარატების ფუნქციების საბჭოთა-სავაჭრო ფლოტისა ანდა ქალაქის სადგურებისათვის გადაცემის ფაქტიური შესაძლებლობა.

კერძოდ, ამიერ-კავკ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობას წინადადება მიეცა გააუქმოს საკუთარი საექსპედიციო აპარატი თბილისში. ამავე დროს კოლეგიამ წინადადება მისცა საბჭოთა-სავაჭრო ფლოტს და ქალაქის სადგურებს მიიღონ სასწრაფო ზომები თავისი აპარატის რაციონალიზაციისათვის და სხვადასხვა საექსპედიციო სამუშაოების ღირებულების ერთიანი და მტკიცე განაკვეთების გამოსამუშავებლად.

საგლეხო სესხის ტირაჟის წინ

ხვალ ქუთაისში დაიწყება გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის პირველი ტირაჟი, გათამაშებული იქნება სულ 1356 მოგება, მოგებათა ჯამი უდრის 87.500 მანეთს. მოგებათა შორის არის: 1 მოგება—1.000 მანეთიანი, 5 მოგება—500 მანეთიანი, 300 მოგება 100 მანეთიანი და 1080 მოგება თითო 50 მანეთიანი.

ტირაჟზე, სატირაჟო კომისიის წევრების სახით, მონაწილეობას მიიღებს გლეხების 10 დელეგატი (6 საქართველოდან, 3 სომხეთიდან და 1 აზერბეიჯანიდან). მოგების მიღების გაადვილების მიზნით, მოგებათა განაღდებას აწარმოებენ სახელმწიფო ბანკის დაწესებულებები, ფინსახკომის სალაროები, შემნახველი სალაროები, ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებები და ყველა საკრედიტო დაწესებულებები. გარდა ამისა თვით ტირაჟის ადგილზე სახ. ბანკის ქუთაისის განყოფილება მოაწყობს სპეციალურ კიოსკს, სადაც იწარმოებს მოგებათა განაღდება და ცნობების გაცემა სესხების შესახებ.

ტირაჟის ტექნიკა

ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის სახელმწიფო სესხების განყოფილების გამგემ ამხ. ბრიცფუხმა მომავალი ტირაჟის ტექნიკის შესახებ ჩვენს თანამშრომელს შემდეგი აცნობა:

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის მომავალი პირველი ტირაჟი ქუთაისში ისე იქნება მოწყობილი, რომ ყველა მსურველს შეეძლება პირადათ გაეცნოს მისი წარმოების წესებს. ტირაჟის დაწყების წინ სატირაჟო ბილეთებს აითვალიერებენ და ვაზნებში აწყობენ სატირაჟო კომისიის წევრები, რომლებთაც თვალყურს ადევნებენ მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლები და მთელი დამსწრე საზოგადოება. დამსწრე საზოგადოებიდან ესტრადაზე გამოყვანილი იქნება ჯგუფები 15—20 კაცის შემადგენლობით, ტირაჟის ტექნიკასთან გასაცნობათ. თვითეული ჯგუფი ესტრადაზე დარჩება 5—10 წუთი, რის შემდეგ მას შესცვლის შემდეგი ჯგუფი. ამრიგად ტირაჟის მოსამზადებელ მუშაობას პირადათ გაეცნობა რამოდენიმე ასეული მოქალაქე.

ვაზნების სატირაჟო ყუთში ჩაწყობის დამთავრებისთანავე, ყუთთან დაყენებული იქნება შეიარაღებული ყარაული, რომელიც შეუწყვეტლივ იდგომება ყუთთან ტირაჟის დამთავრებამდე.

სატირაჟო კომისიის თავმჯდომარის შემდეგ სატირაჟო ყუთი დაბეჭდილი იქნება ლუქის ბეჭდით, რომლის ერთი ანაბეჭდი გადაეცემა სატირაჟო კომისიას, ხოლო მეორე ანაბეჭდი ყარაულის უფროსს.

მეორე სხდომის დაწყების წინ ამ ბეჭედს ამოწმებენ.

ვაზნების ყუთიდან ამოსაღებად საბავშო სახლებიდან გამოყვანილი იქნებიან ბავშვები არა უმცეს 8 წლისა.

ყუთიდან ამოღებულ ვაზნებს ბავშვები გადასცემენ სატირაჟო კომისიას. უკანასკნელი ვაზნიდან ამოიღებს სატირაჟო ბილეთს და უჩვენებს კომისიის ყველა წევრს და დამსწრე საზოგადოებას. გარდა ამისა ეს ნომრები გამოქვეყნებული იქნება სამჯერ და სპეციალური თანამშრომლების მიერ ჩაიწერება სამ ჟურნალში, სამ სიაში და ერთ საკონტროლო წიგნში. ამრიგად ერთი და იგივე ნომერი ჩაწერილი იქნება 7 საბუთში.

სამზადისი ქუთაისში

(ტელეფონით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ქუთაისს განსაკუთრებული გამოცოცხლება ეტყობა. ერთი დღის შემდეგ იწყება საგლეხო სესხის ტირაჟი. ქალაქის ქუჩები აჭრელებულია პლაკატებით და ფურცლებით. საზოგადოება დიდათ დაინტერესებულია. ასეთივე სურათია სოფლად. განსაკუთრებით გამოყოფილმა აგიტ-კომისიამ 12 ივნისს, თქვენს თანამშრომელთან ერთად შემოიარა მაზრის თემები და [illegible]: მაღლაკი, გუბი, კუხი, ხონი, [illegible] და სხვ. გლეხები ყველგან აღფრთოვანებით ხვდებიან ცნობას სესხის ადგილობრივ გათამაშების შესახებ. გლეხთა განწყობილების მიხედვით სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ გათამაშების დღეებში კვლავ მრავალი ობლიგაცია იქნება გასაღებული.

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ინდუსტრიალიზაციის, ისე საგლეხო სესხის განაღდების საქმეში ქუთაისს და მის მაზრას ერთი პირველი ადგილი უჭირავს. არის თემები, (მაგ. გუბის თემი), სადაც საგლეხო სესხი მოსახლეობის 95 პროცენტს აქვს შეძენილი. ხვალ ბიუროკომისია განაგრძობს დანარჩენ თემებისა და უბნების შემოვლას.

საექიმო რაზმებისა და ექსპედიციების გაგზავნა მაზრებში

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან შესდგა საუწყებათაშორისო თათბირი რომელზედაც განსახილველად დასმული იყო მომავალი საზაფხულო პერიოდის განმავლობაში მაზრებში სამკურნალო რაზმების გაგზავნის საკითხი.

ჯანსახკომის სამკურნალო განყოფილების უფროსმა ექ. ა. გუცირიძემ თათბირს გააცნო ჯანსახკომის გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია მაზრებში რამოდენიმე საექიმო რაზმისა და სპეციალისტ-ექიმთა ექსპედიციების გაგზავნა სხვადასხვა ავადმყოფობის წარმოშობის და მათი გავრცელების მიზეზთა შესასწავლად და სამკურნალო მუშაობის ჩასატარებლად.

თათბირმა დაადასტურა ჯანსახკომის გეგმა. გადაწყვეტილია 4 სამეანო-გინეკოლოგიური რაზმის გაგზავნა, გორის მაზრაში, ოზურგეთისა და ჩაქვის რაიონში. ფშავ-ხევსურეთში და პანკისის ხეობაში. რაზმების ხელმძღვანელებათ დანიშნული არიან ექ. თვარაძე, ექ. ლორთქიფანიძე, ახვლედიანი და თ. ნანეიშვილი. ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებათა სამკურნალოდ იგზავნება ერთი საექიმო რაზმი სამხრეთ-ოსეთში. ამავე რაზმს დავალებული აქვს გამოიკვლიოს სამხრეთ-ოსეთის ზოგიერთ კუთხეებში გავრცელებული თავისებური ხასიათის ჭლექის და სიფილისის გავრცელების მიზეზები.

გარდა ამისა გადაწყვეტილია სპეციალური სამეცნიერო ექსპედიციის გაგზავნა ტყიბულისა და ჭიათურის რაიონებში ე. წ. ინვაზიის, ეპილეფსიის და ნერვიულ ავადმყოფობის გამოსაკვლევად. ექსპედიციაში შევლენ თერაპევტები, სპეციალისტი-პათოლოგები და ქირურგები. ჭიათურამდე გაგზავნილი იქნება თვალის სნეულებათა სამკურნალო რაზმი, რომელიც ჭიათურიდან გადავა ტყიბულში.

თვალის სნეულებათა სამკურნალო რაზმები გაგზავნილი იქნებიან აგრეთვე თელავში, ბორჯომში და შორაპნის მაზრაში.

კახეთში მალარიისაგან გამოწვეულ კბილის სნეულებათა შესასწავლათ გაგზავნილი იქნება კბილის საექიმო რაზმი ექ. ხარატიშვილის ხელმძღვანელობით. მეორე ასეთივე რაზმი გაიგზავნება ჭიათურაში და ტყიბულში ხოლო მესამე სამტრედიის რაიონში.

ვენერიული სნების სამკურნალოდ იგზავნება ერთი გაძლიერებული რაზმი ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში. ფსიქო-ნევროლოგიური რაზმები გაიგზავნებიან ზემო-სვანეთში და შორაპნის მაზრაში.

ყველა საექიმო რაზმების დაგზავნა ადგილებზე დასრულებული უნდა იქნეს 1-ლ ივლისამდე.

კალია აღმოსავლეთ საქართველოში

კალია გაჩნდა სიღნაღის, ბორჩალოსა და თბილისის მაზრებში.—კალია მოდებულია 80.000 ჰექტარის სივრცეზე.—კალიის წინააღმდეგ გაგზავნილია მებრძოლი რაზმები.—45.000 მან. კალიასთან საბრძოლველად

წელს ცუდი ამინდების გამო გავრცელებულია სასოფლო-მეურნეობის სხვადასხვა მავნებლები, რომლებიც განსაკუთრებით აზიანებენ ხეხილის ბაღებს, ბოსტნებს და სხ.

უკანასკნელ ხანებში აღმოსავლეთ საქართველოში გაჩნდა ჯეჯილის უდიდესი მტერი—კალია. მიწადმოქმედების სახ. კომისარიატში მიღებული ცნობებით, კალია მოდებულია სიღნაღის, ბორჩალოს და თბილისის მაზრაში, სიღნაღის მაზრაში კალია გავრცელებულია მთელ შირაქის ველზე, ალაზნის ველზე, და მწვანე მინდორზე სულ 15.000 ჰექტარის სივრცეზე.

თბილისის მაზრაში—საგარეჯოს, თელეთის, ქედის, პატარა და დიდ ლილოს, ორთაჭალის, ავჭალის და დიღომის რაიონებში, სულ 10000 ჰექტარის სივრცეზე.

ბორჩალოს მაზრაში კალია მოდებულია ვედრაგის და სარვანის რაიონებში 5.000 ჰექტარის სივრცეზე.

სამივე მაზრაში კალია გავრცელებულია 80.000 ჰექტარზე.

მიწადმოქმედების სახ. კომისარიატმა კალიის წინააღმდეგ მიიღო სასწრაფო ზომები. კალიასთან საბრძოლველად სიღნაღის მაზრაში გაიგზავნა 6 რაზმი, ადგილობრივ აღმასკომმა მობილიზაცია უყო მაზრაში მომუშავე აგრონომებს და პასუხისმგებელ ამხანაგებს კალიის წინააღმდეგ მებრძოლ რაზმებისათვის დახმარების გასაწევად.

ბორჩალოს მაზრაში გაგზავნილია 2 რაზმი, თბილისის მაზრაში ჯერ-ჯერობით გაგზავნილია 1 რაზმი. გარდა ამისა, თბილისის მაზრაში კალიასთან ბრძოლის გასაცხოველებლად თბილისის საბჭოსთან დაარსებულია ცალკე კომისია ამხ. გ. ბოლქვაძის თავმჯდომარეობით.

რაზმები მომარაგებულია საჭირო ქიმიური წამლეულობით და აპარატებით.

შექმნილ სერიოზულ მდგომარეობის გამო და კალიის წინააღმდეგ ენერგიული ბრძოლის საწარმოებლად მთავრობისაგან გამოთხოვილია 45.000 მანეთი.

ლიუქსემბურგი, 11 ივნისი. იაღლუჯის რაიონში გაჩნდა კალია, რომელიც სპობს ბამბის ნათესებს. საქართველოს მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის აგრორაზმი მოსახლეობის დახმარებით სდევნის კალიებს მასსობრივ [illegible].

ფლორიდინის მარაგის გამორკვევა

ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილებამ ქუთაისის მაზრაში მიავლინა სპეციალისტთა ექსპედიცია ფლორიდინის მადნის მარაგის გამოსარკვევად. ექსპედიციას ხელმძღვანელობს ინჟ. კამპანიონი.

ფლორიდინი წარმოადგენს თიხის მსგავს მადანს, რომელსაც ხმარობენ ნავთის გასაწმენდათ. გასული წლების განმავლობაში ფლორიდინის მადნებზე მუშაობას აწარმოებდა პროფ. ა. თვალჭრელიძე, რომლის ხელმძღვანელობითაც ჩატარებული იქნა აღნიშნული მადნიდან შავი ნავთის გაწმენდის ცდები. ფლორიდინი ანუ კეფიკილიკი აღმოჩენილია ქუთაისის მაზრაში სოფ. გუმბრის მახლობლად. გასულ წელს ჩატარებული წინასწარი გამოკვლევების თანახმად აღნიშნულ რაიონში მოიპოვება მადნის დიდძალი მარაგი, მაგრამ სახელდობრ თუ რამდენია ეს მარაგი—ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია. წელს ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილებას გადაწყვეტილი აქვს გამოარკვიოს ფლორიდინის მარაგის რაოდენობა და შეუდგეს შესაფერის წინასწარ მუშაობას საექსპლოატაციო სამუშაოების დასაწყებად.

ასეთი მადანი, როგორიც ევროპაში, ისე აზიაში შემოაქვთ მხოლოდ ფლორიდიდან (ამერიკაშია), ვინაიდან სხვა ქვეყნებში აღმოჩენილი თიხით არ ხერხდება ნავთის წმენდა. გუმბრის თიხისა და ამერიკიდან შემოტანილი ასეთივე თიხის შედარებისა და გამოცდის შემდეგ გამოირკვა, რომ გუმბრის თიხა არ ჩამორჩება ამერიკულ თიხას.

გუმბრის ფლორიდინით ნავთის წმენდის საბოლოო ცდები ჩატარებული იქნება ამ ზაფხულზე.

ქ უ თ ა ი ს ი

(ტელეფონით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

მუშათა კლუბი ხონში

პროფკავშირთა რაი-ბიურო შეუდგა მზადებას მუშათა კლუბის ასაგებათ ხონში.

სცენის მოყვარეთა კოლექტივი

ხონში შესდგა სცენის მოყვარეთა კოლექტივი, რომელიც ყოველკვირეულად გამართავს წარმოდგენებს.

ექსკურსია აჭარისტანში

ხონის პროფკავშირთა რაიონული ბიურო 15 ივნისისათვის აწყობს პროფკავ. წევრების ექსკურსიას აჭარისტანში.

უჯრედების ბიუროების გადარჩევა

ქუთაისში 7 ივნისს დაიწყო და უკვე მოთავდა უჯრედების ბიუროების გადარჩევა. კრებებზე დამსწრეთა რაოდენობა 80 პროც. აღემატებოდა; კრებები ჩატარდა ცოცხლად, ფართე თვითკრიტიკის ნიშან ქვეშ.

წყალტუბოში

1-ლ ივლისიდან წყალტუბოში იხსნება ახალი სასტუმრო. ორასი კაცისათვის. წყალტუბოში ამჟამად მრავალი ავადმყოფთა თავმოყრილი.

— „ზაკავტოპრომტორგის“ ადგ. კანტორის მეოხებით, რომელსაც ყოველ 2 ს. აქვს მიმოსვლა წყალტუბოსთან, მგზავრების გადაყვანა გაადვილებულია. — სავსებით შეკეთებულია გზატკეცილი ქუთაის-წყალტუბოს შორის.

თავდასხმა

11 ივნისს ღამით ქუთაისის მაზრის სოფ. გვიმბრაში. რამოდენიმე ბოროტმოქმედი, გაძარცვის მიზნით, თავს დაესხა შეძლებული გლეხის ხუნწკარიას ოჯახს, მაგრამ ადმინისტრაციის მიერ დროზე მიღებულ ზომების წყალობით განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს.

ხონის აბრეშუმის სახვევი ფაბრიკა

ახალი ძაფსახვევი ქარხანა ხონში, უკვე მთავრდება. მისი სანიმუშო ამუშავება მოხდება 25 ივნისს. საბოლოოდ ქარხანა მუშაობას დაიწყებს პირველ ივლისიდან. პირველ ცვლაში იმუშავებს 300 კაცი, მეორეში — ამდენივე, სულ კი ქარხანაში იმუშავებს 800 კაცი, უკვე აყვანილია პირველი ცვლის მუშები, რომლებიც ხელობას სწავლობენ ძველ ქარხანაში. მუშებად აყვანილია სხვადასხვა მაზრებიდან ჩამოსული ღარიბესი გლეხობა.

დირექტორად დანიშნულია დაწინაურებული მუშა - ზეინკალი ამხ. კოპალეიშვილი. გლეხობა არაჩვეულებრივი აღფრთოვანებით ხვდება ქარხნის გახსნას.

პირველ ცვლაში მისაღები იყო 200 ქალი, განცხადება კი შემოვიდა 2.700-ზე მეტი.

რიონჰესში

რიონჰესის არხის მიწის სამუშაოები აღებული აქვს „სამშენს“, რომელიც ამ დღეებში შეუდგება მუშაობას. ამ თავიდანვე მუშაობას დაიწყებს 400 კაცი.

გარე-კახეთის რაიონის გლეხკორთა თათბირი

საქართველოში გლეხკორთა ორგანიზაციების ჩამოყალიბება შედარებით ახალი საქმეა, მიუხედავად ამისა, ეს ორგანიზაციები თანდათანობით იზრდება, როგორც რიცხვობრივად, ისე, თვისობრივადაც და დიდ დახმარებას უწევს საბჭოთა პრესას იმ ამოცანების განხორციელებაში, რომელიც დაკისრებული აქვს მას სოციალისტურ მშენებლობის ფრონტზე. ამ მხრივ გარე-კახეთის რაიონის გლეხკორთა ორგანიზაციას უსათუოდ უჭირავს პირველი ადგილი. ეს ორგანიზაცია თავიდანვე მტკიცედ შეკავშირებული და შედარებით უფრო გაწვრთნილი გლეხკორებისაგან შესდგებოდა, რომელთა მახვილ გონებას არ გამოეპარება არც ერთი მნიშვნელოვანი ფაქტის აღნუსხვა, რომლის გამოქვეყნება გაზეთის ფურცლებზე მოუტანს სარგებლობას სოფლის გაჯანსაღებისა და მისი წინმსვლელობის საქმეს.

გარე-კახეთის ყველა თემებში გლეხკორთა ორგანიზაციები სისტემატიურად უშვებენ კედლის გაზეთებს. თითქმის ყველა სათემო კედლის გაზეთები რეგულიარულად გამოდის, კერძოდ საგარეჯოს კედლის გაზეთ „სინათლე“, რომელიც თითქმის ყოველკვირეულად გამოდის. მიიღო პირველხარისხოვანი ჯილდო კედლის გაზეთების რესპუბლიკანურ შეჯიბრში. ამ გაზეთის თვითეულ ნომერს დიდი ხალისით კითხულობს გლეხობა, ხოლო იმ ელემენტებს, რომლებიც თავიანთი მოქმედებით ჩირქს სცხებენ სოფლად ხელისუფლების ნაყოფიერ მუშაობას. გაზ. „სინათლის“ თვითეული ნომრის გამოშვება შიშის ზარსა გვრის. ვინაიდან გარე-კახეთის რაიონის გლეხკორთა ორგანიზაცია მტკიცე კოლექტივს წარმოადგენს, — მშრომელი გლეხობაც მას დიდ ანგარიშს უწევს.

აი ამ ორგანიზაციის გლეხკორთა თათბირი შესდგა კვირას, 10 ივნისს, საღამოს 7 საათზე საგარეჯოს სახალხო თეატრის დარბაზში, რომელსაც დაესწრო 50-მდე გლეხკორი და დიდძალი გარეშე მაყურებელიც. თათბირის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. გლეხკორთა მოძრაობის ამოცანები. 2. გაზეთ „კომუნისტი“-ს, „მუშა“-ს და „ახალი სოფლის“ რედაქციების წარმომადგენელთა საინფორმაციო მოხსენებები და 3. პროკურატურის წარმომადგენლის მოხსენება.

თათბირი გახსნა საგარეჯოს გლეხკორთა ბიუროს თავმჯდომარე ამხ. ალ. ბედიაშვილმა. პრეზიდიუმის არჩევისა და დღის წესრიგის მიღების შემდეგ, პირველი საკითხის ირგვლივ მოხსენება გააკეთა ამხ. გ. ძაბილაშვილმა. მომხსენებელმა განუმარტა თათბირს თუ რა როლს აკისრებს პარტია და ხელისუფლება გლეხკორებს სოფლად სოციალისტური მშენებლობის წარმატებით დაგვირგვინების საქმეში, რა ზომები უნდა მიიღოს გლეხკორმა სოფლად მუშაობაში შემჩნეულ ნაკლულოვანებების აღმოსაფხვრელად, როგორი მონაწილეობა უნდა მიიღოს მან კულტურულ-განმანათლებელ მუშაობაში, მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეში, რა შინაარსის წერილები უნდა მიაწოდოს რედაქციებს და სხვ.

ამხ. ძაბილაშვილის მოხსენების შემდეგ საინფორმაციო მოხსენება გააკეთა გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციის წარმომადგენელმა ამხ. ელიაძემ, რომელიც შეეხო საერთოთ საბჭოთა პრესის და კერძოდ გაზ. „კომუნისტი“-ს ტირაჟის ზრდას, გაზეთის შინაარსის გაუმჯობესებას და მოიყვანა ამის დამამტკიცებელი საბუთები.

მომხსენებლის სიტყვით ტირაჟის ზრდა ერთი მხრით მიეწერება საბჭოთა ხელისუფლების განსაკუთრებულ ყურადღებას პრესისადმი და აგრეთვე მშრომელი ხალხის კულტურული დონის ამაღლებას.

არა ნაკლებ როლს თამაშობს აგრეთვე გაზეთების ტირაჟის გაზრდის საქმეში გაუმჯობესებული ტექნიკის შემოღებაც, რაც საშუალებას აძლევს რედაქციებს სწრაფად დაბეჭდონ გაზეთები და თავის დროზე მიაწოდონ მკითხველებს.

რაც შეეხება გლეხკორთა ყველა წერილების გაზეთში მოუთავსებლობას, ამის მიზეზად მომხსენებელი ასახელებს შემდეგ გარემოებას: გაზეთი „კომუნისტი“ არის ოფიციალური ორგანო, რომლის ფურცლებზე აუცილებლად უნდა იბეჭდებოდეს ყველა ის მასალები, რომელიც შეეხება პარტიისა და ხელისუფლების მუშაობას. მან მეტი ადგილი უნდა დაუთმოს აგრეთვე შინაურ და საზღვარგარეთის ინფორმაციას, სათანადოთ ჩაატაროს სხვადასხვა კამპანიები და სხვ. მიუხედავად ამისა რედაქცია შესაძლებლობის ფარგლებში მაინც ათავსებს გლეხკორთა უფრო მნიშვნელოვან წერილებს, ხოლო რომელთა მოთავსებას ვერ ახერხებს ადგილის სიმცირის გამო. ასეთებს, თუ ისინი მნიშვნელოვანი ხასიათისაა, უგზავნის სათანადო დაწესებულებებს ზომების მისაღებად. გადაგზავნილი წერილები უმრავლეს შემთხვევაში აღწევენ თავის მიზანს.

ამის შემდეგ საინფორმაციო მოხსენებები გააკეთეს გაზეთ „მუშა“-ს რედაქციიდან ამხ. ს. ფაშალიშვილმა და „ახალი სოფლის“ რედაქციიდან ამხ. ნატროშვილმა. მათაც განუმარტეს თათბირს, თუ რამდენად აქვთ შესაძლებლობა გლეხკორთა წერილების მოთავსებას და რა ზომებს იღებენ მოუთავსებელი წერილების შესახებ.

უკანასკნელად მოხსენება გაკეთა პროკურატურის წარმომადგენელ ამხ. ბეხელიამ. მომხსენებელმა გააცნო თათბირს ის ღონისძიებები, რომელსაც პროკურატურა და სათანადო ორგანოები იღებენ გლეხკორთა მიერ გაზეთებში მოთავსებულ წერილების სინამდვილის გამოსარკვევად და საჭირო ზომების მისაღებად. მომხსენებელი შეეხო აგრეთვე გლეხკორთა დევნის საკითხს და თათბირს აღუთქვა სასტიკი ზომების მიღება ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც შეეცდება გლეხკორის დევნა-შევიწროვებას. ამ საქმის წარმატებით საწარმოებლად მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია, რათა თვითეულმა გლეხკორმა, სანამ ის რედაქციას მიაწოდებდეს ამა თუ იმ ბოროტმოქმედების ფაქტის შესახებ წერილს, აუცილებლად შეამოწმოს, თუ რამდენად სინამდვილეს ეხება წერილში აღნიშნული ფაქტი.

მოხსენებების დამთავრების შემდეგ შემოვიდა აუარებელი შეკითხვები. შემკითხველები უმთავრესად ეხებოდნენ გლეხკორთა წერილების მოუთავსებლობას, გლეხკორთა წერილებზე სათანადო ყურადღების მიუქცევლობას ზოგიერთი ორგანიზაციების მიერ, გაზეთების თავის დროზე მიუღებლობას, დაუბეჭდავი წერილების უპასუხოდ დატოვებას რედაქციების მიერ და სხვა. ყველა მომხსენებლებმა სათანადო ახსნა-განმარტებები მისცეს შემკითხველებს, რის შემდეგ გაიხსნა კამათი. კამათში გამოსული ამხანაგებიც თითქმის იმავე საკითხებს ეხებოდნენ, რომელსაც შემკითხველები. მომხსენებელთა საბოლოო სიტყვების შემდეგ თათბირმა ერთხმად მიიღო სათანადო რეზოლიუცია, რომელშიაც მუხლობრივ არის ჩამოთვლილი ყველა ის ღონისძიებები, რომლების ცხოვრებაში გატარებას უნდა შეეცადონ როგორც გლეხკორთა ორგანიზაცია, ისე რედაქციები.

დასასრულ გამოყოფილ იქნა ჟიური, რომელიც შეამოწმებს რაიონში გამოცემულ კედლის გაზეთებს და მათი ხარისხიანობის მიხედვით მიუსჯის სათანადო ჯილდოს.

თათბირი დამთავრდა ღამის 12 ნახევარ საათზე.

დამსწრე.

კოოპერაციის საპაიო კამპანია

ცეკავშირის ცნობებით, საპაიო კამპანია საერთოდ დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. ღარიბი და საშუალო შეძლების გლეხობა შეგნებულად ეპყრობა კოოპერაციის საკუთარ თანხების გადიდების საქმეს.

მიუხედავად გლეხების აქტიურობისა, ზოგიერთი კოოპერატიული ორგანიზაციები ადგილებზე ვერ იჩენენ სათანადო აქტივობას. არის ისეთი კოოპერატიული რაიონები, სადაც დღემდე თითქმის არაფერი გაკეთებულა საპაიო კამპანიის ჩასატარებლად და კოოპერატივის წევრთა რიცხვის გასადიდებლად. ასეთია, მაგალითად, აჭარის წყალის კოოპერატივი.

1 ივნისისათვის აჭარის წყალის რაიონში საპაიო გამონაღები საშუალოდ უდრის 1 მ. 26 კაპიკს. ცეკავშირის აზრით, საპაიო კამპანიის მიმართ ასეთი გულგრილობა აიხსნება ადგილობრივ რაიონულ კოოპერატივის გამგეობის სრული უმოქმედობით.

აჭარის წყალის გარდა არის კიდევ სხვა რაიონებიც, სადაც ასეთივე უმოქმედობას იჩენენ კოოპერატიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

მიუხედავად ამისა, საერთოდ საპაიო კამპანიის წინასწარი შედეგები დამაკმაყოფილებელია. არის მთელი რიგი რაიონები, სადაც საპაიო თანხები დაგროვდა იმაზე მეტი, რაც გეგმით იყო გათვალისწინებული.

მაგალითად, ჩაქვის მუშათა კოოპერატივში საშუალო საპაიო გადასახადი გაიზარდა 8 მ. 36 კაპიკამდე, საგარეჯოში—5 მ. 83 კ., მცხეთაში—8 მ. 53 კ., ცაგერში—10 მ. 8 კ., დუშეთში—7 მ. 32 კ., დაგვში—10 მ. 12 კაპიკამდე.

კამპანიის დაწყებამდე დუშეთის სამომხმარებლო კოოპერატივი საპაიო თანხების მოზიდვის მხრივ სუსტ ორგანიზაციათ ითვლებოდა. საშუალო საპაიო გადასახადი ამ რაიონში 1 იანვრისათვის არ აღემატებოდა 3 მ. 92 კაპ. კამპანიის დაწყებიდან კი საპაიო კაპიტალი ორჯერ გაიზარდა. 1 ნახევარ თვის განმავლობაში შეგროვილი იქნა 10.735 მანეთი.

აღსანიშნავია აგრეთვე მცხეთის კოოპერატივის საქმიანობის გამოცოცხლება. ჩამორჩენილ რაიონებში დაიგზავნა ახალი ინსტრუქციები კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად.

ბათომის ახალი წყალსადენი

1923 წლიდან ბათომში ადგილი აქვს წყალის ნაკლებობას, რაც გამოწვეულია ერთის მხრივ მოსახლეობის რაოდენობის მნიშვნელოვანი გადიდებით და მრეწველობის განვითარებით, მეორეს მხრივ კი მდ. ლიჩას (საიდანაც გამოყვანილია ქალაქის წყალსადენი) წყალის დებეტის შემცირებით. ამ გარემოებამ ქალაქის აღმასკომის წინაშე წამოაყენა საკითხი ახალი, უფრო მძლავრი წყალსადენის გაყვანის შესახებ.

ამ მიზნით თავის დროზე შედგენილი იყო ახალი წყალსადენის პროექტი, რომლის მიხედვით წყალსადენი იწყება მდ. კოროლისწყალიდან როგორც უფრო მძლავრ წყაროდან და რომელიც სავსებით დააკმაყოფილებს ქალაქის მოთხოვნილებას. პროექტში გათვალისწინებულია მოსახლეობის ზრდა — 100.000 კაცამდე. წყალის მაქსიმალური ხარჯვა პროექტით ნავარაუდევია 221 ლიტრა, ანუ 0,221 კუბ. მეტრი წამში.

მდ. კოროლის წყალის ქიმიურ ანალიზმა დაადასტურა წყალის საუკეთესო თვისებები. ახალი წყალსადენის პროექტი განხილული და დამტკიცებული იქნა საქართველოს სმ.უ.ს. ადგილობრივ მრეწველობის განყოფილების მიერ.

ამჟამად ბათომის აღმასკომის სამშენებლო განყოფილება შეუდგა მუშაობას ჯებირის, სათავის ნაგებობათა, მისასვლელი გზების და სხვ. ასაგებად. წყალსადენის გაყვანის დამთავრება განზრახულია მომავალი საბიუჯეტო წლის განმავლობაში. ხარჯთაღრიცხვის მიხედვით ახალი წყალსადენის გაყვანა დაჯდება 187.587 მანეთი.

თბილისის კეთილმოწყობა

ერთი მილიონი მანეთი ქალაქის მოწყობა - გალამაზებისათვის

1928—29 საანგარიშო წლისათვის თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის კეთილმოწყობის განყოფილებამ შეადგინა ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოების გეგმა. გეგმაში მიმდინარე სამუშაოთა გარდა, გათვალისწინებულია რამოდენიმე კაპიტალური ნაგებობათა მოწყობა.

პირველ რიგში გადაწყვეტილია ნაგვის საწვავ ღუმელების მოწყობა. დღემდე ნაგავს ჰყრიან მტკვარში უბრალო „ტაჩკებით“. რაც იწვევს ქუჩების და განსაკუთრებით მტკვრის გაბინძურებას. ნაგვის საწვავ ღუმელებში ნაგავი მიტანილი იქნება დახურული ავტომობილებით. ნაცარი კი გამოყენებული იქნება ბაღბოსტნების ნიადაგის გასანოყიერებლად.

ერთი ღუმელი მოეწყობა ლენინის მუშათა რაიონში, მეორე—საბურთალოში. თითო ღუმელი დღეში დასწვავს 5.000 ფუთზე მეტ ნაგავს.

მომავალ წელში დამთავრდება დახურულ ბაზრის მოწყობა. ყოფ. „დეზერტირკაზე“, რომელიც ამჟამად მეტად ანტისანიტარულ მდგომარეობაშია. დასასრულ ბაზრის მოწყობა დაიწყება მიმდინარე საანგარიშო წელს.

კეთილმოწყობის გეგმით, გათვალისწინებულია აგრეთვე ორი ახალი ხიდის აგება მდ. მტკვარზე. პირველი ხიდი აგებული იქნება ვერის ბორანის ადგილას. ეს ხიდი შეაერთებს რკინისგზის სადგურის რაიონს და საბურთალოს. ხიდზე გაყვანილი იქნება ტრამვაის ახალი ხაზი.

მეორე ხიდის აგება განზრახულია თათრის მოედნის რაიონში, მეტეხის ხიდებს შუა. საბარგო მიმოსვლა იწარმოებს ამ ხიდზე, ვინაიდან მეტეხის ეხლანდელი ხიდები დაზიანებულია.

ამავე გეგმით მომავალ წელში დაიწყება ელბაქიძის და კალიაევის აღმართების გაფართოება და ამასთან ერთად იწარმოებს მტკვრის ნაპირების გამაგრება.

მომავალ წელს აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ქალაქის გარშემო და თვით ქალაქში თავისუფალ მოედნებზე ტყებაღების გაშენებას, ვიწრო ქუჩების გაფართოებას, ქუჩების საფუძვლიან შეკეთებას და სხვ.

გეგმის მიხედვით მომავალ წელს კეთილმოწყობის საქმეზე დაიხარჯება 1 მილიონი მანეთი.

ქრონიკა

სამძიმარის დეპეშები

საქ. ცაკის და სახკომსაბჭოს სახელზე მიღებულია შემდეგი სამძიმარის დეპეშები ამხ. საშა გეგეჭკორის ტრაგიკულად დაღუპვის გამო:

სპარსეთში საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენელ ამხ. დავთიანისაგან: „ძველი ამხანაგის სიკვდილი—დიდი დანაკლისია ჩვენთვის. მიიღეთ ჩემი გულწრფელი თანაგრძნობა“.

აზერბეიჯანის ცაკის თავმჯდომარე ამხ. აღამალი-ოღლისაგან: „გულწრფელ მწუხარებას გამოვსთქვამ თვალსაჩინო რევოლიუციონერის ამხ. საშა გეგეჭკორის დაღუპვის გამო. გადაეცით ჩემი სამძიმარი მის ოჯახს“.

დაღესტნის ცაკის თავმჯდომარის ამხ. სამურსკისაგან: „დაღესტნის ცაკის პრეზიდიუმი დაღესტნის მუშებისა და გლეხების სახელით ღრმა თანაგრძნობას უცხადებს საქართველოს მშრომელთ ერთ-ერთ ძველ საუკეთესო რევოლიუციონერის ამხ. გეგეჭკორის დაღუპვის გამო. საუკუნო ხსენება გმირ-კომუნარს.“

ამხ. ი. ქელტოვის ჩამოსვლა

გუშინ თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი და იმავე კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილების უფროსი ამხ. ი. ქელტოვი.

კვალიფიციური მუშა-ხელის მომზადება

აბრეშუმის ტრესტი შეუდგა კვალიფიციური მუშა ხელის მომზადებას ახალი აბრეშუმის სახვევი ქარხნებისათვის, მუშების მომზადება სწარმოებს ოზურგეთი, ხონის და სამტრედიის ქარხნებისათვის. სულ კვალიფიციური მუშების მოსამზადებელი ხარჯების დასაფარავად გადადებულია 58.840 მ., ხოლო მომავალ წელს ამავე საქმისათვის დაიხარჯება 30.000 მანეთი.

ამხ. კალინოვსკისა და ივანოვის დასაფლავება

12 ივნისს ვერის ახალ სასაფლაოზე მიწას მიაბარეს ამას წინად დაღუპული ავიატორები ა. კალინოვსკი და ი. ივანოვი. დილის 10 საათზე განსვენებულთა ცხედრები გამოსვენებულ იქნა სამხედრო ჰოსპიტალიდან კავკ. წითელ დროშოვანი არმიის შტაბის კლუბში. პროცესიის გამოსვლის წინა გაიმართა სამოქალაქო პანაშვიდი, რომელსაც გარდა მიცვალებულთა ნათესავ-მეგობრებისა დაესწრნენ ამიერ-კავკასიის და საქართველოს მთავრობების წარმომადგენლები, საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას პლენუმის წევრები, ამხ. მ. ორახელაშვილი, ფ. მახარაძე, შ. ელიავა, მ. ქახიანი, ლ. ღოღობერიძე, ა. დოლიძე და სამხედრო და საავიაციო დაწესებულებათა წარმომადგენლები.

სამოქალაქო პანაშვიდზე სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. შ. ელიავამ— ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს სახელით, კავკასიის წითელ დროშოვანი არმიის შტაბიდან ამხ. ფაბრიციუსმა, თბილისის საბჭოს სახელით—ამხ. თხილავამ, საქ. კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტიდან ამხ. ლისოვსკიმ, თავდაცვა-ავიაქიმიდან ამხ. ეგიკოვმა და სამხ.-საავიაციო რაზმიდან—ამხ. მარინმა. შემდეგ პროცესია გაემართა სასაფლაოსაკენ. პროცესიაში მონაწილეობას ღებულობდენ ქვეითი და ცხენოსანი ნაწილები და მუშა-მოსამსახურეები. პროცესია სასაფლაომდე მიაცილა აგრეთვე საჰაერო ფლოტილიამ.

საფლავზე სიტყვები სთქვეს—მიცვალებულთა ამხანაგ-ავიატორების სახელით ამხ. პრესტარელოვმა, ვაზიანის მობანაკე წითელ არმიელთა სახელით—ბერიანოვმა და სხ.

ნაშუადღევის 4 საათზე კუბოების საფლავში ჩაშვებისას ჯარმა სალიუტი მისცა სამჯერ გასროლით.

ექსკურსანტების თათბირი

დღეს, 13 ივნისს, პროფსაბჭოში მოწვეულია მოსკოვში მიმავალ ექსკურსანტთა თათბირი. ექსკურსანტები უნდა შეიკრიბონ საღამოს 6 საათზე მუშათა სასახლეში ოთახ № 14.

თბილისის აღმასკომში

◆ **რძის პროდუქტები.** ვაჭრობის მომწესრიგებელი განყოფილება შეუდგა თბ. ბაზრის რძის პროდუქტებით მომარაგების საქმის გამოკვლევას, მათზე ფასების დაწევის მიზნით.

◆ **წყალსადენი სოფლად.** თბილისის აღმასკომმა დაადგინა იმ სოფლებს, რომლებიც ითავებენ წყალსადენის გაყვანას, გაუწიოს ტეხნიკური დახმარება და საჭირო მასალება მიაწოდოს უფასოთ.

მიწსახკომში

◆ **ახალი სანერგე.** საქარაში წელს გაშენებული იქნა ხეხილის და ამერიკულ ვაზის ახალი სანერგე.

◆ **საცდელ-საჩვენებელი სადგური.** მეხილეობის განსავითარებლად მიწსახკომის დადგენილებით გორის მაზრაში ეწყობა მეხილეობის საცდელ - საჩვენებელი სადგური.

ხელოვნების ქრონიკა

— **რეჟისორთა კონფერენცია.** 24 ივნისს თბილისში შესდგება დრამის, ოპერის და კინოს რეჟისორთა კონფერენცია.

— **ახალი კინო.** ნაძალადევში ამ დღეებში გაიხსნება ახალი კინო „განთიადი“.

— **კონცერტი.** საბჭოთა მუშაკების კლუბში დღეს გაიმართება დიდი სიმფონიური კონცერტი.

— **„სიტყვა ტრიბუნიდან“.** იბეჭდება და ამ ბოლო რიცხვებში გამოვა აჭარისტანის პროლეტარულ მწერლების ნაწარმოებთა კრებული: „სიტყვა ტრიბუნიდან“.

— **ხელოვანთა სასახლეში** დღეს, საღამოს 7 ს. ამხ. **სუტირინი** წაიკითხავს მოხსენებას პროლეტარულ მწერალთა პირველ საკავშირო ყრილობის შედეგების შესახებ.

— **დ. მჭედლიძის კონცერტი.** კონსერვატორიაში 15 ივნისს გაიმართება ახალგაზრდა მომღერალ დ. მჭედლიძის კონცერტი.

შემთხვევები

ქალის მოტაცება

სიღნაღი, 11 ივნისი. სოფ. კაჭრეთის მცხოვრებმა სიმონიშვილი შეიარაღებული ჯგუფის დახმარებით შეიჭრა მასწავლებელ ქალ ნარეკლიშვილთან და გაიტაცა. მოტაცებული ქალი სამი დღის ძებნის შემდეგ ნახეს სოფ. არაშენდაში. სიმონიშვილი დაპატიმრებულია (ადს).

დაჭრა

ამ რამოდენიმე ხნის წინად ვიღაც ბოროტმოქმედმა დანით დასჭრა სოფ. ასურეთის (თბილისის მაზრა) მცხოვრები მაგნინა ინაშვილი. ამ დღეებში ბოროტმოქმედი დააპატიმრეს. იგი აღმოჩნდა დათა შაქრისძე ბასილაშვილი.

ქურდების დაპატიმრება

თბილისის სისხლის სამართლის მილიციამ ქურდობისათვის დააპატიმრა: აბას მამედოღლი, სტეფანე იოსებისძე ელიტოვი, შალვა სპირიდონისძე სუბატაშვილი, რომან მიხეილის ძე ვარაბიოვი და მიხეილ ვასილისძე დული.

ქურდობა

გუშინ ქალაქში ადგილი ჰქონდა წვრილი ქურდობის 6 შემთხვევას. დაპატიმრებულია ორი ქურდი.

ხანძარი აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში

გუშინ, შუადღის 12 საათზე, საბჭოთა ქუჩაზე (№ 22) მდებარე ს. მ. უ. საბჭოს აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკის შენობაში გაჩნდა ხანძარი. ცეცხლი დაიწყო პირველი სართულის იატაკიდან. ცეცხლის გაჩენა პირველად შენიშნეს ტრამვაით მიმავალმა მეხანძრეებმა, რომლებიც გადმოხტენ ტრამვაიდან და დაუყოვნებლივ შეუდგენ ცეცხლის ჩაქრობას. მათ ტელეფონით გამოიწვიეს მეორე ცეცხლის მქრობელი რაზმი, რომლებიც დაახლოვებით 10 წუთის განმავლობაში გამოცხადდა შემთხვევის ადგილზე, მაგრამ ერთი რაზმი უძლური გამოდგა ცეცხლთან ბრძოლაში.

ჩქარა ცეცხლმა ისეთი ხასიათი მიიღო, რომ ემუქრებოდა მთელ ფაბრიკას. ცეცხლი მეტად ადვილად ვრცელდებოდა, რადგან ოთახებში ეწყო ნავთით სავსე ჭურჭლები. მცირე ხანში გამოცხადდა პირველი ცეცხლის მქრობელი რაზმი.

ცეცხლის ჩაქრობა მოხერხდა მხოლოდ ერთი საათის შემდეგ.

შემთხვევის ადგილზე სასწრაფოდ გამოცხადდენ: ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ვ. ბოლქვაძე, თბილისის სისხლის სამართლის მილიციის უფროსი გრ. თოფურია, პროკურორი კ. ბესელია და აგრეთვე ბრანდმაიორის მოადგილე ამხ. კლაჩკოვი.

ხანძრის ადგილზე თავი მოიყარა აურებელმა ხალხმა. წესრიგის დასაცავად გამოიწვიეს ცხენოსანი მილიცია და საუწყებო მილიციის თანამშრომლები.

როგორც გამოირკვა, ხანძარი გაჩენილა შემდეგ პირობებში: მდგმურ ნინა დავითის ასულ დომნიდოტოპულოს გაუფრთხილებელ მოპყრობის გამო აუფეთქდა „კერისინკა“ და ცეცხლი მოედო ტანსაცმელზე. დიამნიდოპულოს ქალი არ დაიბნა, სტაცა ხელი ოთახში მყოფ თავის 5 წლის შვილს—ეთერის და ამრიგად ბავში იხსნა დაღუპვისაგან.

დიამნიდოპულოს ქალი კვლავ შევიდა ოთახში, ალბად ნივთების გადარჩენის მიზნით, მაგრამ გაეხვია ცეცხლის ალში. მის ყვირილზე მიცვივდნენ მეზობლები: ოლღა სიმონის ასული მაჭარაშვილი და ქეთო ალექსანდრეს ასული გულუაშვილი, რომლებიც შეეცადენ დიამნიდოპულოს ქალის გადარჩენას, მაგრამ ამაოდ: ცეცხლი სწრაფად მოედო ორივე ქალის ტანსაცმელს. მათ ყვირილზე მისულმა მუშებმა და ცეცხლის მქრობელ რაზმის თანამშრომლებმა დიდის გაჭირვებით გადაარჩინეს ორივენი.

დიამნიდოტოპულოს ქალი დაიწვა.

გულუაშვილის ქალს დამწვარი აღმოაჩნდა მთელი სხეული. მისი გადარჩენა საეჭვოა. მაჭარაშვილის ქალს დამწვარი აქვს მარჯვენა ხელი, კისერი და პირის სახე. დასახიჩრებულებს აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და გადაგზავნეს ქალაქის მეორე საავადმყოფოში.

ხანძრის დროს დაიწვა ერთი ოთახი. დაზიანებული და ჩამონგრეულია 5 ოთახის კედლები. დაიწვა აგრეთვე საოჯახო ავეჯეულობა. ქარხნის ქონება არ დაზარალებულა.

შესდგა სპეციალური კომისია ხანძრისაგან გამოწვეულ ზარალის დაწვრილებით გამოსარკვევად.

—:—

გუშინ საღამოს 4 საათზე, ქეთევან გულუაშვილი გარდაიცვალა საავადმყოფოში.

სასამართლო

ტყის მცველი, თუ მძარცველი

ჩვენს დედა-ქალაქს გარეთ, ჰაეროდრომსა და „პავლიას გორას“ შუა მდებარე მიდამოები ტყის მცველ სიკო როსტომაშვილის საბრძანებელს წარმოადგენდა.

შეშას, ან ნახშირს იმ ადგილიდან ვერავინ დასძრავდა, თუ არ იქნებოდა როსტომაშვილის სანქცია.

არც მეურმე არ გამოეპარებოდა როსტომაშვილს ისე, რომ არ გაესინჯა სათანადო საბუთები.

პირველ ხანებში დიდ სიმკაცრეს იჩენდა როსტომაშვილი. რიცხვი რომ სწორად არ ყოფილიყო დასმული მოწმობაზე, ან ბეჭედი თუ გამოკვეთილად არ მოჩანდა, ტყუილად გლეხს ქალაქისაკენ არ გამოატანებდა.

გასული წლის დასასრულს როსტომაშვილში დიდი ცვლილება მოხდა. გლეხები პირდაპირ განცვიფრებული იყვნენ, როგორ მოლბა და გაკეთილშობილდა როსტომაშვილი.

თვალსაც კი არ გადაავლებდა მეურმის მოწმობას, შეშით ან ნახშირით დატვირთული ურემი თავისუფლად მიდიოდა თბილისისაკენ. სულ ერთი იყო ნებართვიანი და უნებართვო.

მაგრამ მეურმეები ძალიან ჩააფიქრა ერთმა გარემოებამ. გახშირდა თავდასხმა თბილისიდან დაბრუნებულ მეურმეებზე. ერთ ღამეს გაძარცვეს 6 მეურმე სხვადასხვა ადგილას. წაართვეს, რაც კი რამ გააჩნდათ.

ერთი კვირის განმავლობაში 17 მეურმე იქნა გაძარცული.

— გადაჭრით შემიძლია ვსთქვა, რომ ერთ-ერთი თავდამსხმელი როსტომაშვილი იყო. აი იქ, მოშორებით რომ იდგა ვინტოვკით ხელში. ძალიანს გვარიდებდა პირს, მაგრამ მე მაინც შევხედე სახეზე. ხმა ხომ სულ სიკოსი იყო.

— მართალი ხარ, იცი! ეხლა რომ ვიგონებ, მართლაც როსტომაშვილი უნდა ყოფილიყო.

ასე ლაპარაკობდენ გზაში გაძარცული მეურმეები და ნაღვლიანად ერთმანეთს აჩერდებოდენ. ეჭვი თანდათან ძლიერდებოდა.

გათენდა მეორე დღე. გლეხი ლუკა ბილანაშვილი თვალცრემლიანი დაბრუნდა თავის ოჯახში, ისიც გაეძარცვათ, წაელოთ სულ ყველაფერი, რაც კი რამ ქალაქში შეეძინა ჩეშში. აღებული ფულით.

თავდამსხმელებს ბილანაშვილისათვის გადაეგდოთ ორი ცალიერი საფულე. ეს საფულეები მხოლოდ სახლში გახსნა ბილანაშვილმა, სხვათა შორის, მანაც როსტომაშვილს ამზგავსა ერთ-ერთი თავდამსხმელთაგანი. და როცა საფულეში ორი შავი ფოლაქი ნახა, მისთვის ეჭვს გარეშე გახდა, რომ როსტომაშვილმა გაძარცვა იგი.

საქმე იმაშია, რომ როსტომაშვილს შეცდომით თავისი ცალიერი საფულე გადუგდია ბილანაშვილისთვის. საფულეში აღმოჩენილი ორი შავი ფოლაქი, რომელიც ფერითაც და ზომითაც წააგავდა როსტომაშვილის პალტოს ფოლაქებს. როსტომაშვილს კი სწორედ ორი ასეთი ფოლაქი აკლდა პალტოზე.

ტყის მცველი როსტომაშვილი დააპატიმრეს. გლეხებმა გამოიცნეს მასში თავდამსხმელი შავმა ფოლაქებმაც დიდი როლი ითამაშეს ბრალდების დადასტურებაში,

საქმეს გაარჩევს თბილისის სამაზრო სასამართლო.

სარჩელი გერმანელთა საავადმყოფოს

თბილისის შრომის სასამართლომ გაარჩია საქართველოს მედსანშრომის კავშირის სარჩელი, რომელიც აღძრული იყო გერმანელების საავადმყოფოს ადმინისტრაციის წინააღმდეგ 4313 მან. 13 კაპ. რაოდენობით. ეს თანხა შეადგენს მუშა-მოსამსახურეების ნამუშევარს ზედმეტ საათებში და უქმე დღეებში.

საავადმყოფოს წარმომადგენელი სასამართლოში ამტკიცებდა, რომ გერმანელთა საავადმყოფო საზოგადოებრივი ორგანიზაცია არის, რომელზედაც ვრცელდება უზენაეს სასამართლოს პლენუმის დადგენილება ზედმეტ საათების ხელფასის შესახებ და ამიტომ კავშირს უარი უნდა ეთქვას სარჩელზე.

კავშირის ინტერესების დამცველები ამტკიცებდნენ, რომ გერმანელების საავადმყოფო კერძო ორგანიზაციაა, რომელზედაც ზემოდ აღნიშნული დადგენილება არ ვრცელდება.

სასამართლომ სავსებით დააკმაყოფილა კავშირის მოთხოვნილება. თანახმად გადაწყვეტილებისა გერმანელების საავადმყოფომ უნდა გადაუხადოს კავშირს 4313 მან.

თავდაცვა-ავიაქიმის მეორე საკავშირო ლატარია

მოგებათა მიღების წესი

1) **დიდი მოგებანი, ღირებული ორასიდან 7.500 მანეთამდე:** იმ პირებმა, რომლებმაც მოიგეს მოგზაურობა ან მათი შემცვლელი საგნები, ღირებული 200-დან 7.500 მანეთამდე და სურვილი აქვთ იმოგზაურონ ან მიიღონ მოგზაურობის შესაცვლელად დანიშნული საგნები ან შესაფერი ფულადი კომპენსაცია, თავისი ბილეთი ფოსტით, სახელმწიფო ბანკის ან უახლოეს სახ. შრომის შემნახველ სალაროს საშუალებით უნდა გადაგზავნონ სალატარიო კომიტეტის სახელზე (მოსკოვი, ცენტრ. ნიკოლსკის ქ. № 17, თავდაცვა - ავიაქიმი) და უნდა აცნობონ კომიტეტს, თუ რა სახით სურთ მოგების მიღება: მოგზაურობა, საგნების მიღება თუ ფული. სალატარიო კომიტეტი შეამოწმებს ბილეთს და ორი კვირის ვადაში აცნობებს მოგების შესრულების შესახებ.

2) **20 მანეთამდე და ნაკლებ ღირებული საგნების მოგება.** იმ პირებმა, რომელთაც ხვდა ამ კატეგორიის მოგებანი, თავიანთი ბილეთები უნდა გადაგზავნონ სალატარიო კომიტეტში, საიდანაც დაწესებულ ვადაში მიიღებენ მოგებულ ნივთს. ნივთების გადაგზავნა ხდება სალატარიო კომიტეტის ხარჯზე.

3) **იმ პირებმა, რომელთაც მოიგეს გაფრენა ქალაქზე** (ადგილობრივ) თავისი ბილეთი უნდა წარადგინონ თავდაცვა - ავიაქიმის უახლოეს ორგანიზაციაში, საიდანაც დანიშნულ ვადაში მიიღებენ ცნობას, თუ როდის შეუძლიათ ისარგებლონ თავისი უფლებით. რეგისტრაციაში გატარებული ბილეთი მომგებს რჩება ხელზე და ჩამოერთმევა გაფრენის წინ. გაფრენასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა თვით გაფრენისა და მომგების დაზღვევისა, ეკისრება მომგებს.

4) **ფულის მიღება მოგებული მოგზაურობის ან ნივთის ნაცვლად.** იმ პირებს, რომლებმაც მოიგეს მოგზაურობა ან ნივთი და სურთ მათ მაგიერ ფულის მიღება, აქვთ ამისი უფლება. 200-დან 7.500 მანეთამდე მიღება შეიძლება მხოლოდ სალატარიო კომიტეტიდან, რისთვისაც საჭიროა ბილეთის გადაგზავნა სალატარიო კომიტეტისათვის ზემოდ - ნაჩვენებ მისამართით. ნაკლები თანხის მიღება კი შეიძლება ბილეთის წარდგენისთანავე სახელმწიფო ბანკიდან ან სახ. შრომის შემნახველ სალაროებიდან.

ებრაელთა მიწად-მომწყობ საზ-ბის მიერ გამართულ ლატარიის მოგებანი

(დასასრული)

რადიო - აპარატები

217.336 295.593 465.313 500.145 735.682
230.746 423.856 466.430 642.231 847.643
947.892
953.228

საკერავი მანქანები

237.539 269.576 486.012 582.455 952.091
265.512 308.418 533.936 703.956 999.074

მოგზაურობა ორი კვირით ებრაელებით დასახლებულ რაიონებში — ყირიმში

023.448 194.933 328.836 761.182 812.256
026.553 241.497 567.676 806.324 853.309
133.587 293.146 622.972 887.257 962.350

მოგზაურობა ორი კვირით ებრაელებით დასახლებულ რაიონებში კრივოი - როგისა და ხერსონის ოლქებში

022.220 093.188 189.193 364.040 596.900
022.471 165.655 257.846 426.885 663.987
041.366 186.904 280.844 712.066 858.037

ერთი თვე დასასვენებელ სახლში ან სანატორიუმში ყირიმში ან კავკასიაში

062.076 308.828 634.189 721.182 812.491
252.741 325.368 692.742 736.182 847.924

დიდი საბჭ. ენციკლოპედია

069.369 685.957 714.218 788.083

საწერი მანქანები

151.725 475.798

მეურნეობის მოსაწყობი კომპლექტი
(სახლი, საქონელი, სახ.-სამ. მანქანები)

045.338 274.865 713.400

საშინამრეწველო სახელოსნოს სრული მოწყობილობა

472.849 761.293

1 წლ. თვით მოგზაურობა შეერთებულ შტატებში

435.556 982.830

1926 წ. სესხის 45 ობლიგაცია

569.710

სახლი - ბინა (სამი ოთახი), სამზარეულოთი და სხ. შენობებით
(საბჭოთა კავშირის ყოველ პუნქტში — არჩევით)

620.885

—

მომგებთ თავის ბილეთების წარდგენა შეუძლიათ უშუალოდ სალატარიო კომიტეტში ან ებრაელთა მიწადმომწყობ საზ-ბის ადგილობრივ განყოფილებებში. საჭიროა გაცხადება — მოგების მიღება სურს მომგებს, თუ ფულადი კომპენსაციის. მოგებათა გადაგზავნა სალატარიო კომიტეტის ხარჯზე.

ნ. სოროკინი (ზევით) და **ვ. გოგლიძე** (ქვევით)
რომლებმაც საჭადრაკო შეჯიბრში სრ. საქართველოს პირველობაზე გაიყვეს პირველი და მეორე ადგილი (თვითეულმა მოიგო ექვს-ექვსი პარტია შვიდიდან).

საქ. რემედასში

ჟურნალი „კაპიტალის ტყვეების ხმა“

საქ. რემედასის ცენტრალურმა კომიტეტმა გადასწყვიტა პირველ აგვისტოსათვის გამოსცეს ჟურნალის სპეციალური ნომერი: „კაპიტალის ტყვეების ხმა“.

ჟურნალში ფართოდ იქნება გაშუქებული საერთაშორისო მდგომარეობა მიმდინარე წლის მუშათა მოძრაობასთან დაკავშირებით. გაშუქებულ იქნება აგრეთვე რემედასის მიერ ჩატარებული მუშაობა.

პრემიების გათამაშება

„კაპიტალის ტყვეების ხმა“ გავრცელებული იქნება სპეციალური ტალონების საშუალებით. თითეული ტალონი ღირს 15 კაპ. ტალონის შემძენი მიიღებს ჟურნალს, ამასთანავე მას უფლება ეძლევა მონაწილეობა მიიღოს პრემიების გათამაშებაში.

გათამაშებულ იქნება შემდეგი პრემიები: დასვენება ამიერ-კავკასიასა და ყირიმში, დასვენება ბორჯომში, აბასთუმანში, წაღვერში და სასეზონო ბილეთები თეატრებსა და კინოებში.

რემედასის სარედაქციო კოლეგია შეუდგა მასალების დამზადებას ჟურნალისათვის. ამასთანავე მზადდება ტალონები დიდი რაოდენობით, რომელიც ამ დღეებში დაეგზავნება რემედასის ყველა განყოფილებებს,

გათამაშება მოხდება ივლისის ბოლო რიცხვებისათვის.

საზაფხულო მუშაობის გეგმა

საქ. რემედასის ცეკამ ამ დღეებში გამოიმუშავა საზაფხულო მუშაობის გეგმა.

გეგმა სახელმძღვანელოდ დაეგზავნა ყველა რაიკომებს, უჯრედებს და ბიუროებს. გეგმაში გათვალისწინებულია შვებულებაში მიმავალ ამხანაგების ფართოდ გამოყენება.

რკინისგზებზე

სახლები მუშებისათვის

ა.-კ. რკინისგზის გამგეობა მოლაპარაკებას აწარმოებს ცენტრალურ კომუნალურ ბანკთან 172,000 მანეთის ავანსად გაცემის შესახებ იმ მიზნით, რომ დასრულებულ იქნეს მუშათა საცხოვრებელ ბინების აშენება.

ყრილობა

ამ დღეებში მოსკოვში გაიხსნება რკ. გზ. წევის დარგის მუშაკთა საკავშირო ყრილობა. ყრილობაზე ა.-კ. რკ. გზებიდან დელეგატებად მიემგზავრებიან—წევის დარგის უფროსი—ინჟ. მალიკოვი, საორთქლმავლო ნაწილის უფროსი—ინჟ. ხოჯაშვილი, წევის დარგის ინსტრუქტორი ინჟ. გვანცელაძე და სხვ.

დელეგატები მიემგზავრებიან დღეს.

ამხ. პოზდეევის გამგზავრება

დღეს, 13 ივნისს, ა.-კ. რკინისგზათა გამგეობის თავმჯდომარე ამხ. პოზდეევი მიემგზავრება სამსახურეობრივ მივლინებით მოსკოვში.

დახურული სემაფორის გავლა

სად. აჯიკაბულში ამას წინად დახურული სემაფორი გაიარა მატარებელმა № 111. უკანასკნელი შეიჭრა მე-2 მატარებლით დაკავებულ ლიანდაგზე, მაგრამ მემანქანემ დროზე შენიშნა მოსალოდნელი უბედურება და მატარებელს აცილა მარცხი. ამ დღეებში ეს საქმე განიხილა მარცხებთან ბრძოლის საგზაო კომისიამ, რომელმაც დამნაშავედ სცნო მატ. № 11-ის მემანქანე საყვარელიძე.

დამნაშავე ჩამოყენებულია სამანევრო ორთქლმავლის მემანქანის თანამდებობაზე.

ფეხბურთი

თბილისი-როსტოვი

გუშინ საღამოს დინამოს მოედანზე გაიმართა პირველი შეჯიბრი როსტოვიდან ჩამოსულ ფეხბურთელთა გუნდ „დინამო“-სთან. სტუმრების წინააღმდეგ გამოვიდა „დინამო—ბ“. ფაქტიურად ეს იყო ნაკრები გუნდი, რომელშიაც შედიოდენ „დინამო-მეორეს“ და „არსენალის“ მოთამაშეები.

მიუხედავად იმისა, რომ როსტოველები თამაშობდენ მათთვის უცნობ მოედანზე და უცნობ გუნდთან, მათ თავიდანვე გაბედული იერიშები განავითარეს და თამაშის დაწყებისთანავე გამოააშკარავეს თავისი უპირატესობა თამაშის კლასის მხრივ.

აღსანიშნავია ფორვარდების მეტად ლამაზი თამაში. გუნდის თამაშის ტაქტიკა აგებულია კომბინაციურ მეთოდებზე. თითქმის ყველა თანაბრად თამაშობს, დაწყებული ბეკიდან და გათავებული ფორვარდით. ამ მხრივ თბილისის გუნდებმა ბევრი რამ უნდა გადმოიღონ სტუმრებისაგან. ამასთანავე არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ როსტოველების მხრიდან თითქმის სრულებით არ ჰქონია ადგილი უხეშ გამოსვლებს, რაც საერთოდ იშვიათია ფეხბურთის პრაქტიკაში. ამ მხრივაც როსტოვის „დინამო“ მაგალითი უნდა იყოს თბილისის ზოგიერთ გუნდებისათვის.

პირველი ტაიმი ჩატარდა როსტოვის უპირატესობის ნიშნის ქვეშ. სტუმრებმა თამაშის პირველ განყოფილებაში შესძლეს ერთი ბურთის გატანა, თავის ბადეში კი არ მიუღიათ არც ერთი.

მეორე ტაიმშიც ბურთი უფრო ხშირად თბილისის კარებთან ტრიალობდა. შუა ტაიმში როსტოველები კიდევ ერთი ბურთით ვაუმასპინძლდენ თბილისელებს. მოსალოდნელი იყო, რომ ტაიმის ბოლომდე აღარ შეიცვლებოდა მიღწეული შედეგი, მაგრამ თბილისელებმა მოიკრიბეს ძალღონე და თამაშის უკანასკნელ წუთებში შესძლეს ერთი ლამაზი ბურთის გატანა.

ამრიგად, შეჯიბრი დამთავრდა 2:1 როსტოვის სასარგებლოდ.

—:—

დღეს როსტოვის „დინამო“ ეთამაშება თბილისის „დინამო“-ს პირველ გუნდს. შეჯიბრი გაიმართება დინამოს მოედანზე საღამოს 6 საათზე.

რადიო-გადაცემა

ოთხშაბათი, 13 ივნისი

დღეს, 13 ივნისს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი—განმარტება ქართულ ენაზე.

ადგილობრივი მრეწველობა საქართველოში—ს. მ. უ. ს. მოხსენება ქართულ ენაზე.

საუბარი რადიო-ტეხნიკაზე—ქართულ ენაზე.

ლენინი კოოპერაციის ამოცანების შესახებ—მოხსენება ქართულ ენაზე.

სამხატვრო მუშაობა სოფლად—მოხსენება ქართულ ენაზე.

კულტურული რევოლიუციისათვის ბრძოლა და ახალი თაობის აღზრდა—ამხ. ლ. კ. კ. მოხსენება რუსულ ენაზე.

უმაღლესი სასწავლებლების შევსების შესახებ—მოხსენება სომხურ ენაზე.

ახალგაზრდობა და რელიგია—მოხსენება თურქულ ენაზე.

საქ. გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობა—რუსულ და ქართულ ენებზე.

კონცერტი ან ტრანსლიაცია.

ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია რუსულ და ქართულ ენებზე.

მოხსენებების შუა—მუსიკალური ნომრები.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 13 ივნისს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგ პროფესიის უმუშევართ:

კვალიფიციურ მუშაკთა პირველ სექციიდან ალექსი მინასიანი, სერგი გასპაროვი, ეფრემ რეში, ნიკოლოზ ბაბახანოვი, სარქის ზირინა, ტატიანა პოზდეევა, ევა შახბაზოვა, პეტრე ოგანესიანი, სურენ ჯიმჯარიანი და იოსებ კამენსკი.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან. იზრაილ ბერგი, ამაიაკ პიჩიკიანი, სამსონ წვერავა, ზაქრო ბაბაკინი და მიხეილ დიდებულიძე.

მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექციიდან: არამ არუთინიანი, ივანე მაზმანიანცი, სამუილ ნაზარიანი.

მედსექციიდან:—ლიდა თარხნიშვილი, ნატალია კორინა.

უმუშევართა თავშესაფარი

თბილისის აღმასკომი, მიმდინარე წლის სექტემბრის თვისათვის დაამთავრებს უმუშევართა თავშესაფარის აგებას.

თავშესაფარში მოთავსებულ იქნება 200-მდე უბინაო უმუშევარი.

იურიდიული რჩევა-დახმარება

წითელ პარტიზანელს

კითხვა

მე დავსნეულდი პარტიზანულ რევოლიუციონური ბრძოლის ოპერაციებში. ჩემი დაავადმყოფების თვისებები ძალიან მკაცრი იყო და გამანადგურებელი. ამის გამო დავკარგე ყოველგვარი ფორმალური უფლებები. როგორც პარტიული, აგრეთვე პროფკავშირის ხაზით. ვსაჭიროებ კლინიკური და საკურორტო გაძლიერებულ მკურნალობას, რის საშუალებაც მე არა მაქვს. თავს ვიკვებამ მხოლოდ ნაცნობ მეგობრების დახმარებით და დავალიანებით.

გთხოვთ განმიმარტოთ: დამზღვევი სალაროს დადგენილება პროფესიონალურად დასახიჩრებულზე და საერთო შრომის უნარდაკარგულზე ვრცელდება თუ არა ჩემზე და თუ ვრცელდება რა წესით შემიძლია ავიღო ჩემი უფლებები და მივიღო დახმარება.

პასუხი

თქვენ გამგებული გაქვთ ყოველივე ვადები სოცდაზ. ხაზით პენსიის ჩვეულებრივი წესით მიღებისათვის. მაგრამ თუ თქვენ ნამდვილად გაქვთ განსაკუთრებული დამსახურება რევოლიუციის წინაშე, შეგიძლიათ მიმართოთ სახკომსაბჭოს ან ცაკს, რათა დაგენიშნოთ პერსონალური პანსია. ყოველ შემთხვევაში შეგიძლიათ დახმარების შესახებ მიმართოთ ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებას.

მცხ. სოფ. [illegible] [illegible]შვილს

კითხვა

დედამემმა 1926 წელში გადასცა სავენახე ადგილი მიწის მუშას ვენახის გასაშენებლად 9 წლის ვადით იმ პირობით, რომ აღნიშნული ვადის შემდეგ მოსავლის ნახევარი უნდა გაეყოთ მათ. გთხოვთ გვიპასუხოთ, გვაქვს თუ არა ამის უფლება?

პასუხი

ამჟამად მოქმედი კანონის მიხედვით მიწის იჯარით გაცემა შეიძლება მხოლოდ იმ პირობაში, თუ საიჯარო შეთანხმებას დაამტკიცებს მაზრის საადგილ-მამულო განყოფილება, რასაც წინ უძღვის იმის გამორკვევა, არის თუ არა შესრულებული ყველა ის პირობა, რაც კი საჭიროა იჯარის ნების დასართავად (მიწ. კოდ. 26, 27 და 30 მუხ.) გარეშე ამ წესისა დადებული საიჯარო ხელშეკრულება კანონიერ ძალას მოკლებულია და ვერ შექმნის მხარეებისათვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობას. საჭიროა მიმართოთ მაზრის საადგილ-მამულო განყოფილებას თხოვნით და ეს უკანასკნელი ნებას დაგრთავს მიწა იჯარით გასცე, თუ თქვენი მეურნეობა დაუძლურებულია (მიწ. კოდ. 26 მ.).

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენრაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იტყობინება, რომ დღეს, 13 ივნისს, საღამოს 6 საათზე რაიკომის სხდომის დარბაზში შესდგება ლენრაიონის კედლის გაზეთების რედაქტორებისა და მუშკორების თათბირი.

რედაქტორებს ევალებათ შეატყობინონ ყველა უჯრედების მუშკორებს.

—:—

ლენრაიონის მუშა-გლეხ-ქალთა შორის მომუშავე განყოფილება იტყობინება, რომ დღეს 13 ივნისს, საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში შესდგება ქალორგანიზატორთა თათბირი.

დღის წესრიგშია:

მოხსენება ავიაქიმის მუშაობის შესახებ აკიაქიმის მუშაობის შემმოწმებელ კომისიის თანამოხსენება და ბავშვთა ბაგეების მუშაობის შემმოწმებელი კომისიის მოხსენება.

—:—

საქ. ახ. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ დღეს 13 ივნისს, საღამოს სრულ 6 საათ. თბილ. მუშ. თეატრის შენობაში (ყოფ. სახ. სახლი) მოწვეულია თბილ. ორგანიზაციის აქტივის საერთო-საქალაქო კრება. საქ. ახ. ლ. კ. კ. ცეკას და ამ. კავ. საოლქო კომიტეტის წევრებთან ერთად.

დღის წესრიგშია ამხ. ჯავახიძის მოხსენება საკავშირო კომკავშირის მე-8-ე ყრილობის შედეგების შესახებ.

თბილისის კომიტეტისა და ცეკას წევრები შედიან თავიანთი მანდატებით. დანარჩენები კი რაიკომებში დარიგებული ბილეთებით.

—:—

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი, დღეს, 13 ივნისს, საღამოს 6 საათზე რაიკომის მიმღები კომისიის სხდომაზე იწვევს შემდეგ ამხანაგებს:

ვასილ ბახტაძეს, ისაკ ადამიანს, კალისტრატე გეჯლებიანს, არტაშეს მარკაროვს, სერგო ბირიუკოვს, იაკობ ობოიანსკის, გერასიმე ოგანესოვს, ვასილ ბელოლიპეცკის, გრიგოლ სელივანოვს, ილია ანდრეევს, გიორგი მნაცაკანოვს, გიორგი მოხოვს, ივანე ვოლკოვს, ხატაკისკო ჩეჯემოვს, ნიკოლოზ ქებაძეს, ალექსანდრე ივანიშვილს, სერგო აკოპჯანოვს, მიხეილ გრუესიუკს, ტრიფონ კორძაიას, გრიგოლ უჩანეიშვილს, თამარ გიკაშვილს, ანნა იორაშვილს, სამსონ მგელაძეს, შალვა ქართველიშვილს, ვიქტორ კაჭარავას, სერგო ქუთათელაძეს, მიხეილ მანწკავას, დავით ბასიშვილს ნიკოლოზ ჯანჯღავას, ილია ადეიშვილს, ვარლამ ტაბიძეს, დავით ორაგველიძეს, გაბრიელ მეგრელიშვილს, ივანე ალექსეევს, შალვა ნათიშვილს, არუთინ ბაბაიანს, ერმოლოზ ჭუმბურიძეს და ალექსანდრა აკოპჯანოვას.

თავზარდაცემულნი დედა სალომე, დები: მარო, კატო და თამარი, ძმა ნიკოლოზი თავის მეუღლით გულუაშვილები, სიძე აპოლონ ერმილეს ძე მგელაძე და ქრისტესია თხინვალელი აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ ა. წ. 12 ივნისს ტრაგიკულად გარდაიცვალა, მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი მაღალი ტიპის მე-II კურსის მოწაფე

ქეთევან (ქეთუშა) ალექსანდრეს ასული გულუაშვილი,

სამოქალაქო პანაშვიდი 13 ივნისს, საღამოს 7 საათზე, ხოლო გამოსვენება საკუთარ ბინიდან საბჭოთა (ყოფ. ჩერქეზიშვილი) ქ. № 22 ხუთშაბათს 14 ივნისს ნაშუადღევის 4 საათზე. (ნ.)

ს. კ. პ. (ბ) ლენ-რაიონის საქონლის სადგურის მე-3 კომუჯრედის ბიურო ღრმა მწუხარებით აუწყებს ყველა ამხანაგებს პარტიის ძველი წევრის ამხ.

ისაკი მგელაძის

უდროოდ გარდაცვალებას დაკრძალვა მოხდება 14 ივნისს, სოფ. ბუკის ციხეში 2704

გულ დამწვარი მეუღლე-ტერეზი, დედა მართა, ძმა სანდრო, შვილები, ანატოლი, გოგი და ვალიკო, დები სონია, ვერა, თეკო და მეტია—ქმრებით აუწყებენ საზოგადოებას მათი დაუვიწყარი

ისაკი მგელაძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ხუთშაბათს, 14 ივნისს, სოფ. ბუკის ციხეში. 2707

მწუხარებაში მყოფნი შვილები: მარიამი და თამარი, სიძე ბესარიონ (კოწია) ყარაჩანისძე დათეშიძე, შვილიშვილები: მათიკო და ბიჭიკო, დაი ნატა სერგოს ასული ბიბილეიშვილისა ქმარ-შვილით, დისშვილი ნინო ლუკას ასული ქმრით კოწია ოქროპირის-ძე მელაშვილი თავისი შვილებით, რძალი ნატალია იორდანეს ასული ბერიძისა ცოლის და ელისაბედ გრიგორის ასული ჩინჩალაძისა ქმარშვილით აუწყებენ საზოგადოებას, რომ ა. წ. 10 ივნისს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ნესტორ სერგოს-ძე ზარაზაძე

რომლის დაკრძალვა მოხდება ქ. ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოზე ა. წ. 14 ივნისს, ხუთშაბათს 5 საათზე. სამოქალაქო პანაშვიდი საღამოს 7 საათზე. სახ. სახლი აკ. წერეთლის ქუჩა, № 20. ნ. 1260

ცოლი ქესარია, შვილები: ბიქტორ, დიომიდე, კატო და სოფიო, სიძე ელიაზარ მეგრელიძე, რძლები: ლიუბა და თამარა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

იოსებ სპირიდონის-ძე ჭანტურიშვილი

სამოქალაქო პანაშვიდი სოფ. აცანაში. დაკრძალვა ხუთშაბათს, 14 ივნისს. ნ. 1259

საბჭოთა და სავაჭრო მუშ. კების საზაფხულო კლუბი (ყორესის ქ., 3.)
დღეს, 13 ივნისს,
დიდი სიმფონიური კონცერტი
სახ. მსახ. მ. ი. ჩერნიახოვსკის ხელმძღვანელობით
საღამო იმართება შუბერტის ხსოვნის აღსანიშნავად დასაწყისი საღ. 9 ს.
ბაღში კინო: წვიმიანი ამინდი კონცერტს ხელს ვერ შეუშლის
ხვალ, კონცერტი ორჯონიკიძის სახელობის კლუბში 6.

სახელმწიფო კინოები

საზაფხულო ეთერი	მხატვრული სურათი **კენიგსმარკ** პიერ ბენუას რომანის მიხედვით პროგრამის გარდა: ამხ. ალექსი (საშა) გეგეჭკორის დაკრძალვა.
მინიონი	პირველად თბილისში **ბანზურლის საფლავი** ბოროხინინის და დეინეკოს მონაწ. პროგრამის გარდა: ამხ. ალექსი (საშა) გეგეჭკორის დაკრძალვა.
საზაფხულო დარბაზი	კარმენ ბონი და ვალტერ სლეზაკ სურათში **მშვიდობით ახალგაზრდობავ** პროგრამის გარდა: ამხ. ალექსი (საშა) გეგეჭკორის დაკრძალვა.
საზაფხულო პალასი	მხატვრული სურათი **ბედნიერების ძიებაში** პროგრამის გარდა: ამხ. ალექსი (საშა) გეგეჭკორის დაკრძალვა.
აპოლო	ჟენი პორტენ მხატვრულ მელოდრამაში **დედა და შვილი** პროგრამის გარდა ამანულა ხანის ჩამოსვლა
სოლეი	**საიდუმლოებათა კუნძული** 3 და 4 სერია
ოდეონი	მხატვრული დრამა აღმოსავლეთის ცხოვრებიდან **ჩადრი**
პროლეტარი ავლაბარი	ვილიამ ხარტი სურათში **ჯიმის სიმღერა**

ანონსი: —მალე გაიხსნება კინო-თეატრი „განთიადი“. 0—12

კინო პალასი
დღეს
და
ყოველ დღე
მხატვრული სურათი
უცხოეთის გამოშვება
ბედნიერების ძიებაში
მთავარ როლში
გლანშ
მონტელ,
მიშელ
სიმონ
ნ. 1261

ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა სააქციო საზოგადოების ბალანსი

1928 წლის I-ლი იანვრისთვის.

აქტივი.

	გირ. სტ.	გირ. სტ.
სალარო	158:2:3	
სახელდახელო ანგარიში ადგილობრივ ბანკში	70:8:0	
„ „ უცხოეთის „	29:18:6	258:8:9
ფასიანი ქაღალდები		7594:19:6
შავი ქვა რკ. გზ. ბაქანჯიათურ. რაიონ.	8502:6:10	
„ „ „ „ ფოთის ბაქნებზედ	3270:14:1	11773:0:11
უძრავ-მოძრავი ქონება		1054695:13:6
სესხის აქციების გირავნობის ქვეშ	122:11:9	
ავანსები დივიდენტის ანგარ.	117:19:2	
სხვადასხვა პირები (მოვალეები)	17614:7:11	
საზოგად. „ჩემო“	93:15:7	17948:14:5
საზოგად. „ქართული მარგან.“		62901:18:4
გარდამავალი თანხები		6784:7:6
1926 წლის ზარალი		66793:15:10
		1228750:18:9
ზარალი საანგარიშო 1927 წლის		78083:12:7
ბალანსი.		1306834:11:4

პასივი.

	გირ. სტ.	გირ. სტ.
ძირითადი თანხა	1079514:13:7	
სათადარიგო თანხები	57883:13:10	
ძირითადი თანხის გასანაღდ. ფონდი	3638:19:6	1141037:6:11
საზ. „ქართ. მარგან.“	88024:6:5	
სხვადასხვა პირები (მოვალეები)	8880:8.7	
გადაუხდელი დივიდენტი	808:18:10	97713:13:10
კონცეს. 12—VI—25 წ. დადებულ. ხელშეკრ. მეშვიდე პარაგ. გათვალისწინებული მომავალში მისაღები თანხა		62901:18:4
გარდამავალი თანხები		5181:12:3
ბალანსი.		1306834:11:4

გამგეობა:

ბუხჰალტერი: პ. აბ[illegible]აძე.

ნ. 1257

თმის მკურნალობა
საექიმო-კოსმეტიკა, ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეთი
ნ. გ. კონტოროვიჩისა
მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ექიმი
ი. ა. ტერ-იუაკიმოვი
ავადმყოფების მიღება ფსიქოტერაპიის დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით. საბჭოთა №48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ყორესის ქ. კუთხე.

დაიკარგა: ატესტატი № 456 გაცემული ზუგდიდის შრომის სკოლიდან ტერენტი ტარიელისძე ყუფუნის სახელზე, ჩ. გ. 2710

დაიკარგა: ცხენის საალიცხო წიგნაკი № 2 გაცემული კავთისხევის სამხედრო მაგიდის მიერ მარიამ აფციაურის სახელზე, ჩ. გ. 2709

დაიკარგა: მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 5937 ალექსანდრე მამულიანცის სახელზე, ჩ. გ 2702

დაიკარგა: მეტრიკული ამონაწერი № 2324 პავლე პეტრესძე მგალობლიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2702

დაიკარგა: უვადო პასპორტი № 519 მიხეილ ივანვარაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2703

გამოვიდა
პროფ. ივ. ჯავახიშვილის
„ქართველი ერის ისტორია“
I წიგნი. ფასი 3 მან. 50 კ. ყარაჟიანი ყდით 4 მან. 50 კ. ვინც ათ ცალს დაიკვეთს, დაეთმობა 20%. ხელისმომწერლებს გაეგზავნება ერთ კვირაში. მისამართი: ლენინის ქ. № 6, სილ. თავართქილაძეს. 2706

ქ. თბილისის მე-5 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ბ. გამაზოვი

ამით აცხადებს, რომ ის 19 ივნისს 1928 წლის, დღის 12 საათზე, ხანში ლოთკინის ქუჩის ბოლოზე, ლოთკინის გორაზე ნაძალადევში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის გეორგ ხაჩიანცის მოძრავ ქონებას: ერთი მეწველ ძროხას, 8 წლისა, შეფასებულს 200 მანეთად, გაბრიელ აგაჯანოვის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ამავე უბნის სახალხო სასამართლოსაგან 4 ივნისიდან, 1928 წლ., თარიღით, № 889, აღმასრულებელ ფურცლისა. 2708

ვიხეილ ბედევანიშვილის
ხელოსნობის
სამკურნალო
ხიწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა ავადმყოფ. მიღება: მამაკაცების დილით—7—8. საღამოთი—5—8 ქალების: დილით—8—9 საღ.—4—5 მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—1

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. 25—2

იყიდება
გიორგი გოგელიასეული სახლი
ქალ. ოზურგეთში, აღმასკომის ქუჩაზე, სადგურის ახლოს, ხუთი თვალი წაბლის, დადგმული მაღალ ცემენტის სვეტებზე, კრამიტით დახურული, პირობების გაგება შეიძლება გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარ კანტორაში, თბილისი, რუსთაველის პრ. № 34. და სამტრედიაში ლასა გოგელიასთან.
0—11 „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.

ექიმი
დარეჯან ე.
თაყაიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი. მიღება საღამოს 6—8 საათამდე. მისამართი: ვარცხის ქ. (ყოფ. სემიონოვის) № 16. 21—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ.7 ნახ.—8 ნახ. საათ. 2—15

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) ჩასახვევი ოლლის ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
იღებს: დილის 7—9 საათამდე
საღამოს 7—9 კაცებს
6—7 ქალებს.



სათვალეების შერჩევა
— და —
მათი სწორად მორგება
უფასოდ სპეციალისტ ექიმის მიერ
„სახმედვაჭრობა“
პლეხანოვის პროსპ. № 106
აქვე ხელოვნურ თვალების არჩევა. 25—1

ა. ვ. მიქ[illegible]ძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ „ნოეს“) პირდაპირ ხოდრიშვილის შესახვევი პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

ექიმი
ქ. ს. ფონ-ი[illegible]ტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დილ 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე, დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—6

დაიკარგა: სახ. უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის მატრიკული შალვა პეტრესძე ელისაშვილის სახელზე, ჩ. გ. (გ)

დაიკარგა: მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 15322 ალექსანდრე მელქოსიძე ჩილვინაძეს სახელზე, ჩ. გ 2705

მთავლიტი № 904.
პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 6ა